განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ საქართველო გახდა არა მხოლოდ ნავთობის, არამედ ბუნებრივი გაზის სატრანზიტო ქვეყანა. **შაჰდენიზის გაზსადენი** (ანუ **სამხრეთ კავკასიის, ან ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი**) გადის შაჰდენიზის გაზის ბაქნის აზერბაიჯანის სექტორიდან საქართველოს გავლით თურქეთში. შანგაჩალის ტერმინალიდან პირველი საცდელი ბუნებრივი აირი გაზსადენში ჩაიტვირთა 2006 წლის 21 მაისს. გაზის პირველი გაშვება 2006 წლის 30 სექტემბრისთვის იყო დაგეგმილი, მაგრამ ტექნიკური მიზეზების გამო გაზსადენი ექსპლუატაციაში 2006 წლის 20 დეკემბერს შევიდა. გაზსადენი, ბუნებაზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების მიზნით, იმავე კორიდორში აშენდა, სადაც რამდენიმე წლით ადრე “ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი” გაიყვანეს. გაზსადენის სიგრძე 692 კმ-ია, ხოლო წლიური გამტარობა 16 მილიარდი კუბური მეტრი.

ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია სერიოზული ნაკლოვანებაც: საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპის ხელყოფა, ეკონომიკაში არაეკონომიკური ჩარევები, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ფაქტობრივად გაუქმება, სხვაობის გაიზარდა ექსპორტსა და იმპორტს შორის და სხვ.

ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება და ეკონომიკური ვარდნა. ეს პერიოდი ემთხვევა რუსეთ-საქართველოს ომს და მსოფლიო საფინანსო კრიზისის დაწყებას. ომმა 1 მილიარდი დოლარის ზარალი მიაყენა ქვეყანას. როგორც შიდა, ისე უცხოური ინვესტიციების შემცირების შედეგად ეკონომიკური ზრდის ტემპები 2008 წელს შემცირდა (შეადგინა მხოლოდ 1,9%), ხოლო 2009 წელს იგი უარყოფითი სიდიდე გახდა (3,9%). ამავე პერიოდში დაიწყო ლარის კურსის ვარდნა, საბანკო სექტორში წარმოშობილ შეფერხებებს მოჰყვა კრედიტებისა და, შესაბამისად, ინვესტიციების შეკვეცა, თითქმის გაკოტრების პირას მივიდა სამშენებლო ბიზნესი, გაუარესდა ქვეყნის ეკოლოგიური სიტუაცია, მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა საკურორტო მეურნეობამ და ა.შ.

მიუხედავად ამისა, საქართველოს ეკონომიკამ ამ ორ დიდ ნეგატიურ ზემოქმედებას გაუძლო და უარყოფითი შედეგები ფართომასშტაბიან ეკონომიკურ კრიზისში არ გადაზრდილა, რაშიც დიდი როლი საერთაშორისო დახმარებამაც ითამაშა.

ეკონომიკური დაქვეითების დაძლევა და ზრდის ტენდენციის აღდგენა. იგი იწყება 2010 წელს და გრძელდება დღესაც. მიუხედავად წინა პერიოდში არსებული სიძნელეებისა, 2010 წელს არა მხოლოდ დაქვეითება იქნა დაძლეული, არამედ ადგილი ჰქონდა ზრდასაც (6,4%). ზრდის ტემპების დაჩქარებაზე მეტყველებს ასევე 2011 წლის მაჩვენებლები. უკვე განვლილი კვარტლის განმავლობაში მთლიანი შიდა პროდუქტი 5,5%-ით გაიზარდა.

მოსახლეობისადმი სოციალური დახმარებების მნიშვნელოვანი ზრდა, ზრდის ტემპების შემცირება, ლარის კურსის ვარდნა. იგი მოიცავს პერიოდს

2012 წლის ოქტომბრიდან დღემდე ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის მნიშვნელოვანი გაძლიერებანი, რაც მძიმე ტვირთად აწევს ეკონომიკას და იწვევს ზრდის ტემპების შემცირებას, მაგრამ, მიგვაჩნია, რომ იგი აუცილებელი ღონისძიება იყო. ძრდის ტემპების შენელება ასევე გამოიწვია პოლიტიკური დაძაბულობის არსებობამ და ბიზნესში ახალი რეგლამენტაციის მოლოდინმა. სავალუტო კურსის დაცემა განპირობებული იყო საშინაო და საგარეო ფაქტორთა ერთობლიობით, მათ შორის, უარყოფითი სავაჭრო სალდოს არსებობით, წმინდა ფაქტორული შემოსავლების შემცირებით, მსოფლიოში დოლარის კურსის გამყარებით და სხვ.

ტრანსფორმაციის გზაზე დაშვებული შეცდომები

როგორც ანალიზმა გვიჩვენა, რეფორმების გზაზე საქართველოში ერთ-მანეთს ენაცვლებოდა წარმატებები და წარუმატებლობები. უნდა ითქვას, რომ, ობიექტურ ხელისშემშლელ პირობებთან ერთად შეცდომებიც ბევრი იქნა დაშვებული რაც ძირითადად შემდეგში მდგომარეობს:

1. **საწყის ეტაპზე სახელმწიფოს მიერ გატარებული არასწორი საშინაო და საგარეო პოლიტიკა.** შიგა არასწორი პოლიტიკის შედეგად საზოგადოება ორ ნაწილად გაიხლიჩა (რაც დღესაც კი გრძელდება). გარე არასწორი პოლიტიკის შედეგად ჩვენ დაუპირისპირდით მსოფლიოს დიდ სახელმწიფოს. ორივე ამ შეცდომამ ქვეყანა მიიყვანა სამოქალაქო დაპირისპირებამდე, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევამდე და კრიმინოგენური სიტუაციის უკიდურესად დაძაბვამდე. ეკონომიკა ცალკეული კრიმინალური დაჯგუფებების ხელში აღმოჩნდა.

2. **დიდი ხნის განმავლობაში დამნაშავე ელემენტებთან ბრძოლის არაეფექტიანი ზომების გატარება, რის გამოც მძიმე კრიმინოგენური სიტუაცია წლობით გაგრძელდა.**

3. **ეკონომიკური რეფორმების არაკომპლექსურობა და არასისტემურობა.**

4. **ლიბერალური პოლიტიკის არასწორი აღქმა და განხორციელება.** მთელ პოსტკომუნისტურ პერიოდს წითელ ზოლად გასდევს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებაზე თითქმის ხელის აღება ლიბერალური პოლიტიკის განხორციელების საბაბით, თუმცა, ლიბერალური პოლიტიკა არ ხორციელდებოდა, ვინაიდან უკანასკნელ პერიოდამდე ბიზნესი განიცდიდა სახელმწიფოს მხრიდან უხეშ არაეკონომიკურ ჩარევებს. თავდაპირველად რეკეტი ვლინდებოდა მის ყველა საფეხურზე, ბოლოს კი – უმეტესად, ფუნქციონირების დროს. მართლაც ლიბერალური პოლიტიკა რომ განხორციელებულიყო, მაინც საჭირო იყო გარკვეული დოზით პროტექციონისტური პოლიტიკის (რასაც მსოფლიოს ყველა სახელმწიფო მიმართავდა და მიმართავს საჭიროების შემთხვევაში) გატარება, რათა არ მომხდარიყო საკუთარი ეროვნული წარმოების განადგურება, რამაც ეკონომიკის ცალკეული სფეროების განუვითარებლობამდე და არასრულყოფილი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებამდე მიგვიყვანა

5. **რეფორმების განხორციელების არასწორი გზის არჩევა.** ტრანსფორმაციული პროცესები საქართველოში იმდენად მძიმედ დაიწყო, რომ აუცილებელი იყო შოკური თერაპიის განხორციელება, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო წინასწარი მომზადება. ამ მხრივ პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი შეცდომა იყო საქართველოს დარჩენა სამანეთო ზონაში, რაც, ბუნებრივია, საკუთარი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების საშუალებას არ იძლეოდა. არადა, საქართველომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სწორედ საკუთარი ფულად-საკრედიტო სისტემის მქონე ქვეყნის გზა – “შოკური თერაპიის” გზა აირჩია. “შოკური თერაპიის” მეტოდის რეალიზაცია სახელმწიფო

ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო ინსტიტუტების მიზანმიმართულ გამოყენებას მოითხოვს. ამგვარი ინსტიტუტების არარსებობის პირობებში “შოკური თერაპიის” მეთოდის სრულფასოვანი გამოყენება შეუძლებელია და ყოველგვარი მცდელობა წარუმატებლობისთვისაა განწირული. ასეც მოხდა, შოკურმა თერაპიამ ჩვენთან კრაზი განიცადა. “შოკური თერაპიის” 13 მოთხოვნებიდან მხოლოდ 2 შესრულდა [პაპავა ვ. 2002].

6. გარდამავალი ვალუტის – კუპონის შემოღების შემდეგ არასწორი ფულად-საკრედიტო (ხორციელებოდა სრულიად გაუმართლებელი ფულადი და საბიუჯეტო ემისია, საზღვარგარეთის კრედიტების არადანიშნულებისამებრ გამოყენება) პოლიტიკის გატარება, რის შედეგადაც მოხდა კუპონის ძლიერი გაუფასურება - ჰიპერინფლაცია.

7. საქართველოს ეკონომიკაში 1995-1997 წლებში ეკონომიკური რეფორმების წარმატებით განხორციელების შემდეგ რეფორმების კვლავ არასწორი წარმართვა, სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციების არაეფექტიანობა. შედეგად გაიზარდა კორუფციის დონე, გაძლიერდა ბიზნესის რეკეტი, წარმოიშვა საფინანსო, საბიუჯეტო და ენერგეტიკული კრიზისი, გამწვავდა კრიმინოგენური სიტუაცია და ა.შ.

8. მნიშვნელოვანი საერთაშორისო დახმარებების არაეფექტიანად გამოყენება, რაც ასევე წითელ ზოლად გასდევს მთელ ტრანსფორმაციულ პერიოდს.

9. ეკონომიკის რეგულირების ფორმებისა და მეთოდების არასრულყოფილი შესაბამისობა საბაზრო მოთხოვნებისადმი.

10. მცირე ბიზნესის განვითარებისადმი უყურადღებობა. დღეისათვის საქართველოში არ არსებობს მცირე ბიზნესის მხარდამჭერი ინფრასტრუქტურა, რაც ხელს უშლის ძლიერი საშუალო ფენის ჩამოყალიბებას

11. წლების განმავლობაში სოფლის პრობლემების უგულვებელყოფა, რის გამოც სოფლის ეკონომიკა, ფაქტობრივად, განადგურების პირას მივიდა.

12. ომი რუსეთთან. ვერ შევძელით რუსეთთან ომის თავიდან აცილება, რომელმაც საქართველოს ეკონომიკას დიდი ზიანი მიაყენა. გარდა ტერიტორიების დაკარგვისა, მას მოჰყვა ეკონომიკური განვითარების შეფერხება, ინვესტიციების შემცირება, წმინდა ეკონომიკური ზარალი.

13. პრივატიზაციის დროს დაშვებული შეცდომები.

14. საჯარო სამსახურებში მომუშავეთათვის არაოფიციალურად ასაკობრივი შეზღუდვის დაწესება. არასაპენსიო ასაკის მქონე პირთა სამსახურიდან გათავისუფლებას მოჰყვა ქვეყანაში უმუშევართა რაოდენობის ხელოვნური ზრდა.

15. კერძო საკუთრების (რომელიც საბაზრო ეკონომიკის ქვაკუთხედს წარმოადგენს) ხელშეუხებლობის პრინციპის ხელყოფა.

16. ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ფაქტობრივად გაუქმება. შედეგად შემცირდა კონკურენციის დონე, რაც საგანგაშოა საბაზრო ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის.

17. საზოგადოებაში სოციალური დაძაბულობის ზრდა როგორც საზოგადოების ცალკეულ ფენებს, ასევე საზოგადოების დიდ ნაწილსა და მთავრობას შორის.

18. შემოსავლების უთანაბრობის ზრდა. რაც ასევე ზრდის სოციალურ დაძაბულობას.

დღეისათვის არსებული ნაკლოვანებები

ყოველივე ამის გამო, რეფორმების დაწყებიდან 25 წელზე მეტი ხნის განმავლობაშიც კი სრულყოფილ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ვერ მოხერხდა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ დღეისათვის განუვითარებელია საბაზრო ინფრასტრუქტურა (სასაქონლო, საფონდო და შრომის ბირჟები, სადაზღვევო სერვისი, საინვესტიციო ინსტიტუტები, მარკეტინგული, ინჟინინგული, კოლსანტინგური და საინფორმაციო სამსახურები და სხვ.), არაპროგრესულია, როგორც ეკონომიკური (განუვითარებელია სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოება, დაბალია მცირე ბიზნესის განვითარების დონე, ექპორტს რამდენეჯერმე აღემატება იმპორტი და ა.შ.), ისე სოციალური სტრუქტურა (ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა ძლიერი საშუალო ფენა, საკმაოდ დიდია უმუშევრობისა და სიღარიბის დონე და ა.შ.).

მომავალში საქართველოს ეკონომიკაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრა და სწორ გზაზე გასვლა ვერ მოხერხდება უბრალოდ ინერციით სვლის შედეგად. მთავარი ყურადღება ეკონომიკურ განვითარებაზე, ანუ ეკონომიკის თვისებრივ სრულყოფაზე უნდა იქნეს გადატანილი, რათა აღმოიფხვრას ეკონომიკის დეფორმირებულობა. ეს კი განხორციელდება ქვეყანაში ახალი ანუ **ინოვაციური ეკონომიკის** მშენებლობის მეშვეობით. მაგრამ, დღეისათვის ამ მიმართებითაც მდგომარეობა მეტად არასახარბიელოა. **კერძოდ:**

1. **საგაღალო მდგომარეობაშია ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალი:** მიუხედავად გარკვეული ზრდისა, მცირეა მეცნიერთა ხელფასი, საგანგაშოდ კლებულობს მათი რაოდენობა, მოშლილია მეცნიერების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მსოფლიოში თითქმის ყველაზე დაბალია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მეცნიერების დაფინანსების ხვედრითი წილი მთლიან შიგა პროდუქტში და ა.შ.

2. **სერიოზულ გარდაქმნას მოითხოვს უმაღლესი, პროფესიული მომზადებისა და უწყვეტი განთლების სისტემა.** იგი ჯერ კიდევ სრულად არ არის ორიენტირებული ცოდნისა და ეკონომიკის მოთხოვნაზე. განათლების მიღება ვერ გახდა მომავალში შემოსავლის ზრდის გარანტირებული საშუალება. განუვითარებელი და არაეფექტურია კადრების გადამზადების სისტემა და სხვ.

3. **დაბალგანვითარებულია სამეცნიერო კვლევების მომსახურების სისტემა** (სოფლად ჯიშთა გამოცდისა და საკონსულტაციო სადგურები, საკონსულტაციო ცენტრები, პიდრომეტეოროლოგიური, გეოლოგიური, გეოდეზიური, მეტეოროლოგიური, სეისმოლოგიური, სამოდელი, ხარისხის მართვის, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის, სტანდარტიზაციისა და სხვ. შამსახურები).

4. **თითქმის არ არსებობს კვლევის შედეგების წარმოებაში გადაცემის სისტემა** (ბიზნესინკუბატორები, ტექნოპარკები, საკონსულტაციო და ტექნოლოგიის გადაცემის ცენტრები და სხვ.).

5. **არ არსებობს ტექნოლოგიების დიფუზიის ხელშემწყობი მექანიზმები - მაღალტექნოლოგიური ეკონომიკური ზონები და სხვ.**

6. **დაბალია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დონე** არ არსებობს მცირე საწარმოთა მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა და ინოვაციური მცირე საწარმოები.

7. **იუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო აღიარებს ინოვაციური ეკონომიკის მშენებლობის აუცილებლობას, არ არსებობს მკვეთრად გამოკვეთილი საინოვაციო პოლიტიკა** - შესაბამისი სტრატეგია და სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი; არ არსებობს შესაბამისი სრულყოფილი საკანონმდებლო

ბაზა და ინოვაციების განვითარების მასტიმულირებელი სისტემა, წამახალისებელი საფინანსო, საგადასახადო და სხვა მექანიზმები.

8. განსაკუთრებით უზღუდვებელყოფილია რეგიონული საინოვაციო საქმიანობა.

9. არ ხდება დონორების მიერ პროექტების განხორციელების შემდგომი მხარდაჭერა, რასაც ნულამდე დაყავს დონორთა საქმიანობა.

10. განუვითარებელია საგრანტო სისტემა და დაბალია მისი მენეჯმენტი.

11. თითქმის არ არსებობს კავშირი მეცნიერებას, ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის.

12. თითქმის არ არსებობს სახელმწიფოს მხრიდან შეკვეთები სამეცნიერო კვლევებზე.

13. თითქმის არ ხორციელდება საკუთარ კვლევებზე დაფუძნებული ინოვაციები. ინოვაციების იმპორტი შედარებით ხორციელდება მხოლოდ კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში, რასაც განაპირობებს ის, რომ არსებობს ახალი ტექნოლოგიების შემოტანის დამამუხრუჭებელი მრავალი ფაქტორი - ცოდნის უქონლობა, პოლიტიკური ნებისა და ინსტიტუციური მხარდაჭერის არარსებობა, ფინანსური რესურსების სიმწირე, პოლიტიკური და სოციალური დაბაბულობა და სხვ.

დასკვნები და ეკონომიკის განვითარების ზოგადი მიმართულებები

იმისათვის, რომ მოხდეს ინოვაციური ეკონომიკის ფორმირება, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია საბაზრო პრინციპების განუხრელი დაცვა:

1. ბიზნესში სახელმწიფოს არაეკონომიკური ჩარევების გამორიცხვა.

2. ბიზნესის გადაქცევა საშიში სფეროდან შემოქმედებით, საზოგადოებრივ კიბეზე სულ უფრო სწრაფი წინსვლის სფეროდ.

3. სიმდიდრის ფენომენის ტრანსფორმაცია. კანონიერი სიმდიდრის მოპოვებისა და ინვესტიციების გაწევის ყოველმხრივი წახალისება.

4. საბაზრო კონკურენციის გაძლიერება ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ცხოვრებაში განუხრელი გატარება.

5. კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპის დაცვა საკუთრების ფორმათა სრული პლურალიზაციის პირობებში.

6. სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციების გაძლიერება. მან უნდა უზრუნველყოს საბაზრო პრინციპების მაქსიმალური დაცვა; ჯანსაღი ფინანსური ურთიერთობების ჩამოყალიბება; ოპტიმალური გადასახადები და სოციალური დახმარებები; მაქსიმალური ძალისხმევა გამოავლინოს მეცნიერების განვითარებისა და მისი შედეგების წარმოებაში დასანერგად, ინოვაციების განხორციელების გზით და ა.შ. სახელმწიფოს სწორმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს პატერნალიზმის, ეტატიზმის, ნეპოტიზმის, კორუფციისა და ნებისმიერი სხვა უარყოფითი გამოვლინების აღმოფხვრა. სწორედ მან უნდა განახორციელოს ეროვნული წარმოების ხელშემწყობი პოლიტიკა, რის შედეგადაც სამაშულო პროდუქცია კონკურენტუნარიანი გახდება იაფ, მაგრამ დაბალხარისხოვან იმპორტულ საქონელთან შედარებით. ამასთან, ამ პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს ეკონომიკის განვითარებისათვის გრძელვადიანი პერსპექტივების შექმნა და არა პროდუქციის ყველა სახეობის მიხედვით თვითუზრუნველყოფის მიღწევა.

დღეისათვის საქართველოს ეკონომიკაში, გარდა ზემოთ მოყვანილი გენერალური ხაზისა, აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს შემდეგი:

1. უმუშევრობის დონის შემცირებისათვის შრომის ბაზრის ინსტიტუციური მოწყობა. დღეისათვის შრომის ბაზარი საქართველოში უკიდურესად სტიქიურია: არ არსებობს მოქმედი დასაქმების სახელმწიფო სამსახური და მთელი ინფრასტრუქტურა, რომელიც მის ფუნქციონირებასთანაა დაკავშირებული. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, არაფერი რეგულირების განხორციელება, არამედ, უბრალოდ უმუშევრობის რეალური სურათის დახატვა ც კი.

2. უპირატესობა უნდა მიენიჭოს ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც ეკონომიკას გადაადგილებს არა ფილიპსის მრუდზე, არამედ, გამოიწვევს თვით ფილიპსის მრუდის გადაადგილებებს ისეთ წერტილებში, სადაც უმუშევრობის დონე კლებულობს, ხოლო ფასების საერთო დონე უცვლელია ან უმნიშვნელოდ მატულობს. ეს მიიღწევა ისეთი ინოვაციური პროგრამების სტიმულირებით (უმუშევრობის შემცირებისაკენ მიმართული ინოვაციური პოლიტიკა), რომელიც უზრუნველყოფს ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების დაახლოებით ერთნაირი ტემპებით ზრდას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პროდუქციის მოცულობის ზრდის ტემპები წინ უნდა უსწრებდეს, ხოლო ხელფასების ზრდის ტემპები ჩამორჩებოდეს შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპებს, სანამ უმუშევრობის რეალური დონე არ გაუტოლდება მის ბუნებრივ დონეს. ეს მიიღწევა მატერიალური წარმოებისა და მომსახურების არსებული დარგების გაფართოებით და მათი ახალი სფეროების ათვისებით.

3. ვინაიდან საქართველოში ადგილი აქვს უმუშევრობის მაღალ დონეს და მოსალოდნელია შრომითი ემიგრანტების უკან დაბრუნება, ინოვაციების განხორციელების პირობებში აუცილებელია, ეკონომიკური ზრდის ტემპები წინ უსწრებდეს შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპებს. მაშასადამე, აუცილებელია, ეკონომიკის თვისებრივ სრულყოფასთან ერთად, ეკონომიკის მასშტაბების მნიშვნელოვანი ზრდა, რისთვისაც საჭიროა ახალი დიდი მოცულობის დაბანდებების განხორციელება.

4. უცხოური კრედიტებისა და დახმარებების გამოყენებაზე უნდა დაწესდეს მკაცრი კონტროლი და ის მიმართული უნდა იქნეს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისაკენ.

5. დღეისათვის ქვეყანაში საპროცენტო განაკვეთი მაღალია და საბანკო კრედიტები ძირითადად იპოთეკური და სამომხმარებლო ხასიათისაა, ამიტომ საჭიროა, სახელმწიფომ ბანკებთან ერთად განახორციელოს მსხვილი პროექტები მატერიალური წარმოების სფეროში, რის შედეგადაც, ბანკებისათვის რისკების შემცირების პირობებში, კრედიტები მოხმარდება ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ეკონომიკის ზრდას, უმუშევრობისა და სიღარიბის დონის შემცირებას;

6. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მცირე ბიზნესის განვითარებას, რაც უდიდესი რეზერვია სიღარიბისა და უმუშევრობის დონის შემცირების, საშუალო ფენის გაძლიერებისა და, საერთოდ, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისათვის. მცირე ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელია შეიქმნას მისი სახელმწიფო მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა.

7. გაწონასწორებული სავაჭრო ბალანსის დასამყარებლად საჭიროა საკუთარი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის გამოყენება და გაძლიერება. რეფორმები მეცნიერებისა და განათლების სფეროში უნდა დაიწყოს დღეისათვის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით და თანდათან დაეძლიოთ ნაკლოვანებები და ისე მივაღწიოთ მსოფლიო დონეს. ამ სფეროში აუცილებელია ქვეყნის ისტორიული, კულტურული და სხვა ეროვნული თავისებურებების

გათვალისწინება. უპირველეს ყოვლისა, უნდა გადავარჩინოთ ის სამეცნიერო პოტენციალი, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს ქვეყანაში.

8. საბაზრო ეკონომიკის შემდგომი სრულყოფა და ეკონომიკური ზრდა, სახელმწიფო რეგულირების გაუმჯობესება დადებით გავლენას მოახდენს განათლებაზე როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი თვალსაზრისით და თანდათან ის ნაკლოვანებები, რომელიც დღეისათვის გააჩნია განათლების სისტემას აღმოიფხვრება, ანუ გაიზრდება მოთხოვნა მაღალი კვალიფიკაციის მუშაკებზე; შრომის ანაზღაურება მოხდება მათი კვალიფიკაციის დონის შესაბამისად; განათლება გახდება საბაზრო სისტემის შემადგენელი ნაწილი, ამასთანავე ამაღლდება მისი სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანობა, გაიზრდება მეცნიერებისა და განათლების სისტემის დაფინანსების მოცულობა; გაუმჯობესდება მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების სისტემა; დაინერგება ინოვაციური (ცვალებადი ეკონომიკისადმი შესაბამისი) სასწავლო ტექნოლოგიები; სულ უფრო და უფრო დაუახლოვდება სასწავლებლებში მიღებული ცოდნა ეკონომიკის გაზრდილ ტექნიკურ-ორგანიზაციულ მოთხოვნებს; ამაღლდება ქვეყნის განათლების სისტემის ინტეგრაცია მსოფლიო განათლების სისტემასთან (საერთაშორისო და ეროვნული ესტნდარტების ჰარმონიზაცია) ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებით; დაინერგება სწავლების თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები (ელექტრონული სწავლება), რაც სრულიად ახალ დონეზე აიყვანს განათლების სისტემას.

9. უნდა ჩამოყალიბდეს ქვეყნის სიინოვაციო პოლიტიკა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უმთავრესად საკუთარ კვლევებზე დაფუძნებული ინოვაციური სისტემის ფორმირებასა და მაღალი ტექნოლოგიების (პიტეცპ) გამოყენებას, რაც კარდინალურ ცვლილებებს იწვევს ეკონომიკაში, ცვლის რა მისი განვითარების ტენდენციებს როგორც ლოკალური, ისე გლობალური მასშტაბით.

10. დღეისათვის საქართველოში არის ნახევრად ნატურალური (საქართველოში ფერმათა 90% ნატურალურია), დაბალმექანიზებული (ძირითადი იარაღი კვლავ თოხი, ბარი, ნაჯახი და ცვლია) და ამიტომ დაბალმწარმოებლური, განუვითარებელი ინფრასტრუქტურის მქონე სოფელი. უადრესად მძიმე პირობების გამო, სოფლად მცხოვრებს არ შეუძლია ყველა სიძნელის გადალახვა და განვითარებული სასოფლო წარმოების ჩამოყალიბება. ამდენად, სახელმწიფოს მხრიდან სოფლისადმი ქმედითი დახმარება აუცილებელია. მაგრამ, ეს არათუ უნდა ასუსტებდეს ფერმერის სტიმულებს, არამედ უნდა აძლიერებდეს მას. ბუნებრივია, მთავარი აქცენტი გადატანილი უნდა იყოს იმაზე, რომ ფერმერი ზრდიდეს წარმოებას, ნერგავდეს ახალ ტექნოლოგიებს, რათა რაც შეიძლება მაღე გარდაიქმნას თანამედროვე სასაქონლო ფერმად. რასაკვირველია, საზღვარგარეთ ასეთი მდგომარეობის მიღწევას ათწლეულები დაჭირდა, მაგრამ ჩვენ გვაქვს უპირატესობა, რომ პირდაპირ, მზამზარეულად გამოვიყენოთ ის მიღწევები, რაც უკვე არსებობს განვითარებულ ქვეყნებში. საქართველოსათვის ეს კიდევ უფრო იოლია, ვინაიდან ის პატარა ქვეყანაა და დასავლეთი მას დიდ დახმარებებს უწევს. საჭიროა, აგრეთვე, ადგილობრივი ბიზნესის დაინტერესება. ეროვნულ კომპანიებს შეუძლიათ შეიძინონ ფერმები და დააბანდონ ინვესტიციები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხშირად სოფლის პრობლემები გაიგივებულია მხოლოდ სოფლის მეურნეობასთან და ასევე ხშირად სოფლის განვითარებაზე საუბრობენ ისე, რომ მხედველობაში არ იღებენ მთელი ეკონომიკის, განსაკუთრებით მრეწველობის განვითარების დონეს.

11. ენერგეტიკის სფეროში, უპირველეს ყოვლისა, მთავარი ყურადღება უნდა გამახვილდეს ქვეყნის მდიდარი ჰიდრო- და არატრადიციული ენერგო-

რესურსების ათვისებაზე. არავითარ შემთხვევაში ხელაღებით არ უნდა ვთქვათ უარი მსხვილი ელექტროსადგურების აშენებაზე, რასაკვირველია, შესაბამისი ეკოლოგიური დასაბუთების საფუძველზე. ამ საკითხების გადაჭრის დროს უნდა გვახსოვდეს, რომ გარკვეულ ეკოლოგიურ დათმობაზე წასვლა აუცილებლად მოგვიწევს, რომ გათვლები უნდა ვაწარმოოთ არა მოკლე და გრძელვადიანი პერიოდის, არამედ შორეული პერსპექტივის გათვალისწინებით, ვინაიდან ეკონომიკა სწრაფად ვითარდება და სათბობი ენერჯის მარაგები კი მსოფლიოში თანდათან იწურება. ელექტროენერჯის დეფიციტი უფრო მეტ ეკოლოგიურ (რომ არაფერი ვთქვათ ეკონომიკურ პრობლემებზე) პრობლემებს (ტყის გაჩეხვა, ანტისანიტარიის ზრდა და სხვა) წარმოშობს, ვიდრე გარკვეული ეკოლოგიური დათმობები, გამოწვეული მსხვილი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობით. რასაკვირველია, ასევე გასათვალისწინებელია ეროვნულ ფასეულობათა შენარჩუნების მტკივნეული მოთხოვნები.

12. მრეწველობის განვითარება ყველა სხვა დარგის განვითარების საფუძველია. პერსპექტივაში ორიენტაცია ადებული უნდა იქნეს მრეწველობის უპირატესად მეცნიერებატევადი დარგების, ასევე სოფლის ეკონომიკის უზრუნველყოფი და ისეთი ტრადიციული დარგების განვითარებაზე, როგორცაა კვების მრეწველობა და ჰიდროენერჯეტიკა.

13. მართალია, გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოს ზოგიერთი ფუნქცია იზღუდება, მაგრამ იგი იძენს უფრო დიდ, საერთაშორისო ფუნქციას, რომელიც მიმართული უნდა იყოს გლობალიზაციის ნეგატიური ზემოქმედების განეიტრალების, დახმარებების ეფექტიანი გამოყენების, კონკურენტუნარიანობის ამაღლების, საუკეთესო ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებისა და მისი შემდგომი სრულყოფისაკენ.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **აბესაძე რ., არევაძე ნ.** 2011. საქართველოს ეკონომიკა XX საუკუნის 90-იანი წლების მიჯნაზე. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ. 4.
2. **აბესაძე რ.** 2009. საქართველოს ეკონომიკა XX–XXI საუკუნეების მიჯნაზე. ე.: “ეკონომისტი”, №1.
3. **მესხია ი., მურჯიკნელი მ.** 1996. ეკონომიკური რეფორმა საქართველოში, თბილისი, “თსუ გამომცემლობა”.
4. **პაპავა ვ.** 2002. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბილისი, “პდპ”.
5. **ჭითანავა ნ.** 1997. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. თბილისი.

საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკა
ECONOMY OF FOREIGN COUNTRIES

Agnieszka Rzepka

*PhD, Department of Management. Lublin
University of Technology (Poland)*

**FDI AND INTERNATIONAL TRADE IN GLOBALISATION ASPECTS IN
ECONOMY. THE CASE OF POLAND**

Summary

Economic globalization changes the external environment in which national entities operate. On the one hand, it opens new opportunities, but on the other, it imposes a serious threat. That is why both governments and businesses must take appropriate measures and strategies to meet new challenges.

In the article the economic globalisation aspects of international trade and foreign direct investments (FDI) are studied. The case of the Polish economy is considered in this context.

Key words: *Globalization, Poland, economy, Trade, International*

Introduction

In today's global economy, there are developing various types of economic and political relationships. The most important include: the exchange of goods and services, trade in the foreign exchange markets, the flow of capital and labour, international cooperation in production, and international political cooperation. Fast development of economic relations between different countries, and the creation and development of international associations and institutions are all processes which characterize the modern world.

Polish economy becomes an open economy and it will be more and more influenced by the world economic, technical, scientific and demographic processes. The factors that will have a decisive impact in the long term perspective, with great probability will include the transition of developed societies to the era of civilization of information and globalisation and integration of economies. The dominant global process is the transition of the developed societies to the era of information civilization. Its main determinants are [GW Kolodko, 2002: 92]:

- the increase of the role of science and education,
- the transformation of knowledge into a production resource,
- the development of information technology,
- the fundamental transformation of activity of all sectors,
- the occurrence of new professions that require the skill of collecting, processing and using the information.

International trade

For centuries the economy to the greatest extent has been bound together by international trade. After the great economic collapse, the role of trade and its rate have changed. International trade in goods was characterized by high expansiveness and relative independence from economic fluctuations. After the World War II geographical structure of trade in goods did not change. Developed countries definitely prevailed in the trade flows. Their share in world trade ranged from 60% to 70%. The share of developing countries remained at about 20% level, and the contribution of the former socialist countries oscillated

in a range of more or less 10% of the global trade exchange [Marszałek A., 1991: 58-62].

Between 1950 and 1980 world's import and export increased. The average annual growth rate of world's export in the period 1960-1970 amounted to 8.5% [C. Grece, M. Greffrath, H. Schumann, 2004:47-51]. This increase, however, was not steady. Until 1980 the trade exchange steadily expanded.

Table 1

The increase in world trade (in million USD)

	1960/1950	1970/1960	1980/1970
Export	65	179	1 652
Import	69	186	1 689

Source: Own study based on data from the UNCTAD database: Handbook of Statistics On-line.

The fastest growth was recorded in the 70s of the twentieth century when its rate was almost four times higher than in the 60s (see Table 1). In the 70s of the twentieth century total upswing in sales amounted to more than 3 trillion US dollars. It was, however, solely the result of intensification of exchange, but also the result of an increase in prices caused by the growth in commodity prices (especially oil). After 1980, the dynamics of rate of exchange weakened [Czarny E., Śledziewska K., 2007: 71-73].

FDI

The process of opening economies and expanding the idea of free trade have increased the possibilities international business activities, providing them with almost unlimited access to the resources and factors of production. Increase in the position and strength of international companies on the international scene was the result of the so-called global presence of increasing independence towards nations, and also the growth of potentials and expansion of interactions.

Therefore, an important manifestation of globalisation is the international flow of capital, especially the expansion of transnational corporations (TNCs)³. They appear as factors which co-create the process of globalisation, and constitute one of its main driving forces. The importance of both foreign investments and corporations and their important role in the global economy tend to regard them as one of the main manifestations of globalisation.

The internationalization of economic activity, that is keeping it abroad, is a complex process and indicates a growing geographic scope of this activity, performed in a sequential or complementary manner with the use of three forms: trade, contractual cooperation and foreign investments which aim at creating foreign subsidiaries and joint ventures. Foreign direct investments (FDI) were (and still are) considered as a determinant of an international expansiveness of enterprises, their wealth (in capital, including human resources, technology

3 There is a problem with a name appropriate to the characteristics of the examined entities. In English literature there are several names. One of them is the multinational enterprises (MNEs) or multinationals, which should be translated into Polish as „przedsiębiorstwawielonarodowe”. The second name is the transnational corporations (TNCs or transnationals), which is the Polish equivalent of „korporacjetransnarodowe” (KTN) or ponadnarodowe. The term "transnational corporations" was officially adopted by the UN in 1974 and since then has been consistently used in all publications of the organization (also in the publications of American authors). This name does not concern so internationalised companies that become stateless, and so extensive that operate in almost all countries and across borders. The name implies that the company is organized and coordinated by the parent company in the home country but actions of the company are spread globally. The term adopted by the UN is used in this article as a synonym for a company operating internationally.

and other supremacies), managerial skills, knowledge of foreign markets and other important attributes. The growing volume of global FDI and the growing involvement of transnational corporations in international trade have become for researchers the evidence of the ongoing expansion of the companies abroad, and indirectly changes taking place in them.


Corporations affect the progress of the process of globalisation through an influence on the global economy. Their presence can manifest itself in two ways: indirect and direct [Jarczewska – Romaniuk A., 2003:140]. The indirect form is based on the presence of corporate goods and services outside the borders of home country. This form of the presence is seen as a transitional stage, followed by a further process of transition to a more complex phase of foreign activity that is investments. The direct form of global presence of corporations are direct foreign investments (FDI).

Transnational corporations are formed and evolve through foreign direct investment (FDI) [Goldin I., Reinert K., 2006:78]. Direct foreign investments are based on locating the capital abroad by the parent company in order to obtain a direct impact on the activity of companies injected with capital with an the intention of financially support the entity in which the investor has significant share, or in order to create a new economic entity. Direct investment include investment transactions undertaken by the investor abroad in order to exert a direct impact on the production of the company in which the money are invested, or to provide finances, goods, technology, in which the market investor has ownership interests. Therefore, one shall not treat investments only as an international transfer of capital, but as a specific type of transaction which connects the capital, experience and entrepreneurship [J.H.Dunning., 1970:27].

In today's global economy, there has been no harmonization of conditions of activities of foreign investors. There are still differences in this respect between the different countries, but all countries continue to restrict the flow of FDI to sectors of strategic importance. Foreign capital investments allow to reduce international imbalances in capital equipment and promote new technologies [Czarny B., 2004:138].

For Poland, the total value of foreign direct investment (ang. FDI stock) amounted to 160.5 billion EUR at the end of 2013. They comprised of liabilities from capital share participations and reinvested profits (125.3 billion EUR) and remaining capital liabilities (35.2 billion). In contrast, the highest investment values were in the following countries: Germany (27.5 billion), the Netherlands (25.9 billion), France (19.1 billion).

Chart 1. 20 main investors at the end of 2013




Source: own study based on NBP data [NBP-National Bank of Poland]

On the basis of data⁴, it should be noted that the balance of foreign direct investments in Poland amounted to 2.2 billion euros in 2013. During this period, the main investors were companies from the following countries:

- United Kingdom (3.3 billion EUR),
- Germany (1.9 billion EUR),
- Switzerland (1.0 billion EUR).

Meanwhile, the largest outflow of investments (withdrawal of capital from Poland) took place in Jersey (-3.4 billion EUR), Luxembourg (-1.8 billion EUR), Sweden (-0.5 billion EUR).

Chart 2. Main countries of the inflow and outflow of investments in 2013



Source: own study based on NBP data [NBP-National Bank of Poland]

Another sector are entities with foreign capital. According to surveys of the Central Statistical Office, the population of these entities amounted to 26 128 units in 2013. In the same year, 1 489 entities with foreign capital were established compared to 1 712 of such entities in 2012. Among the entities set up in 2013 there were 1 214 new units, so called "Green field investors". The highest number of new entities was observed in activities related to culture, entertainment and recreation – 9.0%, in mining and extractive industry - 8.5%, in production and supply of electricity, gas and water – 8.2%. Foreign capital in entities which its value exceeded 1 million USD constitute 96.8% of total foreign capital in Poland. The highest share of foreign capital of these entities was recorded in enterprises operating in the field of manufacturing & trade (36.3%), and the repair of motor vehicles (21.1%). Generally, foreign capital allocated in Poland at the end of 2013 came from 125 countries. From the European Union countries 89.5% of the foreign capital came, and from OECD countries 94.3%. Countries that allocated capital in Poland in the greatest extent include: the Netherlands (17.1% of total foreign capital), France (16.6%), Germany (16.4%). At the end of 2013, entities with foreign capital employed 1 628.5 thousand people, 3.6% more in comparison with 2012. Most people worked in entities engaged in the processing industry - 46.3% of the total number of people working in entities with foreign capital- and in trade and repair of motor vehicles - 23.9%. Almost 70% of the total number of employed in companies with foreign capital were

⁴ Information on foreign direct investment in Poland in 2013 was prepared for the first time based on the new standards of the Organization for Economic Cooperation and Development (OECD) concerning the way of making direct investment statistics, as described in Benchmark Definition of Foreign Direct Investment 4th ed. Because of the changes, data from the previous years and current data are not directly comparable. These data also cease to be directly comparable with direct investments presented in current account deficit and international investment position divided into assets and liabilities.

employed in entities established in four voivodeships: Mazowieckie (33.7%), Wielkopolskie (14.3%), Slaskie (11.1%) and Dolnoslaskie (9.5%).

Since the introduction of the free market in Poland and the international opening of the Polish economy that followed the collapse of communism, our country has made a tremendous progress towards global economic integration.

The 27th place of Poland in Globalisation Index 2012 – ranking of most globalized world economies prepared each year by Ernst & Young - is the confirmation of this progress. Poland precedes in the ranking, among other countries, Italy (which is at 30th place), South Korea (33rd), Japan (43rd), but also the BRIC countries - Brazil (45th), Russia (48th), India (54th) and China (44th) .

Compared with the previous edition of the Globalisation Index 2011, Poland has improved its overall score by 0.06 points to 4.23 points, which was enough to defend its position in the ranking. In the first edition of the ranking of Ernst & Young in 1995, Poland was at the 40th place, while the highest, 25th position in the Index, Poland has achieved in 2012.

Ernst & Young prepared globalisation Index based on interviews with 750 managers from international companies from the 60 largest economies in the world (by GDP). It is designed to measure the links between these economies. The value of the Index for individual countries consists of grades in five categories, respectively, openness to trade, capital flow, mobility of labour, exchange of technology and knowledge, and cultural integration.

Globalisation Index allows to identify areas that are the strengths of Poland compared to other countries of the world, as well as sides that should be improved. The report shows that in the category of openness to trade, Poland comes out best. The weakest side of Poland is rated in terms of technology and knowledge. Small investments in research and development and related to it low level of trade exchange shows a direction in which Polish economy and enterprises should evolve. According to the report, another possible direction of development is to increase export, both by entering new markets and expanding the range of exported goods. Another challenge for the Poland is to increase, in the context of increasing globalisation, competitive advantage in Central and Eastern Europe as an attractive country for foreign investment. An activity that certainly would contribute to the increase of the inflow of foreign direct investments to Poland is an extension of operation of special economic zones that offer investors preferential conditions, that cover, among other things, tax credits. In the light of current legal regulations, these zones would cease to operate in 2020 what is, unfortunately, not an optimistic sign in a long-term perspective.

Competitiveness of Poland in Central and Eastern Europe, confirmed by the report of Ernst & Young 2012, in which Poland was considered the second most attractive country for investment in Europe (behind Germany) can not be taken for granted, it should, however, be consistently reinforced. Special economic zones is one of the key factors that attract foreign investors to Poland – therefore, their future must be decided as quickly as possible. The attractiveness of Poland is largely dependent on the development of the economic zones. Another way to increase the attractiveness of Poland to consider is a more flexible labour law.

Investment attractiveness may be a subjective term, but the inflow of investments is hard data. These data show that in 2012, Poland has attracted significantly less foreign investment than a year earlier. According to preliminary data of the National Bank of Poland, the inflow of foreign direct investment to Poland last year amounted to 2.9 billion euros, while in 2011 reached 13.6 billion euros. These data seem to be confirmed by the estimated calculations presented at the United Nations Conference on Trade and Development (UNCTAD), which show that in 2012 inflow of FDI of amounted to 4.1 billion USD and a year earlier to 18.9 billion dollars.

Conclusion

In conclusion, the size of the global foreign direct investments are growing much more rapidly than world trade or production, which in turn causes a rapid increase in the role of FDI as a “binding agent” of global economy. With increasing globalisation, FDI are increasingly used to minimize the possible adverse effects of globalisation and enhance its positive effects. Over the course of liberalization of restrictions on FDI it is important not to cause a situation where national regulations and restrictions could be replaced by a restrictions put forward by private companies. Those countries that fail to attract foreign investors and use them as a catalyst in the process of modernization of the domestic industry, are at greater risk of being on the verge of globalisation of the world economy.

The processes of economic globalization – increase of the flow of goods, services, capital and technology that lead to the integration and merging of markets, extension of the range and scope of the international business and the deepening of interdependence among countries - have a significant impact on the conditions for success of economic policy. Globalization changes the external environment in which national entities operate. On the one hand, it opens new opportunities, but on the other, it imposes a serious threat. That is why both governments and businesses must take appropriate measures and strategies to meet new challenges.

Domestic companies that undertake investments abroad may also bring benefits from participation in the processes of globalization. The government policy in Poland has been focused on attracting foreign investors to Poland for a dozen of years. It supports investing domestic resources abroad in a small extent. Other countries use many instruments to support such action. In an era of globalization the investments should flow in both directions. The investors are looking for suitable locations for business and its forms worldwide. The possibility to expand contacts for Polish companies and access global markets, to a large extent, depends on the level of globalisation infrastructure.

References

1. G.W. Kołodko, 2002, *Rozwój polskiej gospodarki. Perspektywy i warunki*, Wydawnictwo Wyższej Szkoły Zarządzania i Przedsiębiorczości, Warszawa, s. 92.
2. A. Marszałek (red), *Gospodarka światowa (zarys wykładu)*. Łódź 1991, p.58 - 62.
3. E. Czarny, K. 2007, *Śledziwska, Zmiany w światowym handlu w latach 1950 -2004*, [w:] Bank i Kredyt, April, p.71 – 73.
4. A. Jarczewska-Romaniuk, 2003, *Korporacje w procesie globalizacji*, Sprawy Międzynarodowe, no 1, p.140.
5. I. Goldin, K. Reinert, 2006, *Globalization for development: trade, finance, aid, migration, and policy*, New York p.78.
6. J. H. Dunning, 1970, *Studies in International Investment*, London, p.27.
7. B. Czarny, *Gospodarka otwarta* [w:] Globalizacja od A do Z, pod red. E. Czarny, Warszawa 2004, p.138
8. K. Ohmae, 1995, *The Borderless World: Power and Strategy in the Inter – Linked Economy*, New York .
9. J. Stiglitz, 2007, *Future of Globalization. Explorations in light of recent turbulence*, (ed.) E. Zedillo, London – New York, p. 81.
10. M. Castells, 2000, *Materials for an exploratory theory of the network society*, “British Journal of Sociology”, Vol. 51, Issue 1, pp. 10-11.
11. D.B. Shaw, 2008, *Technoculture*, Oxford – New York, p. 26.
12. Z. Bauman, 2000, *Globalization, what results from it for people*, Warsaw, p.7 C. Grece, M. Greffrath, H. Schumann, 2004, *Czego chcą krytycy globalizacji - ATTAC*, Kraków, p. 47-51.

13. A. Zorska, 1998, *Ku globalizacji. Przemiany w korporacjach transnarodowychi gospodarce wiatowej*, Warszawa, s.9.

აგნეშკა რზეპკა
ეკონომიკის დოქტორი
(პოლონეთი)

**უცხოური პირდაპირი ინვესტიციები და საერთაშორისო ვაჭრობა
ეკონომიკის გლობალიზაციის ასპექტში. პოლონეთის მაგალიტი
ვრცელი რეზიუმე**

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში სხვადასხვა ტიპის ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები ვითარდება. ყველაზე მნიშვნელოვანია საქონლისა და მომსახურების გაცვლა, უცხოური ვალუტის ბაზრებზე ვაჭრობა, კაპიტალისა და შრომის ნაკადები, საერთაშორისო საწარმოო და პოლიტიკური კოოპერაცია. სხვადასხვა ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობების სწრაფი განვითარება, საერთაშორისო ასოციაციებისა და ინსტიტუტების ფორმირება და მათი როლის ზრდა თანამედროვე მსოფლიოსთვის დამახასიათებელ პროცესებს წარმოადგენენ.

პოლონეთის ეკონომიკა უფრო და უფრო ღია ხდება და მასზე სულ უფრო მეტ ზეგავლენას ახდენენ მსოფლიოს ეკონომიკური, ტექნიკური, მეცნიერული და დემოგრაფიული პროცესები. ფაქტორები, რომელიც გადამწყვეტ ზეგავლენას მოახდენენ მასზე გრძელვადიან პერსპექტივაში, დიდი ალბათობით, განაპირობებენ გადასვლას ინფორმაციული ცივილიზაციისა ეპოქაში. ინფორმაციული ცივილიზაციის მთავარი დეტერმინანტებია:

- მეცნიერებისა და განათლების როლის გაზრდა;
- ცოდნის ტრანსფორმაცია საწარმოო რესურსად;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება;
- ყველა სექტორის ფუნდამენტური ტრანსფორმაცია;
- ახალი პროფესიების გაჩენა, რომელიც მოითხოვს ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გამოყენების უნარ-ჩვევებს.

გლობალური უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მსოფლიო ვაჭრობა, რაც, თავის მხრივ, წარმოქმნის უცხოური პირდაპირი ინვესტიციების როლის, როგორც გლობალური ეკონომიკის „შემკვერელი აგენტის“, სწრაფ ზრდას. გლობალიზაციის გაღრმავებისას უცხოური პირდაპირი ინვესტიციები მეტად და მეტად გამოიყენება იმისათვის, რომ მინიმუმამდე დაიყვანონ გლობალიზაციის შესაძლო მაგნი (ნეგატიური) შედეგები და გააძლიერონ მისი დადებითი ეფექტები. უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებზე შეზღუდვების ლიბერალიზაციისას მნიშვნელოვანია, რომ არ წარმოიქმნას სიტუაცია, როდესაც ეროვნული რეგულაციები და ბარიერები შეიცვლება კერძო კომპანიების მიერ წამოყენებული შეზღუდვებით.

ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესები, განაპირობებენ რა საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ტექნოლოგიების ნაკადების ზრდას, რაც იწვევს ბაზრების ინტეგრაციასა და შერწყმას, საერთაშორისო ბიზნესის სპექტრისა და ფარგლების გაფართოებას და ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავებას, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ იმ პირობებზე, რომელიც ეკონომიკური

პოლიტიკის წარმატებას ხელს უწყობს. გლობალიზაცია ცვლის იმ გარემო პირობებს, რომელშიც ფუნქციონირებენ ეროვნული ორგანიზაციები. ერთი მხრივ, ეს ხსნის ახალ შესაძლებლობებს, მაგრამ, მეორე მხრივ, მოიცავს სერიოზულ საფრთხეებსაც. სწორედ ამიტომ, როგორც მთავრობებმა, ისე ბიზნესებმა უნდა განახორციელონ შესაბამისი ზომები და სტრატეგიები, რათა სათანადოდ დახედნენ ახალ გამოწვევებს.

ეროვნულ კომპანიებს, რომლებიც საზღვარგარეთ ახორციელებენ ინვესტიციებს, შეუძლიათ ასევე მიიღონ სარგებელი გლობალიზაციის პროცესებში მონაწილეობით. პოლონეთის მთავრობის პოლიტიკა უკვე ათეული წლების განმავლობაში ორიენტირებულია უცხოელი ინვესტორების მოზიდვაზე, ამასთან, მხარს უჭერს მცირე მოცულობით შიდა რესურსების ინვესტიციების განხორციელებას საზღვარგარეთ. სხვა ქვეყნები მრავალ ბერკეტს იყენებენ, რომ ამგვარ ქმედებებს მხარი დაუჭირონ. გლობალიზაციის ეპოქაში ინვესტიციების ნაკადები უნდა მიდიოდეს ორივე მიმართულებით. ინვესტორები მთელი მსოფლიოს მასშტაბით ეძებენ შესაფერის ადგილს ბიზნესისა და მისი ფორმირებისთვის. პოლონური კომპანიებისთვის კონტაქტების გაფართოებისა და გლობალური ბაზრების ხელმისაწვდომობის შესაძლებლობები, მეტწილად, გლობალიზაციის ინფრასტრუქტურის განვითარების დონეზე არის დამოკიდებული.

მენეჯმენტი
MANAGEMENT

Nugzar Paichadze

Associated Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Eka Chokheli

Associated Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Giuli Keshelashvili

Associated Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Manana Kharkheli

Assistant Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shorena Tielidze

PHD candidate

Ivane Javakhishvili Tbilisi State University,

Giorgi Tchuradze

PHD candidate

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**ISSUES OF HR MANAGEMENT IMPROVEMENT IN PRIVATE SECTOR OF
GEORGIAN ECONOMY
(Grant project)**

Summary

Work offers overview the issues of HR management in Georgian companies. In particular, it provides analysis of the issues of personnel development planning, identification of the recruitment rules and techniques, personnel assessment, selection and employment, employee adaptation, training, qualification improvement and development, personnel motivation, communication and decision-making process, organizational strategy and organizational structure suitability, assessment of the personnel activities and labor potential, personnel carrier management and HR management system software.

The directions for improvements of these issues are identified.

Keywords: *human resources, private sector, qualification, personnel motivation, organizational strategy, organizational structure*

1.Introduction

Successful functioning of the organizations is the basis for their economic growth, i.e. degree of economic growth depends on the quality of management quality at various levels of management hierarchy. One of the most significant components of management quality is the quality of HR management. Numerous interesting publications of both, foreign and Georgian economist-researchers deal with the issues of HR management [1;2;3;4;5;6;7;8;9]. Given complexity of the mentioned problem and its permanent change with time, studying of the relevant issues is still of significance. The work is focused on the factors affecting prompt decision-making and transparency of HR management processes.

Solving of the organizational issues requires application of the instruments and mechanisms not used before. These instruments and mechanisms include: organizational culture, business ethics, motivation, recruiting of the managerial personnel from the people distinguished with

intelligence and smartness, their re-training. Mostly, the managers deal well with the current objectives of the organization's functioning but often they have no sufficiently trained to deal with the development strategic objectives.

Such lack of training is the main cause of the managerial crisis in Georgian companies, whose errors result in additional risks, costs and restricts effective decision-making opportunities.

To study the HR management problems in Georgian private sector we have applied the qualitative research methods, in particular – in-depth interviews oriented towards problem identification. For each of the respondents the goals were pre-determined and on this basis the questionnaire was prepared to collect specific information. The representatives of Georgian companies (high, medium and low level managers) were interviewed.

2. HR Management Systems in Private Sector of Georgian Economy

HR management in Georgian companies is distinguished with certain characteristics. In most companies HR management is regarded as a sphere not closely linked with the business. Survey showed that only few managers regard that staff motivation management is their work. In many Georgian companies the role of HR manager is not quite clear and it is excessively simplified. It is mostly identified with the administration activities and is limited to making employment contracts with the staff members, recording of those who were late and arrangement of the leaves.

HR management strategy, similar to the relevant specific incentives, is effective only where they are adjusted to the organization's general strategy, its goals and promotes achievement of the organization's mission. Any organization is doomed without well-conceived strategy (both, general organizational strategy and HR management strategy are implied): its activities would be unthought and inconsistent, while the resources would be spent unreasonably and ineffectively.

Actually, the directions of the companies' HR activities basically depend on the organizational goals and plans. Business manager needs the HR manager as his/her business partner, able to provide information about whether the organization has reliable human resources to achieve better results or advices that achievement of goals would be complicated due to high personnel turnover. There are many cases where the organization's manager instructs the HR manager to write the strategy and this is not correct. HR management strategy is the vision of how personnel should be managed so that the business was able to achieve the planned results. This is the set of decisions oriented towards improvement of business revenues, change the behavior of organization members, to ensure that the organization achieves planned results. At the same time, HR management strategy should be integrated into the business strategy. HR manager should be aware in business strategy and he/she should be the full capacity member of the business management team. Before organization strategy is approved, the HR manager should state what are the team's opportunities and risks for achievement of strategic goals, i.e. the managers should plan personnel management directions together with the HR manager, to ensure achievement of the new results.

Mostly, Georgian companies apply the following HR management strategies: staffing (providing human resources to the company), development (making as much investments for personnel training and career growth as possible, outcomes management), maintenance (taking care about wider involvement) and labor remuneration management. In addition to these key strategies, there are some recruiting strategies (e.g. hiring of the best personnel only), development strategies (promotion of the staff members with the best achievements only) and remuneration strategies (offering the highest remunerations at market).

Depending on the organization's needs, its capabilities and risks, its strengths and weaknesses, HR strategies, extent of its correspondence to business strategy, these issues should be discussed by HR manager together with the management team. The main management problem in Georgian companies is that only the humanitarian sphere is regarded as the sphere of activities of HR manager rather than business management. Actually, HR

manager is required to provide information about the structure of the company's human resources, staff turnover and what can be contributed to the company by each of the employees.

Studies conducted in the sphere of job descriptions, assessments and motivation systems showed that job descriptions comprise the key component of HR management. They state for each specific position the necessary functions, responsibilities, competences, improve individual and organizational effectiveness, familiarize the personnel with the goals of the specific positions and organization. Study results show that job descriptions are developed for almost all positions in the private sector though only 40% are provided. Study of the motivation methods show that in Georgian companies financial rewards comprise the most widespread form of personnel motivation, with 70% share in total motivation measures, while forced motivation cause by the fear of punishment has 20% share while development opportunity has only 10% share. At the same time, the bonus system of rewarding depends not on the individual achievements but rather on the supervisor's subjective opinion. It should be noted that most respondents attempt to perform their duties properly due to financial expectations.

As human resources comprise the main basis for any organization, the quality and characteristics of the work performed by them directly affect the companies' results. Organization should take care about not only selection of the highly qualified personnel but also about their permanent professional and personal growth and development.

According to the survey results, the process of staff selection and hiring mostly includes standard procedures, implying providing of personal information, testing and interviewing. Testing was mostly of general nature, in many cases, the existing standards did not correspond to the qualification requirements and said almost nothing about the candidate's professional knowledge. 80% of the respondents regarded that their advantage compared with the other candidates was their personal information, work experience and test results and 20% regarded that these were the place of residence, appearance and communication skills. A personal development may result from self-development and with the assistance of the organization to which he/she belongs to. It is necessary that the staff members had motivation for self-development to cultivate his/her abilities, seek the ways and methods for improvement of his/her professional and personal skills, plan and make specific steps and further, evaluate achieved results. He/she should be sure that these results would be seen and properly appreciated. At the same time, the company should ensure planning of the staff development process, its proper implementation. In most Georgian companies no proper attention is paid to staff development processes or they occur spontaneously. As a result, they have overtired employees dissatisfied with their monotonous work, with permanently decreasing productivity.

Knowledge improvement may be provided via formal trainings, self-education, professional and work meetings and other activities. The process of personnel development planning includes assessment of the personnel abilities, their education, immediate needs and potential resources. 90% of the companies have personnel development plans in Georgian private sector. Large companies mostly rely on general training courses that are not relevant, either with respect of their contents or their duration. Test period is quite long and frequently, the candidate's labor is used for absolutely different purposes, before he/she is appointed to the specific position.

Individual's motivation is impacted by the power. Structural role determines an individual's formal power. Greater is such power higher is the desire and sense of self-realization. Better is match between the power and responsibility, more effectively the organization's issues are solved and more motivated and willing are the people. And insufficient power and its mismatch with the responsibilities result in demotivation, demoralization of the personnel and increase their motivation to seek the other jobs.

Communication is the most significant factor for organization development. Communication between the managers and subordinated personnel is of particular significance. In Georgian companies, managers mostly use such communication means as e-mails, phone calls, meetings.

Decision-making process, in Georgian companies, is entirely authoritarian. Only few (13%) of the respondents regards that they are partially involved in this process. Proper decision-making depends on adequate decision-making process. Best means for involvement of the staff members into the decision-making process are the collegial structures, work groups and commissions. Working together the staff members apply their competences best and the organization has the opportunity to make better decisions, on one hand and ensure improvement of the staff involvement and motivation on the other. This significantly improves the sense of self-realization among the staff members.

Research showed that clearly defined responsibility is the best motivator for individual. If the staff members are well aware in the organization's expectations, i.e. they know what are they responsible for, this makes them more active, inn achieving of the desired results. Clear responsibilities stimulate the personnel to work with greater willingness even when they are dissatisfied with the work conditions. Personnel make efforts to realize their responsibilities and only after this think about leaving of their jobs. At the same time, many employees with high remuneration and good work conditions leave their jobs as they were not able to find out what their actual responsibilities were. Such things undermine the personnel motivation and labor productivity and stimulate them to seek new jobs due to insufficient sense of self-realization.

Study has identified the deficiencies in the organizational structures of Georgian companies hindering implementation of the developed strategies and preventing achievement of the stated goals. In many cases, actual distribution of functions dramatically differs from the formally allocated tasks and the names of the positions, jobs and divisions do not reflect actual job performed by the relevant structural subdivisions and positions. Such facts become the cause of numerous misunderstandings, conflicts and unpleasant disputes, reducing the staff motivation, labor productivity and wasting time. We should not the great number of structural units subordinated to general managers, frequently hindering successful performance. There are many cases where more than ten structural subdivisions are subordinated to general manager directly.

And the experience shows that it is impossible to effectively manage more than 5-7 subordinates, allocate sufficient time to each of them and properly participate in dealing with their significant problems and objectives. In many cases the functions are grouped not by their necessity for the organization but by the better experience and knowledge in the top management group. Certainly, organizational structure cannot be effective without clearly defined priorities. It should correspond to the strategy and promote its implementation, Therefore, in many cases, most part of the skills and capabilities of the employees of Georgian companies are unused and significant part of the funds is wasted without any results.

In 80% of the companies, evaluation of fulfillment of the imposed duties is provided based on the percentage of monthly plans. Significant part of the companies has the rating system leading to unsound competition between the personnel. In many cases the personnel undertakes great quantities of work requiring so much time, while the remuneration is so low that this causes dissatisfaction of the personnel. This results in high personnel turnover. Ineffective remuneration system significantly undermines the personnel's labor productivity. Here we can see also lack of respect to the personnel. This is one more cause of personnel turnover in the private sector, mostly resulting from low salaries and hard work conditions.

3. Conclusion

Analysis of HR management systems in private sector of Georgia showed that inadequately allocated roles, powers and responsibilities, improper motivation systems, inadequate management and poorly operating management systems result in low degree of

taking advantage of the personnel's capabilities and skills. Strategic development objectives are left without solution. In many cases, the persons responsible for the significant objectives are not even included into the organizational structure. For this reason, the organization misses the opportunities: ongoing processes slow down, strategically significant issues cannot be solved, positions at market weaken and finally, the companies fail to achieve the stated goals. Absence of persons responsible for the strategic objectives in the organizational structure and responsibility of the first person for whole set of strategic objectives hinders achievement of goals. Managers need to make great efforts to manage the personnel for achievement of the organizational goals.

Regarding the above, it is significant that Georgian companies implemented the following measures for the purpose of improvement of HR management:

- Adjusting of the administrative resources management strategies to the business strategies;
- Performing the process of identification of the company activities' directions before the process of structure formation;
- Formation of the organizational structure based on the in-depth understanding of the company's purposes and adequate planning of the key processes to ensure best use of the personnel's capabilities for effectively performing of the ongoing processes and implementation of the company strategies;
- Implementation of the effective HR policies directly impacting such qualities of the employees as: involvement in the management process, sense of obligations, motivation and skills;
- Instead of vesting responsibility for each of the strategic objectives in the first person, appointing of several responsible persons to ensure achievement of the organization goals.

References

1. Paichadze N., Art of Work without Conflicts with the Colleagues, Collection of Works of international scientific-practical conference, Tbilisi 2012, p.135. ISBN 978-9941-9168-4-7.
2. Alekseevski V.S., Socio-cultural Conception of General Management // Management in Russia and Abroad, 2004, № 2.
3. Prikhodko V., Ivanova T. On Replacement of Managerial Paradigms //Issues of the Management Theories and Practices, 2004, № 6.
4. Paichadze N., Chokheli E., Keshelashvili G., Kharkheli M., Tielidze Sh., Tchuradze G., Issues of Improvement of HR Management in Public Sector of Georgia, p.75-82. <http://www.iises.net/proceedings/24th-international-academic-conference-barcelona/table-of-content/detail?article=issues-of-improvement-of-hr-management-in-public-sector-of-georgia>
5. Prikhodko V., Ivanova T., Change of management paradigms / Problems of the theory and practice of management, 2004, N 6.
6. Chokheli E., 2014.The Peculiarities of the Employee Behavior Management in Multinational Companies (the Case of Georgia); Proceedings of International Academic Conference on Economics, Management and Marketing, Prague.
7. Chokheli E and Narmania D., 2015, Information Technologies In Management And Prospects To Improve Their Use By Georgian Companies. Int J Recent Sci Res, 6(9), 6515-6518
8. Keshelashvili G., Human Resources Management and It's Challenges in Public Sector of Georgia, Conference Proceedings, 7th International Research Conference, "Management Challenges in the 21st Century", Bratislava, May 19, 2015.

9. Keshelashvili G., Management Quality and its Impact on Public Sector of Georgia, Collection of Works of international scientific conference, Tbilisi 2016, p. 505-508.
10. Seturidze, R. (2016). Role of the ERP systems in the successful management of Georgian companies, BOOK OF ABSTRACTS Business Systems Laboratory Review, Vilnius, Lithuania, August. From http://bslab-symposium.net/Vilnius.2016/BSLab-Vilnius2016-e-book_of_Abstracts.pdf
11. <http://strategy.ge/>

ნუგ ზარ პაიჭაძე
ემდ., ასოც. პროფესორი,
ივ. ჭავჭავაძის სახელობის თსუ
ეკა ჩოხელი
ეად., ასოც. პროფესორი,
ივ. ჭავჭავაძის სახელობის თსუ
გიული ქეშელაშვილი
ეად., ასოც. პროფესორი,
ივ. ჭავჭავაძის სახელობის თსუ
მანანა ხარხელი
ეად., ასისტენტ-პროფესორი,
ივ. ჭავჭავაძის სახელობის თსუ
შორენა ტიელიძე
დოქტორანტი,
ივ. ჭავჭავაძის სახელობის თსუ
გიორგი ჭურაძე
დოქტორანტი,
ივ. ჭავჭავაძის სახელობის თსუ

**ადამიანური რესურსების მართვის სრულყოფის საკითხები საქართველოს
ეკონომიკის კერძო სექტორში**
(საგრანტო პროექტი)
ვრცელი რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ადამიანური რესურსების მართვის საკითხები ქართულ კომპანიებში. კერძოდ, ჩატარებული კვლევის საფუძველზე გაანალიზებულია პერსონალის განვითარების დაგეგმვის, მოზიდვის წესებისა და საშუალებების განსაზღვრის, პერსონალის შეფასების, შერჩევისა და დასაქმების, მომუშავეთა ადაპტაციის, სწავლების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და განვითარების, პერსონალის მოტივაციის, კომუნიკაციისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის, ორგანიზაციული სტრატეგიისა და ორგანიზაციული სტრუქტურის შესაბამისობის, პერსონალის საქმიანობისა და შრომითი პოტენციალის შეფასების, პერსონალის კარიერის მართვის პრობლემები. შემოთავაზებულია აღნიშნული პრობლემების სრულყოფის მიმართულებები.

ორგანიზაციათა წარმატებული ფუნქციონირება მათი ეკონომიკური ზრდის საფუძველია, ანუ ეკონომიკური ზრდის ხარისხი განისაზღვრება მართვის ხარისხით მმართველობითი იერარქიის სხვადასხვა დონეზე. მართვის ხარისხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ადამიანური რესურსების

მართვის ხარისხი. ადამიანური რესურსების მართვის პრობლემებზე საინტერესო შრომებია გამოქვეყნებული როგორც უცხოელი, ასევე ქართველი ეკონომისტ-მკვლევარების მიერ [1;2;3;4;5;6;7;8;9]. აღნიშნული პრობლემის სირთულისა და დროში მუდმივი ცვალებადობიდან გამომდინარე, მასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა კვლავაც აქტუალურია. ნაშრომში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია გადაწყვეტილების მიღების პროცესის ოპერატიულობასა და ადამიანური რესურსების მართვის პროცესების გამჭვირვალობაზე მოქმედ ფაქტორებზე.

ორგანიზაციული ამოცანების გადაწყვეტა მენეჯმენტის იმ საშუალებებისა და მექანიზმების გამოყენებას მოითხოვს, რომელიც ადრე არ გამოიყენებოდა. ეს საშუალებები და მექანიზმები: ორგანიზაციული კულტურა, საქმიანი ეთიკა, მოტივაცია, მმართველი კადრების შერჩევა აზროვნებითა და საზრიანობით გამორჩეული ადამიანებისაგან, მათი გადამზადება. მენეჯერები უმეტეს შემთხვევაში კარგად ართმევენ თავს ორგანიზაციის ფუნქციონირების მიმდინარე ამოცანებს, მაგრამ, ხშირად, განვითარების სტრატეგიული ამოცანების გადასაწყვეტად ისინი საკმარისად მომზადებულები არ არიან.

სწორედ ამგვარი მოუმზადებლობაა მმართველობითი კრიზისის მთავარი მიზეზი ქართულ კომპანიებში, რომელიც ქმნის დამატებით რისკებს, ზრდის დანახარჯებს და ამცირებს მართვის ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობებს.

ადამიანური რესურსების მართვის პრობლემების კვლევისას საქართველოს კერძო სექტორში ჩვენ გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, ჩადრმაკებული ინტერვიუ, რომელიც წარმართა პრობლემატური საკითხების იდენტიფიცირებისათვის. თითოეული რესპონდენტისათვის წინასწარ განისაზღვრა მიზნები, რის საფუძველზეც მომზადდა კითხვარი კონკრეტული ინფორმაციის მისაღებად. ინტერვიუები ჩატარდა ქართული კომპანიების წარმომადგენლებთან (მაღალი, საშუალო და დაბალი რგოლის მენეჯერებთან).

ქართულ კომპანიებში ძირითადად ადამიანური რესურსების მართვის შემდეგ სტრატეგიებს იყენებენ: სტაფინგი (კომპანიის ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა), განვითარება (რაც შეიძლება მეტი ინვესტიციის ჩადება ადამიანური რესურსის ტრენინგსა და კარიერულ ზრდაში, შედეგების მართვა), შენარჩუნება (უფრო მეტ ჩართულობაზე ზრუნვა) და შრომის ანაზღაურების მართვა. ამ ძირითადი სტრატეგიების გარდა, არსებობს რეკრუტირების სტრატეგიები (მაგალითად, მხოლოდ საუკეთესოების დაქირავება), განვითარების სტრატეგიები (მხოლოდ საუკეთესო შედეგების მქონე თანამშრომლების წახალისება) და ანაზღაურების სტრატეგიები (ბაზარზე ყველაზე მაღალი სახელფასო ანაზღაურების გადახდა).

იქიდან გამომდინარე, თუ რა სჭირდება ორგანიზაციას, რა არის მისი შესაძლებლობები და საფრთხეები, რა არის ძლიერი და სუსტი მხარეები, როგორია ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია, რამდენად შეესაბამება იგი ბიზნესის მართვის სტრატეგიას, ეს საკითხები ადამიანური რესურსების მენეჯერმა მენეჯმენტის გუნდთან ერთად უნდა განიხილოს. ქართულ კომპანიათა მართვის ძირითადი პრობლემა ისაა, რომ ადამიანური რესურსების მენეჯერის საქმიანობად მხოლოდ ჰუმანიტარული სფეროა მიჩნეული და არა ბიზნესის მართვა. სინამდვილეში, ადამიანური რესურსების მენეჯერს მოეთხოვება, რომ მენეჯერს მიაწოდოს ინფორმაცია ორგანიზაციის ადამიანური რესურსების სტრუქტურის, კადრების დენდრობისა და იმის შესახებ, თუ რა შედეგის მოტანა შეუძლია კომპანიისთვის თითოეულ თანამშრომელს.

სამუშაოს აღწერილობის, შეფასებისა და მოტივაციის სისტემების ნაწილში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სამუშაოს აღწერა ადამიანური

რესურსების მენეჯმენტის უმთავრესი კომპონენტია. იგი კონკრეტული პოზიციისათვის ადგენს აუცილებელ ფუნქციებს, პასუხისმგებლობებსა და კომპეტენციებს, ზრდის ინდივიდუალურ და ორგანიზაციულ ეფექტურობას, აცნობს პერსონალს კონკრეტული პოზიციისა და ორგანიზაციის მიზნებს. კვლევის შედეგებით დგინდება, რომ კერძო სექტორში სამუშაოს აღწერილობა გააჩნია თითქმის ყველა პოზიციას, თუმცა გაწერილი მხოლოდ 40%-ია. მოტივაციის მეთოდების კვლევამ გვიჩვენა, რომ ქართულ კომპანიებში ფინანსური წახალისება თანამშრომელთა მოტივაციის ყველაზე გავრცელებული ფორმაა და იგი 70%-ს შეადგენს, დასჯის შიშით გამოწვეული იძულებითი მოტივირება 20%-ს, ხოლო მოტივატორად განვითარების შესაძლებლობა – 10%-ს. ამასთან, წახალისების ბონუსური სისტემა დამოკიდებულია არა მუშაობის ინდივიდუალურ შედეგებზე, არამედ ხელმძღვანელის სუბიექტურ აზრზე თანამშრომლების მიმართ. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა ფინანსური მოლოდინის გამო ცდილობს დაკისრებული მოვალეობის ჯეროვნად შესრულებას.

რადგან ნებისმიერი ორგანიზაციის ძირითადი საყრდენი ადამიანური რესურსია, ამიტომ მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი და მახასიათებლები უშუალოდ აისახება კომპანიათა საქმიანობის შედეგებზე. ორგანიზაცია უნდა ზრუნავდეს არა მარტო კვალიფიციური კადრების შერჩევაზე, არამედ მათ მუდმივ პროფესიულ და პიროვნულ ზრდა-განვითარებაზეც. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, კადრების შერჩევა-დაქირავების პროცესი რესპონდენტთა უმრავლესობამ სტანდარტული პროცედურებით გაიარა, რაც გულისხმობს პერსონალური ინფორმაციის მიწოდებას, ტესტირებას და გასაუბრებას. ტესტირება უმეტესად ზოგადი ფორმით ტარდებოდა, ხშირად არსებული სტანდარტები არ შეესაბამებოდა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და თითქმის არაფერს გვეუბნებოდა კანდიდატის პროფესიული ცოდნის შესახებ. ამა თუ იმ პოზიციაზე დანიშვნისას საკუთარ უპირატესობად რესპონდენტთა 80%-მა სხვა კანდიდატებთან შედარებით პერსონალური ინფორმაცია, სამსახურებრივი გამოცდილება და ტესტირების შედეგები მიიჩნია, ხოლო 20%-მა – საცხოვრებელი ადგილი, ვიზუალი და კომუნიკაციის უნარი. პიროვნების განვითარება შეიძლება მოხდეს როგორც თვითგანვითარებით, ისე იმ ორგანიზაციის დახმარებით, რომლის წევრიცაა. აუცილებელია, თანამშრომელს ჰქონდეს მოტივაცია თვითრეალიზაციისთვის, რათა მეტად იმუშაოს საკუთარ თავზე, მოიძიოს გზები და მეთოდები პროფესიული და პიროვნული უნარების გასაუმჯობესებლად, დაგეგმოს და განახორციელოს კონკრეტული ნაბიჯები, ხოლო შემდეგ, თვითონ შეაფასოს მიღწეული შედეგები. ის უნდა იყოს დარწმუნებული, რომ ამ შედეგებს დაინახავენ და სათანადოდ დააფასებენ. ამავე დროს, კომპანიამ უნდა უზრუნველყოს თანამშრომლების განვითარების პროცესის დაგეგმვა და სწორად წარმართვა. ქართულ კომპანიათა უმეტესობაში თანამშრომელთა განვითარების პროცესს ან ნაკლები ყურადღება ეთმობა, ან სპონტანური ხასიათი აქვს. ამის შედეგად იღებენ მუდმივი ერთფეროვნებით უკმაყოფილო და გადაღლილ კადრებს, რომელთა პროდუქტიულობაც მუდმივად მცირდება.

ცოდნის ამაღლება შესაძლოა განხორციელდეს ფორმალური ტრენინგის, თვითშემეცნების, პროფესიული და სამუშაო შეხვედრებისა და სხვა აქტივობების საშუალებით. პერსონალის განვითარების დაგეგმვის პროცესი მოიცავს პერსონალის შესაძლებლობების, განსწავლულობის, დაუყოვნებელი საჭიროებებისა და პოტენციური რესურსების შეფასებას. საქართველოს ეკონომიკის კერძო სექტორში პერსონალის განვითარების გეგმა კომპანიათა 90 %-ს გააჩნია. მსხვილ კომპანიებში ძირითადად გამოიყენება ტრენინგების ზოგადი

კურსი, რომელიც არ არის რელევანტური არც შინაარსით და არც ხანგრძლივობით. გამოსაცდელი პერიოდი საკმაოდ დიდია და ხშირად პრეტენდენტის შრომა სულ სხვა მიმართულებით გამოიყენება გარკვეულ პოზიციაზე დანიშნამდე.

აღამიანთა მოტივაციაზე გავლენას ახდენს ძალაუფლება. სტრუქტურული როლი განსაზღვრავს პიროვნების ფორმალურ ძალაუფლებას. რაც უფრო დიდია ეს ძალაუფლება, მით უფრო მაღალია თვითრეალიზაციის სურვილი და განცდა. რაც უფრო შესაბამისობაშია ძალაუფლება პასუხისმგებლობასთან, მით უფრო ეფექტიანად წყდება ორგანიზაციული ამოცანები და აღამიანები უფრო მოტივირებულები და მონდომებულები არიან. ხოლო არასაკმარისი ძალაუფლება და მისი შეუსაბამობა პასუხისმგებლობასთან პერსონალის დემოტივაციას, დემორალიზაციას და სხვა სამსახურის ძებნისათვის მოტივაციის ზრდას იწვევს.

კომუნიკაცია უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ორგანიზაციის განვითარებისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომუნიკაცია მენეჯერებსა და მათდამი დაქვემდებარებულებს შორის. ქართულ კომპანიებში მენეჯერები ძირითადად იყენებენ კომუნიკაციის ისეთ საშუალებებს, როგორცაა ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი, შეხვედრები. გადაწყვეტილების მიღების პროცესი ქართულ კომპანიებში ძირითადად ავტორიტარულია. გამოკითხულთა მხოლოდ მცირე ნაწილი (13%) ფიქრობს, რომ ისინი ნაწილობრივ არიან ჩართულნი ამ პროცესში. სწორი გადაწყვეტილებების მიღება გადაწყვეტილების მიღების პროცესის სწორად წარმართვაზე დამოკიდებული. გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში თანამშრომელთა ჩართვის მნიშვნელოვანი საშუალებაა კოლევგური სტრუქტურები, სამუშაო ჯგუფები და კომისიები. ერთობლივი მუშაობით თანამშრომლები საკუთარ კომპეტენციებს უკეთესად იყენებენ, ორგანიზაციას კი ეძლევა შესაძლებლობა, რომ, ერთი მხრივ უკეთესი გადაწყვეტილებები მიიღოს, ხოლო მეორე მხრივ, თანამშრომელთა ჩართულობა და მოტივაცია გაზარდოს. ეს თანამშრომელთა თვითრეალიზაციის განცდას მნიშვნელოვნად ამაღლებს.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მკაფიოდ განსაზღვრული პასუხისმგებლობა ყველაზე დიდი მოტივატორია აღამიანებისთვის. როცა თანამშრომლებმა იციან, რას ელოდება მათგან ორგანიზაცია, ანუ კონკრეტულად რაზე არიან ისინი პასუხისმგებელნი, ეს ხელს უწყობს მათ აქტიუობას, რომ მიაღწიონ სასურველ შედეგს. მკაფიო პასუხისმგებლობა სტიმულს აძლევს პერსონალს, დიდი მონდომებით იმუშაოს მაშინაც კი, როდესაც უკიდურესად უკმაყოფილოა სამუშაო პირობებით. მომუშავე ცდილობს, განახორციელოს, თავისი პასუხისმგებლობა და შემდეგ უკვე იფიქროს სამსახურიდან წასვლაზე. ამავე დროს, ხშირად ტოვებს სამსახურს ის მომუშავეც, რომელსაც აქვს მაღალი ანაზღაურება და კარგი სამუშაო პირობები, იმის გამო, რომ ვერ გაარკვია, რა არის მისი რეალური პასუხისმგებლობა. მსგავსი შემთხვევები პერსონალის მოტივაციასა და შრომის მწარმოებლურობას ამცირებს და არასაკმარისი თვითრეალიზაციის განცდით ახალი სამსახურის ძიების მოტივებს უზრდის.

ქართულ კომპანიათა ორგანიზაციულ სტრუქტურებში კვლევის შედეგად გამოვლინდა ხარვეზები, რომლებიც ხელს უშლის შემუშავებული სტრატეგიების განხორციელებასა და დაგეგმილი შედეგების მიღწევას. ხშირად ფუნქციების ფაქტობრივი განაწილება რადიკალურად განსხვავდება ოფიციალურად გაწერილი დავალებებისაგან და სამუშაო ადგილის, სამსახურებისა და განყოფილებების დასახელებები არ ასახავს შესაბამის ქვედანაყოფსა და პოზიციაზე ფაქტობრივად განხორციელებულ სამუშაოს. ასეთი ფაქტები უამრავი გაუგებრობის, კონფლიქტისა და უსიამოვნო გარჩევის მიზეზი ხდება,

რაც ამცირებს თანამშრომელთა მოტივაციას, შრომის მწარმოებლურობას და ხელს უწყობს დროის არამიზნობრივ ხარჯვას. შეინიშნება გენერალური მენეჯერისადმი დაქვემდებარებული სტრუქტურების სიმრავლე, რაც ხშირად აფერხებს მიმდინარე საქმიანობის წარმატებით განხორციელებას. ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ათზე მეტი ქვედანაყოფი უშუალოდ გენერალურ დირექტორს ექვემდებარება. გამოცდილება კი გვიჩვენებს, რომ 5-7 დაქვემდებარებული მეტის ეფექტიანი მართვა, მათთვის საკმარისი დროის გამოყოფა, აქტუალური პრობლემებისა და ამოცანების გადაწყვეტაში საფუძვლიანი მონაწილეობა, შეუძლებელია. ხშირად ფუნქციები დაჯგუფებულია არა იმის მიხედვით, თუ რომელი ფუნქციის არსებობაა საჭირო ორგანიზაციისათვის, არამედ იმის მიხედვით, თუ ტომენეჯმენტის გუნდში ვის უკეთესი გამოცდილება და ცოდნა აქვს.

ცხადია, რგანიზაციული სტრუქტურა მკაფიოდ განსაზღვრული პრიორიტეტების გარეშე ვერ იქნება შედეგიანი, ის უნდა შეესაბამებოდეს ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიას და ხელს უწყობდეს მის რეალიზაციას. ამიტომაც, რომ ხშირად ქართულ კომპანიათა თანამშრომლების უნარებისა და შესაძლებლობების დიდი ნაწილი გამოუყენებელია, ხარჯების დიდი ნაწილი კი უშედეგოდ იკარგება. დაკისრებული ვალდებულების შესრულება კომპანიათა 80%-ში ყოველთვიური გეგმების პროცენტული შესრულების მიხედვით ფასდება. კომპანიათა მნიშვნელოვან ნაწილს აქვს შეფასების ისეთი რეიტინგული სისტემა, რომელიც პერსონალის არაჯანსაღ კონკურენციას განაპირობებს. ხშირად პერსონალი შესასრულებლად იღებს დიდი მოცულობის სამუშაოს, რომლის შესრულებისათვის განკუთვნილი დრო იმდენად დიდი და შრომის ანაზღაურება იმდენად მწირია, რომ პერსონალის უკმაყოფილების მიზეზი ხდება, რაც იწვევს კადრების დენადობას. არაეფექტიანი სახელფასო სისტემა მნიშვნელოვნად ამცირებს პერსონალის შრომის მწარმოებლურობას. აქვე ვაწყდებით პერსონალის მიმართ უპატივცემულო დამოკიდებულებას. აღნიშნულის გამო, კერძო სექტორში ხშირია კადრების დენადობის ფაქტები, რაც ძირითადად დაბალი ხელფასითა და რთული სამუშაო პირობებითაა გამოწვეული.

საქართველოს ეკონომიკის კერძო სექტორში ადამიანური რესურსების მართვის სისტემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ არასწორად განაწილებული როლები, ძალაუფლება და პასუხისმგებლობები, არასწორად ჩამოყალიბებული მოტივაციის სისტემები, არასწორი მართვა და გაუმართავი მართვის სისტემები განსაზღვრავს უმეტესად პერსონალის შესაძლებლობებისა და უნარების გამოყენების დაბალ ხარისხს. გადაუჭრელი რჩება განვითარების სტრატეგიული ამოცანები. ხშირად მნიშვნელოვან ამოცანებზე პასუხისმგებელი პირები არც კი მოიძებნებიან ორგანიზაციულ სტრუქტურაში. ამის გამო ორგანიზაცია მრავალ შესაძლებლობას კარგავს: მიმდინარე პროცესები ნელდება, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საკითხები ვერ იჭრება, ბაზარზე მათი პოზიციები სუსტდება და საბოლოოდ კომპანია ვერ აღწევს დასახულ მიზნებს. კომპანიათა ორგანიზაციულ სტრუქტურაში სტრატეგიულ ამოცანებზე პასუხისმგებელი პირების არარსებობა და პირველი პირის პასუხისმგებლობა რამდენიმე სტრატეგიულ ამოცანაზე, ხელს უშლის მიზნის მიღწევას. მენეჯერებს დიდი ძალისხმევა სჭირდებათ თანამშრომელთა სამართავად ორგანიზაციული მიზნების მიღწევისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ქართულ კომპანიაში, ადამიანური რესურსების მართვის სრულყოფის მიზნით, შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

— ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის შესაბამისობაში მოყვანა ბიზნესის სტრატეგიასთან;

- კომპანიათა საქმიანობის მიმართულებების განსაზღვრის პროცესის წინსწრება სტრუქტურის ფორმირების პროცესის მიმართ;
- ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება კომპანიათა დანიშნულების საფუძველიანი გააზრებისა და ძირითადი პროცესების სწორად დაგეგმვის საფუძველზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პერსონალის შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენება მიმდინარე პროცესების ეფექტიანად წარმართვისა და კომპანიათა სტრატეგიების განხორციელებისათვის;
- ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვის პოლიტიკის განხორციელება, რომელიც უშუალო გავლენას მოახდენს დასაქმებულის ისეთ თვისებებზე, როგორცაა: მართვის პროცესებში ჩართულობა, ვალდებულების გრძნობა, მოტივაცია და უნარები;
- თითოეულ სტრატეგიულ ამოცანაზე, პირველი პირის პასუხისმგებლობის ნაცვლად, სხვადასხვა პასუხისმგებელი პირის დანიშვნა, რათა შესაძლებელი გახდეს ორგანიზაციული მიზნების მიღწევა.

ზინანსები
FINANCE

ირინე მამალაძე

*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი*

კომპანიების რეორგანიზაცია და ინტერესთა დაბალანსების პრობლემა

რეზიუმე

სტატიაში განხილულია კომპანიების რეორგანიზაციის დროს გამყოფი და საწყისი, სასტარტო ბალანსების ფორმირების პროცესები და მისი მნიშვნელობა როგორც ახლად შექმნილი, ისე რეორგანიზებული საზოგადოებების აქტივებისა და პასივების სტრუქტურის განსაზღვრაში. ასევე განსაზღვრულია „შუალედური“ გამყოფი ბალანსის შედგენის მიზანშეწონილობა გამოყოფილი საზოგადოების სახელმწიფო რეგისტრაციამდე გარდამავალი პერიოდის შედეგების, სამართალ-მემკვიდრეობის წესების და რეორგანიზებული საზოგადოების ფინანსური მდგრადობის კონტროლისათვის.

საკვანძო სიტყვები: კომპანიის რეორგანიზაცია, გამყოფი ბალანსი, შუალედური გამყოფი ბალანსი სასტარტო, საწყისი ბალანსი.

შესავალი

კომპანიის რეორგანიზაციის დროს სერიოზულ პრობლემებს ვაწყდებით გამყოფი და საწყისი, სასტარტო ბალანსების ფორმირებისას. გამყოფი ბალანსი უნდა შეესაბამებოდეს, აქციონერთა მიერ დასმულ ამოცანებსა და მდგრადი ბიზნესის მოთხოვნებს. დამწყები ბალანსის კონტროლი გარდამავალ პერიოდში ამ მოთხოვნებთან არსებულ ნორმატიულ შეზღუდვებს, კრედიტორების ან შესრულებას უზრუნველყოფს.

თანამედროვე ბიზნესში ჩვეულებრივ ამბადაა ქცეული კომპანიის რეორგანიზაცია. ხშირად კომპანიები ალიანსებში შედიან ერთმანეთთან, რომლებიც შემდგომ იურიდიულ გაერთიანებად გარდაიქმნებიან. უფრო ძლიერი კონკურენტები ზოგჯერ იერთებენ და შთანთქავენ უფრო სუსტებს. მზარდი კომპანიები დამოუკიდებელ იურიდიულ პირებად გამოყოფენ (spin off) ცალკეულ ბიზნესებს, რათა ისინი უფრო მოქნილად განვითარდნენ [Юджин Ф., Бригхэм М., Эрхардт С., 2005]. ძალიან მსხვილი ფირმები იძულებული ხდებიან, დანაწევრდნენ, რადგან ამას მოითხოვს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა ან ძირითად აქციონერთა განსხვავებული ინტერესები და სხვა. თანამედროვე ფინანსური კრიზისი მთელ რიგ კომპანიებს უბიძგებს ცალკეული აქტივების ან ბიზნისების გამოყოფისკენ, რათა ან გირაოდ მოხდეს მათი გაცემა, ან გაიყიდოს და ასე დაიფაროს საკრედიტო პორტფელი.

შთანთქმისა და შეერთების შემთხვევაში ფინანსური საკითხები შედარებით მცირეა – ყველა კომპანიის აქტივები და ვალდებულებები იმ ერთ სამართალ-მემკვიდრის ხელში გადადის, რომელიც ყველა მათგანზე აგებს პასუხს. რას შეეხება დანაწევრებას ან გამოყოფას, ამ დროს ხდება აქტივებისა და ვალდებულებების იმგვარად დაყოფის პრობლემა, რომ შექმნილ კომპანიებს ჰქონდეთ ფინანსური მდგრადობა და საკმარისი ლიკვიდობა. ამასთან, ეს დამაჯერებელი უნდა იყოს კრედიტორებისა (იმ საგადასახადო ორგანოების

ჩათვლით, რომლებმაც შეიძლება უარი განაცხადონ ამ კომპანიების დარეგისტრირებაზე) და მინორიტარული აქციონერებისათვისაც კი.

როგორც ახლად შექმნილი, ისე რეორგანიზებული საზოგადოებების აქტივებისა და პასივების სტრუქტურას ის განსაზღვრავს, თუ როგორ ჩამოყალიბდნენ და დაამტკიცებენ აქციონერები გამყოფ ბალანსს. დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ როგორ ჩამოყალიბდება საწყისი – სასტარტო ბალანსი. საერთო კრებაზე აქციონერებს ფიზიკურად შეუძლიათ დაამტკიცონ გამყოფი ბალანსი მხოლოდ განვლილი თარიღის მდგომარეობით, ამ ბალანსის დამტკიცებიდან ახალი საზოგადოების რეგისტრაციამდე კი არანაკლებ ორნახევარმა თვემ უნდა გაიაროს (კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების ჩასატარებლად). აქტივებისა და პასივების მდგომარეობა ამ პერიოდის განმავლობაში უსათუოდ შეიცვლება, რადგან პრაქტიკულად შეუძლებელია საზოგადოებაში ამდენი ხნით გაყინოს ყოველგვარი საქმიანობა [Синнамон Р., Врайан Х., 2003].

ამგვარად წამოიჭრება კითხვა, თუ როგორ უნდა შევადგინოთ გამყოფი ბალანსი და როგორ უზრუნველყოთ მასში ჩადებული იდეებისა და პრინციპების დაცვა ახალი საზოგადოებების დამწყები – სასტარტო ბალანსის ფორმირების მომენტამდე. ამ მხრივ დღემდე დაგროვილი გამოცდილება შემდეგ მიდგომებს გვთავაზობს.

დანაწევრების ან გამოყოფის გზით რეორგანიზაციის დროს გამყოფი ბალანსის შედგენა მიზანშეწონილია საბაზო ბალანსში ნავარაუდები ფულადი ნაკადის (დადებითისა და უარყოფითის) საფუძველზე.

რეორგანიზაციის შემდეგ თითოეულ საზოგადოებას კრედიტორული დავალიანების დასაფარად უნდა ჰქონდეს იმ სახსრების ადეკვატური წყაროები, როგორც რეფორმირებამდე ჰქონდა რეორგანიზებად საზოგადოებას. ამგვარ წყაროებად გვევლინება ფულადი სახსრები, ფინანსური დაბანდებები, დებიტორული დავალიანება, გრძელვადიანი ფინანსური დაბანდებებისა თუ არაპროფიტური აქტივების ფლობით ან რეალიზაციით მიღებული შემოსავლები. ჩამოთვლილი აქტივების – ფულადი სახსრების, ფინანსური დაბანდებების, გაცემული სესხების, დებიტორული დავალიანების, არაპროფიტური აქტივების და გასაყიდად განკუთვნილი იმ მარაგების განაწილებას, რომლებიც ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად გვევლინება, რეორგანიზებადი საზოგადოება და გამოყოფილი საზოგადოებები განაწილებული ვალდებულებების პროპორციულად შეაფასებენ მათ და არა საბალანსო ღირებულების მიხედვით. ამგვარად, ვალდებულებათა შესასრულებლად აქტივებით მათი დაფარვა ყველა კომპანიაში ერთნაირი იქნება.

გამყოფ ბალანსს უფლებების, ვალდებულებების, ფინანსური დაბანდებების, ხელშეკრულებებისა და ა.შ. ინვენტარიზაციის ჩატარების შემდეგ ადგენენ. ამ დროს ანაწილებენ არა მარტო საბაზო ბალანსში აღრიცხულ აქტივებსა და პასივებს, არამედ ბალანსგარეშე ვალდებულებებსა და მთელ ხელშეკრულებებსაც. საქმისთვის უკეთესია, რომ რეორგანიზაციის შესახებ პრინციპული გადაწყვეტილებების გამოტანის შემდეგ რაც შეიძლება დროულად მიეთითოს თითოეული ხელშეკრულების სამართალმემკვიდრე.

არასაბრუნავი აქტივებისა და მარაგების განაწილება უნდა მოხდეს ტექნოლოგიური პრინციპით – საწარმო პროცესში მათი გამოყენების ხასიათისა და მიზნების შესაბამისად, კრედიტორული დავალიანებისა კი - მისი წარმოშობის ადგილისა და საფუძვლის შესაბამისად.

ტექნოლოგიური ნიშნით განაწილება ნიშნავს ძირითად საშუალებათა იმგვარად განაწილებას, რომ უზრუნველყოფილი იყოს გამოყოფილი საზო-

გადღობის მიერ მისი საწარმოო ფუნქციების შესრულება. ამ დროს ობიექტები, როგორც წესი, კომპანიის იმ ქვედანაყოფის (ფილიალის) ბალანსზე რჩება, რომლის საფუძველზეც იქნება გამოყოფილი საზოგადოება.

რეორგანიზაციის შედეგად შესაძლებელი უნდა იყოს კრედიტორული დავალიანების დაფარვა მანამდელი დონით. ამის მექანიზმია ყველა საზოგადოებაში დისკონტირებული ფულადი ნაკადების ბალანსის კოეფიციენტის (ფნკ) ტოლობის მიღწევა. ამ კოეფიციენტს ანგარიშობენ ზემოთ ხსენებული აქტივებით განპირობებული დადებითი ფულადი ნაკადის მიმდინარე ღირებულების შეფარდებით ვალდებულებათა დაფარვით გამოწვეული უარყოფითი ფულადი ნაკადის დაყვანილი მიმდინარე ღირებულების მოდულთან [Пайк Р., Нил Б.]. ასე რომ, მიღებული იქნება საზოგადოების რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული ყველა საზოგადოების ტოლი გადახდისუნარიანობა პირველის ჩათვლით და თითოეულ მათგანში ვალდებულების ყოველი ერთი ფულადი ერთეული რეალური აქტივების ერთნაირი რაოდენობით იქნება უზრუნველყოფილი.

ფნკ-ის გამოთვლაში მონაწილე დადებითი და უარყოფითი ფულადი ნაკადების სიდიდეთა დისკონტირებისას მიმდინარე ღირებულების მისაღებად შემდეგ პრინციპებს იყენებენ:

- დადებითი და უარყოფითი ფულადი ნაკადების გამომწვევი ელემენტების მიმდინარე ღირებულებას ცალ-ცალკე ანგარიშობენ თითოეული სახის აქტივისა და პასივისათვის დისკონტირების შესაბამისი განაკვეთების გამოყენებით:

- დებიტორული დავალიანება და ფინანსური დაბანდებები - იმ წლიური საშუალო შეწონილი განაკვეთის 1/4 -ით, რომლითაც საზოგადოების დაკრედიტება ხდება კვარტალში.

- კრედიტორული დავალიანება ბიუჯეტში გადასახდელი დღგ-ის იმ წლიური საშუალო შეწონილი განაკვეთის 1/4-ით, რომლითაც საზოგადოება განათავსებს (ან შექმნება განათავსებას) კვარტალში.

მიმდინარე ღირებულების განგარიშების პერიოდი (განსახილველი პერიოდი) მიზანშეწონილია განისაზღვროს სამი წლით (12 კვარტლით), რომელიც დაიწყება გამყოფი ბალანსის შედგენის დღიდან და დასრულდება კრედიტორული დავალიანების დაფარვის ზღვრული ვადის გათვალისწინებით, რის შემდეგ შეიძლება ის ჩამოიწეროს.

დებიტორული დავალიანების მიმდინარე ღირებულებას (თუკი დავალიანება არარეალური არ არის ამოღების თვალსაზრისით, არაა რესტრუქტურირებული და ა.შ.) ანგარიშობენ თითოეული დებიტორისათვის ცალ-ცალკე. ამ დროს ითვალისწინებენ დებიტორისაგან მიღებულ შემოსულობათა დინამიკას ბალანსის დაყოფამდე 2 წლის განმავლობაში.

მიმდინარე დებიტორული დავალიანება ბოლო 2 წელიწადში გამოშვებული პროდუქციის (მომსახურების, სამუშაოს) ღირებულების 1/24-ის, ანუ დებიტორის საშუალო თვიური მოხმარების ტოლია (თუკი დებიტორთან განხორციელებული სახელშეკრულებო ურთიერთობები 2 წელზე ნაკლებია, მაშინ ანგარიში დგება ამ ურთიერთობათა ფაქტობრივი პერიოდიდან გამომდინარე) დებიტორული დავალიანების ნაშთსა და მიმდინარე დებიტორულ დავალიანებას შორის სხვაობით.

ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების თითოეულ კვარტალში გადასახდელ თანხას ანგარიშობენ როგორც წინა 2 წელს ვადაგადაცილებული დავალიანების საშუალო გადახდის ოდენობას. ამ მიზნით იმ 2 წლისთვის, რომლებიც გამყოფი ბალანსის შედგენის თარიღს უსწრებს წინ, ანგარიშობენ ვადაგადაცილებული დავალიანების გასტუმრების ვადას.

რესტრუქტურირებული დებიტორული დავალიანების დაფარვის გრაფიკს აღგენენ რესტრუქტურისაციის შესახებ დადებული შეთანხმებიდან გამომდინარე [Брейли Р., Майерс С., 2005].

მორატორული დებიტორული დავალიანების დაფარვის გრაფიკს განსაზღვრავენ მორატორიუმის დასრულების ვადებიდან გამომდინარე.

გადახდევინების თვალსაზრისით, არარეალურ დავალიანებას ნულოვანი ღირებულებით ანგარიშობენ მიმდინარე (დაყვანილ) ღირებულებამდე.

ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების მიმდინარე (დაყვანილი) ღირებულებას ანგარიშობენ როგორც ყოველ პერიოდში (კვარტალში) დავალიანების დასაფარავად განხორციელებული ყველა გადახდის მიმდინარე (დაყვანილი) ღირებულებათა ჯამს. განსახილველი პერიოდის თითოეულ წელს განხორციელებული ყოველკვარტალური ნაკადები წლიური ნაკადის 1/4-ის ტოლია.

კრედიტორული დავალიანება ორად იყოფა: დასაყოფი და არადასაყოფი. არადასაყოფ კრედიტორულ დავალიანებას ეკუთვნის ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების წინაშე არსებული დავალიანება (დებიტორულ დავალიანებაში დღგ-ს გარდა), მას არ ანაწილებენ და რეორგანიზებად საზოგადოებაში ტოვებენ.

დასაყოფ კრედიტორულ დავალიანებას ეკუთვნის მომწოდებლებისა და მოიჯარადეების წინაშე არსებული დავალიანებები, მიღებული ავანსები და ის სხვა კრედიტორული დავალიანება, რომელზეც კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, შესაძლოა სხვა სამართალმემკვიდრე დაინიშნოს (დადგინდეს).

უარყოფით ფულად ნაკადს ანგარიშობენ, როგორც მიმდინარე კრედიტორული დავალიანების, დარეგულირებული კრედიტორული დავალიანების დისკონტირებული თანხისა და სესხებსა და კრედიტებზე თავინისა და პროცენტების დისკონტირებული გადახდების ჯამს.

მიმდინარე კრედიტორული დავალიანების ღირებულებას საანგარიშოდ იყენებენ საბალანსო ღირებულებით.

დარეგულირებული კრედიტორული დავალიანებისა და სესხების მიმდინარე (დაყვანილი) ღირებულებას ანგარიშობენ, როგორც დავალიანებისა და პროცენტული გადასახდელების დასაფარავი გადახდების ჯამს, რომლებიც ყოველ საანგარიშგებო პერიოდში (კვარტალში) ხორციელდება გადახდათა არსებული გრაფიკის თანახმად (დაფარვის 3-წლიანი ვადიდან გამომდინარე).

რესტრუქტურისაციის თარიღიდან 3 წლის შემდეგ არსებულ კრედიტორულ დავალიანებას, კრედიტების, სესხების და პროცენტული გადასახდელების დაფარვას ანგარიშში იღებენ, როგორც ბოლო (მე-12-ე) საანგარიშსწორებო პერიოდში (კვარტალში) გასტუმრებულ კრედიტორულ დავალიანებას. მოკლე და გრძელვადიან კრედიტებსა და სესხებს იმ აქტივების ანალოგიურად ანაწილებენ, რომელთა შესაძენადაც მათ იყენებდნენ.

რეორგანიზებულ და გამოყოფილ საზოგადოებებს შორის ფულად სახსრებს ანაწილებენ მათი უარყოფითი ფულადი ნაკადების სიდიდის პროპორციულად. ფულადი სახსრებით ამ ნაკადების დაფარვა დაახლოებით ტოლი უნდა იყოს რეორგანიზებულ და გამოყოფილ საზოგადოებებში.

იმ შემთხვევაში, თუკი ფნკ-ის მნიშვნელობები რომელიმე საზოგადოებაში 5%-ზე მეტით განსხვავდება სხვა ან რეფორმამდელი საზოგადოების კოეფიციენტებისაგან, საჭიროა დებიტორული დავალიანების გადანაწილება, ხოლო თუ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, მაშინდასანაწილებელი კრედიტორული დავალიანებისაც.

საკუთარ კაპიტალს იმგვარად ანაწილებენ, რომ ყველა გამოყოფილ კომპანიაში შენარჩუნებული იყოს საბალანსო ტოლობა. ამ დროს აუცილებლად უნდა შევეცადოთ, რომ გავათანაბროთ წმინდა აქტივის ფარდობა საკუთართან და განსაკუთრებით, საწესდებო კაპიტალთან. ამით მივალწევთ ერთგვარ „მარაგს“ საწესდებო კაპიტალის სიდიდის ქვემოთ წმინდა აქტივების დაწვევისას (ახალი კომპანიების ფუნქციონირების დასაწყისში), რამაც საწესდებო კაპიტალის შემცირება შეიძლება გამოიწვიოს.

იმ პერიოდში დებიტორული თუ კრედიტორული დავალიანების გადაანაწილების წესი, რომელიც გარდამავალია გამყოფი ბალანსის შედგენის თარიღსა და გამოყოფილი საზოგადოებების სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღს შორის, აღწერილი უნდა იყოს სამართალმემკვიდრეობის წესებში და მას აქციონერთა კრება უნდა ამტკიცებდეს გამყოფ ბალანსთან ერთად. ამ წესის აღწერა საკმაოდ რთულია, რადგან წარმოშობილი დებიტორული და კრედიტორული დავალიანება (ცნებები, რომლებსაც ბალანსი იყენებს, როგორც მოცემული თარიღისთვის შედგენილი ანგარიშგება) იმ შემოსავლებისა და ხარჯების იგივეობრივი არ არის, რომლებიც გამყოფი და საწყისი (სასტარტო) ბალანსების თარიღებს შორის ჩნდება. მაგალითად, ბევრ კომპანიაში არსებობს „ჯვარედინი ამორტიზაციის“ პრობლემა, როცა ბუღალტრულ ამორტიზაციას არიცხავენ ერთი სახის საქმიანობის მიხედვით, ფულად სახსრებს კი სხვა საქმიანობაში გამოყენებულ ძირითად ფონდებში აბანდებენ. გარდა ამისა, კრედიტორული დავალიანების ერთი ნაწილი დასაყოფი რამ არ არის (გადასახადები, ხელფასი) და სარეორგანიზაციო საზოგადოებას მიეწერება, მისი შესაბამისი ხარჯები კი სხვა სახის საქმიანობაზე ხორციელდება (ამგვარი გვაქვს, მაგალითად ხელფასის შემთხვევაში). ასეთ შემთხვევაში გონივრულია შემდეგი მიდგომა.

იმ შემთხვევაში, თუკი კრედიტორული ან დებიტორული დავალიანება გარდამავალ პერიოდში ჩნდება, ხოლო ის ვალდებულება, რომელმაც ისინი წარმოშვა, გამყოფი ბალანსის შედგენის თარიღამდე აღმოცენდა, მაშინ დავალიანება უნდა მიეწეროს ან სარეორგანიზაციო საზოგადოებას, ან იმ გამოყოფილ საზოგადოებას, რომელსაც მოცემული ვალდებულება მიაკუთვნეს გამყოფი ბალანსის შედგენისას.

გარდამავალ პერიოდში ვალდებულებების და შესაბამისად, კრედიტორული და დებიტორული დავალიანების წარმოქმნის დროს საჭიროა მისი მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრა საქმიანობის სახეების განხორციელების მიზნით, რის შედეგადაც ასეთი კრედიტორული ან დებიტორული დავალიანება შესაბამის კომპანიას უნდა მივაკუთნოთ.

კონტრაგენტის მხრიდან გარდამავალ პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში რეორგანიზებული საზოგადოების მიერ ამოგებული ფულადი სახსრები ან ამ საზოგადოებას უნდა მივაკუთნოთ, ან გამოყოფილ საზოგადოებებს. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ საზოგადოებაზე იყო მიწერილი შესაბამისი დებიტორული დავალიანება ყოველივე ზემოთქმულის თანახმად. გამონაკლისს შეადგენს შემდეგი თავისებურებები:

1. გასანაწილებელი ფულადი სახსრების (მათი ეკვივალენტების) თანხა იზრდება გარდამავალ პერიოდში წარმოქმნილი, მაგრამ გაუსტუმრებელი დებიტორული დავალიანების თანხით. ამავე თანხით მცირდება სარეორგანიზაციო ან იმ გამოყოფილ საზოგადოებაზე გასანაწილებელი ფულადი სახსრებიც, რომელსაც ეს დავალიანება მიეკუთვნება (რადგან მას ერგება ის დებიტორული დავალიანება, რომელიც შემდგომ ფულად სახსრებად გადაიქცევა).

2. გარდამავალ პერიოდში წმინდა მოგების (ზარალის) თანხად მიღებული ფულადი სახსრები (მათი ეკვივალენტები) სარეორგანიზაციო საზოგადოებას ეკუთვნის (რადგან ეს საზოგადოება დივიდენდებს ამ სახსრებიდან გადაიხდის). გამონაკლისია ის შემთხვევები, როცა სპეციალურ დანართში („ინვესტპროგრამა“) პირდაპირაა მითითებული, რომ მოგება მთლიანად ან ნაწილობრივ გვევლინება გამოყოფილი საზოგადოების „ინვესტპროგრამაში“ გათვალისწინებული დანახარჯების დაფინანსების წყაროდ. ამ შემთხვევაში სარეორგანიზაციო საზოგადოებას უნაწილდება მოგების დარჩენილი ნაწილი („ინვესტპროგრამაში“ მითითებულის გამოკლებით). ეს პუნქტი წმინდა მოგების ხარჯზე ფორმირებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფს სარეორგანიზაციო და გამოყოფილ საზოგადოებებს დივიდენდების გაცემისა და საინვესტიციო პროგრამის დაფინანსების საგეგმო სიდიდიდან გამომდინარე.

3. სარეორგანიზაციო და გამოყოფილ საზოგადოებებს შორის ფულადი სახსრები (მათი ეკვივალენტები) ნაწილდება თითოეული სახის საქმიანობაზე მიკუთვნებული ხარჯების თანხით. ხარჯებად იგულისხმება ის დანახარჯები, რომლებიც შეაქვთ თვითღირებულებაში, სამმართველო და კომერციულ ხარჯებში, სესხებისა და კრედიტებისათვის გადახდილ პროცენტებში, აგრეთვე სავალდებულო გადასახდელებში შემდეგ თავისებურებათა გათვალისწინებით:

3.1. აქციების გამოსყიდვაზე გაწეული დანახარჯები სარეორგანიზაციო საზოგადოების დანახარჯებს ეკუთვნის.

3.2. სარეორგანიზაციო საზოგადოებიდან პენსიაზე გასულთათვის გადახდილი მისაცემლები ამ საზოგადოების ხარჯებს ეკუთვნის.

3.3. ხარჯებში არ შეიტანება უიმედო დებიტორული დავალიანების ჩამოწერა.

3.4. მოგების გადასახადის გადახდის ხარჯები ეკუთვნის სარეორგანიზაციო საზოგადოებას.

3.5. ხარჯებში არ შეიტანება საამორტიზაციო ანარიცხები.

ეს პუნქტი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფს სარეორგანიზაციო და გამოყოფილი საზოგადოების მიმდინარე ხარჯების დაფინანსებას მათი ფულადი ხასიათიდან და კანონმდებლობის იმ მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომ შენარჩუნებული უნდა იყოს სარეორგანიზაციო საზოგადოების მისაცემლების და გადასახადების მიხედვით კრედიტორული დავალიანება.

4. თითოეულ გამოყოფილ საზოგადოებაზე განაწილებული ფულადი სახსრების ოდენობა მცირდება იმ შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულებების თანხით, რომლებიც მოცემული საზოგადოების საქმიანობას ეკუთვნის და ამ საზოგადოებას არ აქვს გადაცემული სამართალმემკვიდრეობის წესით. ამასთან, ეს ოდენობა შესაბამისად იზრდება სარეორგანიზაციო საზოგადოებისათვის განაწილებული ფულადი სახსრებით, რადგანაც გადასახადებით საკრედიტო დავალიანება დაუყოფელია და მთლიანად მიეწერება სარეორგანიზაციო საწარმოს.

5.1-4 პუნქტების შესრულების შემდეგ დარჩენილი ფულადი სახსრების (მათი ეკვივალენტების) თანხიდან სარეორგანიზაციო ან შესაბამის გამოყოფილ საზოგადოებას უნაწილდება ფულადი სახსრები „ინვესტპროგრამით“ გათვალისწინებული კაპიტალური დაბანდებების სახით. იმ შემთხვევაში, თუკი ფულადი სახსრების (მათი ეკვივალენტების) დარჩენილი თანხა ნაკლებია „ინვესტპროგრამით“ გათვალისწინებულზე, მაშინ ამ თანხის მიკუთვნება საინვესტიციო პროგრამაში მითითებული თანხების პროპორციულად ხდება.

ეს პუნქტი გამოიყენება იმ ფულადი სახსრების განაწილებისათვის, რომლებიც ინვესტპროგრამის დაფინანსებას ხმარდება წმინდა მოგების ხარჯზე.

იმის გამო, რომ წინასწარ არ არის ცნობილი გამოყოფილი საზოგადოებების რეგისტრაციის ზუსტი თარიღი, ინვესტორპროგრამას აღწერენ ერთგვარი „მარაგის“ მქონე ვადისთვის. თუ ფაქტობრივი მოგება ნაკლები აღმოჩნდება ინვესტიციებისათვის გამოსაყენებლად დაგეგმილზე, მაშინ მათი დაფინანსებისთვის საჭირო ფულად სახსრებს პროპორციულად ამცირებენ ყველა კომპანიის მიხედვით.

6.2-5 პუნქტების შესრულების შემდეგ დარჩენილი ფულადი სახსრების (მათი ეკვივალენტების) თანხა სარეორგანიზაციო ან შესაბამის გამოყოფილ საზოგადოებას ეკუთვნის მათზე მიწერილი სამამორტიზაციო ანარიცხების პროპორციულად.

გარდამავალი პერიოდის შედეგების, სამართალმემკვიდრეობის წესების შესრულებისა და რეორგანიზებული საზოგადოებების ფინანსური მდგრადობის კონტროლისთვის გამოყოფილი საზოგადოებების სახელმწიფო რეგისტრაციამდე მიზანშეწონილია „შუალედური“ გამოყოფი ბალანსის შედგენა. ეს იქნება სარეორგანიზაციო და გამოყოფილი საზოგადოებების ბალანსი (ფორმა 1), რომელიც გარდამავალი პერიოდის ნებისმიერი თარიღისთვის იქნება შედგენილი ე.ი. გამოყოფ ბალანსზე დართული ანგარიშგება უკვე მომხდარი ცვლილებების შესახებ [Синнамон Р., Брайан Х., 2003]. მის პარალელურად შეგვიძლია შევადგინოთ დამწეები (საწყისი, სასტარტო) ბალანსების საკონტროლო მაჩვენებლები. ესაა იმ მაჩვენებლების ერთობლიობა (ნაკრები), რომლებიც გამოყოფილი საზოგადოების რეგისტრაციის თარიღისათვისაა გაანგარიშებული სარეორგანიზაციო და გამოყოფილი საზოგადოებების „საპროგნოზო“ ბალანსების საფუძველზე. საკონტროლო მაჩვენებლების კორექტულად გაანგარიშებისათვის საჭიროა ამ საზოგადოებათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის პროგნოზის გაკეთება „შუალედური“ ბალანსის შედგენის დღიდან რეგისტრაციის დღემდე პერიოდისთვის. აუცილებლად უნდა შედგეს ასევე ფულადი სახსრების მოძრაობის ბიუჯეტი, მოგებისა და ზარალის საპროგნოზო ანგარიშგება და ყველა შექმნილი საზოგადოების ბალანსი.

ეს შუალედური დამწეები ბალანსი იმის გაგებაში დაეხმარება აქციონერებსა და მენეჯერებს, თუ რამდენადაა დაცული გამოყოფი ბალანსის პრინციპები და სამართალმემკვიდრეობის წესების მოთხოვნები, რამდენადაა მომზადებული საზოგადოებათა სახელმწიფო რეგისტრაცია; საფუძველს შეუქმნის იმ საქმიანობის შეფასებას, რომელიც გენერალურმა დირექტორმა გასწია რეორგანიზაციის ჩატარების პერიოდში.

დამწეები ბალანსი ყალიბდება სარეორგანიზაციო საზოგადოებიდან ახლად შექმნილი საზოგადოებებისათვის გადაცემის აქტების საფუძველზე. ეს აქტები დგება გამოყოფი ბალანსის საფუძველზე სამართალმემკვიდრეობის წესების გათვალისწინებით და მათ შესაბამისი კომპანიების წარმომადგენლები უნდა ამოწმებდნენ. სარეორგანიზაციო კომპანიის აქციონერები ვალდებული არიან, შეაფასონ ფაქტობრივი დამწეები (სასტარტო) ბალანსის შესაბამისობა შუალედურთან და მიიღონ სათანადო მმართველობითი ზომები (პრემირება, დათხოვნა).

ჩამოთვლილი პროცედურების რეალიზაციამ უნდა უზრუნველყოს ფინანსურად და ეკონომიკურად მდგრადი ახალი კომპანიების შექმნა რეორგანიზაციების შედეგად.

დასკვნა

თანამედროვე ბიზნესში ჩვეულებრივ ამბადაა ქცეული კომპანიის რეორგანიზაცია. ხშირად კომპანიები ალიანსებში შედიან ერთმანეთთან, რომლებიც შემდგომ იურიდიულ გაერთიანებად გარდაიქმნებიან. უფრო ძლიერი კონკურენტები ზოგჯერ იერთებენ და შთანთქავენ უფრო სუსტებს. მზარდი კომპანიები დამოუკიდებელ იურიდიულ პირებად გამოყოფენ (სპინ ოფფ) ცალკეულ ბიზნესებს, რათა მათ უფრო მოქნილად გააგრძელონ განვითარება. ძალიან მსხვილი ფირმები იძულებული ხდებიან დანაწევრდნენ, რადგან ამას მოითხოვს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა ან ძირითად აქციონერთა განსხვავებული ინტერესები და სხვა. თანამედროვე ფინანსური კრიზისი მთელ რიგ კომპანიებს უბიძგებს ცალკეული აქტივების ან ბიზნისების გამოყოფისკენ, რათა ან გირად მოხდეს მათი გაცემა, ან გაიყიდოს და ასე დაიფაროს საკრედიტო პორთფელი.

შთანთქმისა და შეერთების შემთხვევაში ფინანსური საკითხები შედარებით მცირეა – ყველა კომპანიის აქტივები და ვალდებულებები იმ ერთ სამართალმემკვიდრის ხელში გადადის, რომელიც ყველა მათგანზე აგებს პასუხს. რაც შეეხება დანაწევრებას ან გამოყოფას, ამ დროს ხდება აქტივებისა და ვალდებულებების იმგვარად დაყოფის პრობლემა, რომ შექმნილ კომპანიებს ჰქონდეთ ფინანსური მდგრადობა და საკმარისი ლიკვიდობა.

როგორც ახლად შექმნილი, ისე რეორგანიზებული საზოგადოებების აქტივებისა და პასივების სტრუქტურას ის განსაზღვრავს, თუ როგორ ჩამოაყალიბებენ და დაამტკიცებენ აქციონერები გამყოფ ბალანსს.

რეორგანიზაციის შემდეგ თითოეულ საზოგადოებას კრედიტორული დავალიანების დასაფარად უნდა ჰქონდეს იმ სახსრების ადეკვატური წყაროები, როგორც რეფორმირებამდე ჰქონდა რეორგანიზებად საზოგადოებას. ამგვარად წყაროებად გვევლინება ფულადი სახსრები, ფინანსური დაბანდებები, დეპოზიტორული დავალიანება, გრძელვადიანი ფინანსური დაბანდებებისა თუ არაპროფიტული აქტივების ფლობით ან რეალიზაციით მიღებული შემოსავლები.

გამყოფ ბალანსს უფლებების, ვალდებულებების, ფინანსური დაბანდებების, ხელშეკრულებებისა და ა.შ. ინვენტარიზაციის ჩატარების შემდეგ ადგენენ. ამ დროს ანაწილებენ არამარტო საბაზო ბალანსში აღრიცხულ აქტივებსა და პასივებს, არამედ ბალანსგარეშე ვალდებულებებსა და მთელ ხელშეკრულებებსაც. საქმისთვის უკეთესია, რომ რეორგანიზაციის შესახებ პრინციპული გადაწყვეტილებების გამოტანის შემდეგ რაც შეიძლება დროულად იყოს მითითებული თითოეული ხელშეკრულების სამართალმემკვიდრე.

რეორგანიზაციის შედეგად შესაძლებელი უნდა იყოს კრედიტორული დავალიანების დაფარვა მანამდელი დონით. ამის მექანიზმია ყველა საზოგადოებაში დისკონტირებული ფულადი ნაკადების ბალანსის კოეფიციენტის (ფნკ) ტოლობის მიღწევა.

ფნკ-ის გამოთვლაში მონაწილე დადებითი და უარყოფითი ფულადი ნაკადების სიდიდეთა დისკონტირებისას მიმდინარე ღირებულების მისაღებად შემდეგი პრინციპების მიხედვით ახდენენ:

- დადებითი და უარყოფითი ფულადი ნაკადების გამომწვევი ელემენტების მიმდინარე ღირებულებას ცალ-ცალკე ანგარიშობენ თითოეული სახის აქტივებისა და პასივისათვის დისკონტირების შესაბამისი განაკვეთების გამოყენებით:

- დებიტორული დავალიანება და ფინანსური დაბანდებები - იმ წლიური საშუალო შეწონილი განაკვეთის 1/4-ით, რომლითაც საზოგადოების დაკრედიტება ხდება კვარტალში.

- კრედიტორული დავალიანება ბიუჯეტში გადასახდელი დღგ-ის იმ წლიური საშუალო შეწონილი განაკვეთის 1/4 -ით, რომლითაც საზოგადოება განათავსებს (ან შექმნება განთავსებას) კვარტალში.

მიმდინარე ღირებულების გაანგარიშების პერიოდი (განსახილველი პერიოდი) მიზანშეწონილია განისაზღვროს სამი წლით (12 კვარტლით), რომელიც დაიწყება გამყოფი ბალანსის შედგენის დღიდან და დასრულდება კრედიტორული დავალიანების დაფარვის ზღვრული ვადის გათვალისწინებით, რის შემდეგ შეიძლება იგი ჩამოიწეროს.

კრედიტორული დავალიანება ორად იყოფა: დასაყოფი და არადასაყოფი. არადასაყოფ კრედიტორულ დავალიანებას ეკუთვნის ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების წინაშე არსებული დავალიანება (დებიტორულ დავალიანებაში დღგ-ს გარდა), მას არ ანაწილებენ და რეორგანიზებად საზოგადოებაში ტოვებენ.

დასაყოფ კრედიტორულ დავალიანებას ეკუთვნის მომწოდებლებისა დამოიჯარადეების წინაშე არსებული დავალიანებები, მიღებული ავანსები და ის სხვა კრედიტორული დავალიანება, რომელზეც კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, შესაძლოა სხვა სამართალმემკვიდრე დაინიშნოს (დადგინდეს).

უარყოფით ფულად ნაკადს ანგარიშობენ პროცენტ მიმდინარე კრედიტორული დავალიანების, დარეგულირებული კრედიტორული დავალიანების დისკონტირებული თანხისა და სესხებსა და კრედიტებზე თავინისა და პროცენტების დისკონტირებული გადახდების ჯამს.

რეორგანიზებულ და გამოყოფილ საზოგადოებებს შორის ფულად სახსრებს ანაწილებენ მათი უარყოფითი ფულადი ნაკადების სიდიდის პროპორციულად. ფულადი სახსრებით ამ ნაკადების დაფარვა დაახლოებით ტოლი უნდა იყოს რეორგანიზებულ და გამოყოფილ საზოგადოებებში.

იმ შემთხვევაში, თუკი ფნკ-ის მნიშვნელობები რომელიმე საზოგადოებაში 5%-ზე მეტით განსხვავდება სხვა ან რეფორმამდელი საზოგადოების კოეფიციენტებისაგან, საჭიროა დებიტორული დავალიანების გადანაწილება, ხოლო თუ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, მაშინ დასანაწილებელი კრედიტორული დავალიანებისაც.

საკუთარ კაპიტალს იმგვარად ანაწილებენ, რომ ყველა გამოყოფილ კომპანიებში შენარჩუნებული იყოს საბალანსო ტოლობა. ამ დროს აუცილებლად უნდა შევეცადოთ, რომ გავათანაბროთ წმინდა აქტივის ფარდობა საკუთართან და განსაკუთრებით, საწესდებო კაპიტალთან. ამით მივალწვეთ ერთგვარ „მარავს“ საწესდებო კაპიტალის სიდიდის ქვემოთ წმინდა აქტივების დაწვევისას (ახალი კომპანიების ფუნქციონირების დასაწყისში), რამაც საწესდებო კაპიტალის შემცირება შეიძლება გამოიწვიოს.

იმ პერიოდში დებიტორული თუ კრედიტორული დავალიანების გადანაწილების წესი, რომელიც გარდამავალია გამყოფი ბალანსის შედგენის თარიღსა და გამოყოფილი საზოგადოებების სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღს შორის, აღწერილი უნდა იყოს სამართალმემკვიდრეობის წესებში და მას აქციონერთა კრება უნდა ამტკიცებდეს გამყოფ ბალანსთან ერთად.

იმ შემთხვევაში, თუკი კრედიტორული ან დებიტორული დავალიანება გარდამავალ პერიოდში ჩნდება, ხოლო ის ვალდებულება, რომელმაც ისინი წარმოშვა, გამყოფი ბალანსის შედგენის თარიღამდე აღმოცენდა, მაშინ დავა-

ლიანება უნდა მიეწეროს ან სარეორგანიზაციო საზოგადოებას, ან იმ გამოყოფილ საზოგადოებას, რომელსაც მოცემული ვალდებულება მიაკუთვნეს გამოყოფი ბალანსის შედგენისას.

გარდამავალი პერიოდის შედეგების, სამართალმემკვიდრეობის წესების შესრულებისა და რეორგანიზებული საზოგადოებების ფინანსური მდგრალობის კონტროლისთვის გამოყოფილი საზოგადოებების სახელმწიფო რეგისტრაციამდე მიზანშეწონილია „შუალედური“ გამოყოფი ბალანსის შედგენა. ეს იქნება სარეორგანიზაციო და გამოყოფილი საზოგადოებების ბალანსი (ფორმა 1), რომელიც გარდამავალი პერიოდის ნებისმიერი თარიღისთვის იქნება შედგენილი ე.ი. გამოყოფ ბალანსზე დართული ანგარიშგება უკვე მომხდარი ცვლილებების შესახებ მის პარალელურად შეგვიძლია შევადგინოთ დამწვები (საწყისი, სასტარტო) ბალანსების საკონტროლო მანუალებები. ესაა იმ მანუალებების ერთობლიობა (ნაკრები), რომლებიც გამოყოფილი საზოგადოების რეგისტრაციის თარიღისათვისაა გაანგარიშებული სარეორგანიზაციო და გამოყოფილი საზოგადოებების „საპროგნოზო“ ბალანსების საფუძველზე. საკონტროლო მანუალებების კორექტულად გაანგარიშებისათვის საჭიროა ამ საზოგადოებათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის პროგნოზის გაკეთება „შუალედური“ ბალანსის შედგენის დღიდან რეგისტრაციის დღემდე პერიოდისთვის. აუცილებლად უნდა შედგეს, ასევე, ფულადი სახსრების მოძრაობის ბიუჯეტი, მოგებისა და ზარალის საპროგნოზო ანგარიშგება და ყველა შექმნილი საზოგადოების ბალანსი.

ეს შუალედური დამწვები ბალანსი იმის გაგებაში დაეხმარება აქციონერებსა და მენეჯერებს, თუ რამდენადაა დაცული გამოყოფი ბალანსის პრინციპები და სამართალმემკვიდრეობის წესების მოთხოვნები, რამდენადაა მომზადებული საზოგადოებათა სახელმწიფო რეგისტრაცია; საფუძველს შეუქმნის იმ საქმიანობის შეფასებას, რომელიც გენერალურმა დირექტორმა გასწია რეორგანიზაციის ჩატარების პერიოდში.

დამწვები ბალანსი ყალიბდება სარეორგანიზაციო საზოგადოებიდან ახლად შექმნილი საზოგადოებებისათვის გადაცემის აქტების საფუძველზე. ეს აქტები დგება გამოყოფი ბალანსის საფუძველზე სამართალმემკვიდრეობის წესების გათვალისწინებით და მათ შესაბამისი კომპანიების წარმომადგენლები უნდა ამოწმებდნენ. სარეორგანიზაციო კომპანიის აქციონერები ვალდებული არიან შეაფასონ ფაქტიური დამწვები (სასტარტო) ბალანსის შესაბამისობა შუალედურთან და მიიღონ სათანადო მმართველობითი ზომები (პრემირება, დათხოვნა).

ჩამოთვლილი პროცედურების რეალიზაციამ უნდა უზრუნველყოს ფინანსურად და ეკონომიკურად მდგრადი ახალი ახალი კომპანიების შექმნა რეორგანიზაციების შედეგად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Брейли Р., Майерс С. 2005. Принципы корпоративных финансов. М.
2. Пайк Р., Нил Б. 2006. Корпоративные финансы и инвестирование. СПб.
3. Синнамон Р., Брайан Х. 2003. Почему вы не понимаете своего бухгалтера. М.
4. Хорн Дж. 2006. Основы управления финансами. М.
5. Юджин Ф., Бригхэм М., Эрхардт С. 2005. Финансовый менеджмент. СПб.
6. Экклз Р., Герц Р., Киган Э. 2012. Революция в корпоративной отчетности. М.
7. <http://www.statistics.ge/>

8. www.mof.ge

9. <http://www.gaap.ru/biblio/>

Irine Mamaladze

*Doctor of economics, Associated professor of
Caucasus International University*

COMPANIE'S REORGANIZATION AND THE PROBLEM OF BALANCING THE INTERESTS

Expanded Summary

Company reorganization is an usual run of things in modern business. Companies often alliance with each other which are then transformed into a legal entity. Sometimes more powerful rivals join and then devour weaker companies. Growing companies single out (spin-off) certain businesses as separate legal entities to make them more flexible to continue the development. Very large firms are forced to disintegrate as required by the antitrust law or different interests of major shareholders etc. Modern financial crisis are pushing a number of companies to single out specific assets or businesses in order to pledge them or sell and repay loan portfolio.

In case of absorption and join financial problems are comparatively small - all the company's assets and liabilities are transferred to a successor which is responsible for all of them. As to disintegration or single out (spit off), this time becomes a problem to divide assets and liabilities so that the existing companies should have financial stability and sufficient liquidity.

The structure of assets and liabilities of the newly established or reorganized societies is determined by shareholders how can they formulate and adopt the dividing balance.

After the reorganization each society should have adequate sources of funds to cover accounts payables as they had before reforming. These sources are: funds, financial investments, accounts receivables, incomes from having or selling long-term financial investments or non-core assets.

Dividing balance is drawn up when rights, obligations, financial investments, contracts and others are already inventoried. This time not only the basic assets and liabilities recorded in the balance sheet are distributed but also off-balance sheet commitments and the agreements. It is better to set in proper time the contract successor since principle decisions for the reorganization have been made.

As a result of the reorganization it should be possible to cover payables to previous level. The mechanism for this is the achievement of equality the discounted cash flow balance ratio (DCF).

To get present value in the process of discounting the values of positive and negative cash flows which participate in DCF calculation, the following principles are used:

- the present values of elements causing positive and negative cash flows is calculated separately using appropriate discount rate for each assets and liabilities;
- receivables and financial investment - $\frac{1}{4}$ of the average annual rate, the society is credited in a quarter.
- payables - $\frac{1}{4}$ of average annual rate of VAT to be payed to budget which the society can place (or is capable) in a quarter.

The present value calculation period (the period under review) is recommended to fix for three years (12 quarters) which will start from the date of dividing balance drawing up and finish taking into account limit deadline of payables, then it can be written off.

Payables should be divided into divisible and indivisible. To indivisible payables belong arrears to budgetary and non budgetary funds (in receivables expect VAT), it is not distributed and stays in the society under reorganization.

To divisible payables belong arrears to suppliers and leaseholders, advances received and other payables on which may be appointed other successor with the requirements of law.

Negative cash flow is calculated as the sum of current payables, discounted cash of adjusted payables and discounted payments of fixed capital and interests on loans and credit.

Funds are distributed between reorganized and isolated societies in proportion to the size of their negative cash flows. The repayment of these flows by financial resources must approximately be equal in reorganized and isolated societies.

If any DCF values in any society are more than 5% different from the coefficients of other societies or prereform ones, then receivables must be redistributed but when it is not sufficient the payables must also be distributed.

Private capital should be distributed in such a way as to maintain balance equation in all isolated companies. This time we shall try to equalize net assets ratio with its own and especially with the authorized capital. This allows to achieve “a reserve” when net assets are below the size of authorized capital (at the beginning of the operation of new companies), which can lead to a reduction of the authorized capital.

The rule of redistribution of receivables and payables in that period which is rotating between the date of dividing balance drawing up and the date of state registration of isolated societies must be described in the succession rules and approved by shareholders together with dividing balance.

In case when payables and receivables appear in transitional period while the liabilities producing them appear before the date of dividing balance drawing up, then the debt must be attributed to the society under reorganization or to isolated society which was offered the given obligation during the drawing up of dividing balance.

It is appropriate to draw up “interim” dividing balance before the state registration of societies to control the results of the transitional period, succession regulations and financial sustainability of reorganized societies. This will be the balance of societies under reorganization and isolated societies (form1) for any date of transitional period i.e. the account on changes attached to dividing balance. Parallel with it we can draw up control indicators of start up balance sheets. This is the combination of indicators, calculated for the date of registration of isolated societies on the basis of “Forecast balances of the societies under reorganization and isolated societies”. To calculate correctly the control indicators it is necessary to forecast financial and economic activities of these societies from the date of “intermediate” balance drawing up will the date of registration. Should also be done cash flow budget, profit and loss forecasting account and balance sheet of all created societies.

This interim balance sheet will help shareholders and managers to understand whether the principles and succession rules of dividing balance are protected, whether the state registration of societies is prepared; will facilitate the evaluation of the activities, which the director general has done during the reorganization.

Starting balance sheet is draw up on the basis of these acts are drawn up on the basis dividing balance, taking into consideration succession rules and should be checked by the representatives of corresponding companies. The shareholders of the companies under reorganization are obliged to assess the adequacy of actual start-up (starting) balance sheet with the interim one and take appropriate administrative measures (awarded bonuses, dismissal).

Implementation of these procedures must provide the creation of financially and economically sustainable new companies as a result of reorganization.

ვახტანგ ჭარაია

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის დირექტორი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და მართვა საქართველოში

რეზიუმე

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და მართვა საქართველოში საკმაოდ რთული საქმეა. თუმცა, მრავალი სკეპტიკოსის მიუხედავად, ჩვენი აზრით, ის პოზიტიურად მოქმედებს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე. ამავდროულად გასათვალისწინებელია, რომ საქართველო თავისი ეკონომიკური განვითარების სუსტი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, სრულად ვერ იყენებს მის პოტენციალს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისაგან მაქსიმალური ეფექტის მიღება მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან ერთადაა შესაძლებელი.

საკვანძო სიტყვები: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საქართველოს ეკონომიკა, ეკონომიკური განვითარება.

შესავალი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი) საქართველოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალაა, რომელიც ხელს უწყობს ქვეყანაში ახალი სამუშაო ადგილების და კონკურენტუნარიანი სახელფასო გარემოს წარმოქმნას; ტექნოლოგიურ გადაიარაღებას და მართვაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვას; გვევლინება ნეგატიური სავაჭრო ბალანსის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დამაბალანსებელ ბერკეტად; არის ქვეყანაში უცხოური ვალუტის მოზიდვის კარგი შესაძლებლობა და მრავალი სხვა [Charaia V., 2014].


1997-2015 წლებში საქართველოში შემოდინებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა - \$14,8 მილიარდი შეადგინა⁵, რაც წამურად მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით - 4,000 შეადგენს, ყოველწლიურ ჭრილში კი დაახლოებით - \$210, რაც მსოფლიო მასშტაბით საშუალო მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს.⁶ ერთ კონკრეტულ რეგიონზე გაანგარიშებით კი უდიდესი ინვესტორი ევროკავშირია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციის 41% (იხ. დიაგრამა 1).

⁵ მასალები მოცემულია 2016 წლის პირველი კვარტლის მონაცემების ჩათვლით.

⁶ შედარებისთვის, 2013 წელს ლუქსემბურგისთვის აღნიშნული მაჩვენებელი 50 ათას აშშ დოლარს შეადგენს, ესპანეთი – 900, რუსეთი – 500, საფრანგეთისთვის – 100, გაერთიანებული სამეფოსთვის – 75.
<http://eucham.eu/charts/153-2015-03-foreign-direct-investment-per-capita-in-europe>

დიაგრამა 1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების მიხედვით, 1997-2015 წწ.




წყარო: სპეციალური დაკვეთით საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ევროკავშირის დომინირება სხვა დანარჩენ რეგიონებთან შედარებით ნათლად ჩანს წლების მიხედვით დინამიკაშიც. კერძოდ, 2000 წლიდან (გარდა 2002 წლისა) ევროკავშირი ყოველწლიურად ყველაზე მეტ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციას ახორციელებდა საქართველოში. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, საქართველო მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან შემოდინებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციაზე, რაც, ერთი მხრივ, საქართველოს დამოკიდებულებას, ხოლო მეორე მხრივ საქართველოსადმი ევროკავშირის წევრი ქვეყნების დაინტერესებას გამოხატავს [Charaia V., 2014]. აღნიშნული დამოკიდებულება კიდევ უფრო გამაფრთხილებს საქართველო-ევროკავშირის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ამოქმედების შემდეგ და არ შენელებულა 2008 წლის რუსეთ საქართველოს ომის შედეგადაც კი [Charaia V., 2016].

საქსტატის თანახმად, 1996-2015 წლებში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციის განმახორციელებელთა „საუკეთესო ხუთეულმა“ მთლიანი ინვესტიციების დაახლოებით 1/2-ის მობილიზება შეძლო (\$7 მლრდ) და, რაც მთავარია, ისინი სხვადასხვა რეგიონებიდან არიან წარმოდგენილი (ჩრდ. ამერიკა, ევროპა და აზია). „საუკეთესო ოცეულმა“ კი (საერთაშორისო ორგანიზაციების ჩათვლით) ჯამური პუის - 88% (\$12.9 მლრდ) ინვესტიცია განახორციელა. მაშინ, როდესაც დანარჩენმა 50 ქვეყანაზე მეტმა ერთობლივად სულ 12% (\$1,7 მლრდ) პირდაპირ უცხოურ ინვესტიციას მოუყარა თავი.

საინტერესოა, რომ საქართველოს მიერ პრიორიტეტად გამოცხადებულ სოფლის მეურნეობაში უცხოელი ინვესტორების მიერ დაბანდებული სახსრების მხოლოდ 1% მოდის, რაც სექტორის დაბალი რენტაბელობით აიხსნება. სამაგიეროდ, საკმაოდ მნიშვნელოვანი წილი მოდის ენერჯეტიკის სფეროზე (16%), რომელიც ასევე ერთ-ერთი პრიორიტეტია ქვეყანაში. მნიშვნელოვან სახსრებს აბანდებენ უცხოელი ინვესტორები აგრეთვე ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში, რაც ასევე პოზიტიური მომენტია ქვეყნის საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების კუთხით (იხ. დიაგრამა 2) [ჭარაია ვ., 2014].

დიაგრამა 2



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

* ვაჭრობა; განათლება; კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება;

** 2009 წლიდან მოიცავს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციას საბანკო, მიკროსაფინანსო და სადაზღვევო ორგანიზაციებში.


პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მოტივაციები და ერის ინვესტიციური განვითარების გზა (IDP)

იმის ასახსნელად, თუ რითაა გამოწვეული გარკვეულ დარგებში მინიმალური (მაგ., სოფლის მეურნეობა, თანამედროვე ტექნოლოგიები), ხოლო დანარჩენში კი, საკმაოდ მაღალი (მაგ., საფინანსო სექტორი, დამამუშავებელი მრეწველობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა და სხვ.) პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ნაკადები, ჩვენ გამოვიყენებთ ჯ. დანიინგის მიერ შემუშავებულ „ინვესტიციური მოტივაციების თეორიას“ (Dunning, 1995). ის აერთიანებს:

1. რესურსების მაძიებელ მოტივაციას;
2. ეფექტიანობის მაძიებელ ინვესტიციებს;
3. ბაზრის მაძიებელ ინვესტიციებს;
4. სტრატეგიული აქტივების მაძიებელ ინვესტიციებს.

გამომდინარე იქიდან, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მოტივაციების თეორია პირდაპირ კავშირშია “ერის ინვესტიციური განვითარების გზის მოდელთან”, ჩვენი კვლევა პირდაპირ არის დაკავშირებული საქართველოს მიერ ერის ინვესტიციური განვითარების გზაზე განვლილ საფეხურებთან. ერის ინვესტიციური გზის საქართველოს მოდელის აგების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ პირველი ორი საფეხური უკვე გადალახა და 2008 წლიდან მესამე საფეხურის დასაწყისში იმყოფება (დიაგრამა 3). რაც იმას ნიშნავს, რომ უპირობოდ ჩამორჩენილი ქვეყნის და ინვესტიციების მხოლოდ მიმღები ქვეყნის სტატუსიდან (პირველი საფეხური 1996-2003 წწ. – არ არსებობს არავითარი ინფრასტრუქტურა და ინვესტირების სტიმულები), ის შედარებით განვითარებული (ინფრასტრუქტურის, სახელმწიფო ინსტიტუტები და სხვ. ჩამოყალიბება) ქვეყნების სიაში მოხვდა (მეორე საფეხური 2004-2007 წწ., – ქვეყანა ფაქტორ მამოძრავებელიდან გადადის ინვესტიცია მამოძრავებელი განვითარების საფეხურზე,

ანუ ბაზარზე ადგილი აქვს გარკვეული უპირატესობების ჩამოყალიბებას), საიდანაც მეტ-ნაკლებად კონკურენტუნარიანი და მომსახურების სფეროთი დომინირებადი ბაზრის მქონე ქვეყანათა რიცხვში გადავიდა (მესამე საფეხური დ ადგილი აქვს პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ექსპორტს). აღნიშნული მესამე ეტაპის დასაწყისში უცხოელი ინვესტორები არა მხოლოდ ბაზრის და რესურსების, არამედ უკვე ეფექტიანობის ძიებითაც არიან დაინტერესებულნი.




წყარო: ავტორის გაანგარიშებები საქსტატის, UNCTAD-ის და WB-ის მონაცემების მიხედვით

2008 წლიდან საქართველო IDP-ის მესამე საფეხურზე გადადის და პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მოტივაციებიც საგრძნობლად იცვლება. ნიშანდობლივია, რომ 2007 წლიდან საქსტატი უკვე იწყებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციის დარგობრივ ჭრილში განხილვას, რაც მოტივაციების ასახსნელად შესანიშნავი დამხმარე მექანიზმია. საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, თითოეული ქვეყნის (80-მდე ქვეყანა) ანალიზის საფუძველზე მოცემული დარგები ჩვენ ისე დავაჯგუფეთ, რომ ნათელი გამხდარიყო უცხოელი ინვესტორების მოტივაციები (დიაგრამა 4), კერძოდ: ეფექტიანობა, მამოძრავებელი ინვესტიცია დ სოფლის მეურნეობა და თევზჭერა; კონსულტირება; დამამუშავებელი მრეწველობა; 2. რესურსების მაძიებელი ინვესტიცია დ სამთომომპოვებელი მრეწველობა; 3. საშინაო ბაზრის ათვისების მოტივაცია დ ყველა დანარჩენი (ჯანდაცვა, საფინანსო, ენერჯეტიკა, მშენებლობა და სხვა). ჩვენ განზრახ არ შევხეთ სტრატეგიული აქტივების დაუფლების მოტივაციას (სტატისტიკური მონაცემების არ არსებობის გამო).

დიაგრამა 4

მარცხნივ დ მოტივაციების ტრენდი, მარჯვნივ - ბალანსი (წლების მიხედვით)



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ, საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით

მიღებული შედეგებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბოლო 7 წლის განმავლობაში (2007 წლიდან 2014-ის პირველი კვარტალი) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ძირითადი ინტერესი საშინაო ბაზრის ათვისება იყო. (მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციის 81%), მეორე ადგილზე გავიდა ეფექტიანობის მაძიებელი ინვესტიციები (16%), ხოლო მესამეზე კი დ რესურსების მაძიებელი (3%). აღნიშნული მონაცემების დახმარებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერის ინვესტიციური განვითარების პირველი ორი საფეხურისაგან განსხვავებით, მესამე საფეხურზე (2008 წლიდან) საქართველო უკვე არ წარმოადგენს მხოლოდ იაფი რესურსების ბაზარს, არამედ უკვე სახეზე გვაქვს მოტივაციების დივერსიფიკაცია. აგრეთვე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უცხოური კომპანიები, საქართველოს ბაზრის სიმცირის მიუხედავად (გლობალური კონკურენტუნარიანობის მიხედვით მსოფლიოში - 103-ე), მისი ათვისებით არიან დაინტერესებულნი, რასაც ხელს უწყობს (და აგრეთვე უშლის) როგორც ეკონომიკური, ასევე არაეკონომიკური ფაქტორები [Global Competitiveness Report, 2013-2014].

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელის შემშლელი ფაქტორები საქართველოში

სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად, მცირე ბაზარი; ეროვნული ვალუტის არასტაბილურობა [Anguridze O., 2015]; დაბალკვალიფიციური სამუშაო ძალა; დაბალი მსყიდველობითი უნარი; ინფრასტრუქტურის დაბალი განვითარებულობა; მუდმივი პოლიტიკური დაძაბულობა და სხვა), რომელიც საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მოზიდვას უშლის ხელს დ არის კონფლიქტური რეგიონების არსებობა და მუდმივად დაძაბული ურთიერთობის რეჟიმი მათთან. ჩვენი აზრით, აღნიშნული პრობლემა ინვესტორთა მოზიდვის დროს ყველაზე სერიოზული უარყოფითი მაჩვენებელია, რომელიც ქვეყანას შეიძლება გააჩნდეს, მით უმეტეს მცირეს.

სხვადასხვა კვლევების თანახმად, ეკონომიკური თანამშრომლობა საქართველოსა და მის კონფლიქტურ რეგიონთან დ აფხაზეთთან, არსებობს და საკმაოდ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს უკანასკნელის საეკონომიკური სტრუქტურაში [Mirimanova N., at all., 2013]. ჩვენი აზრით, საჭიროა კონფლიქტის მოგვარებაზე მუშაობა, რათა პერსპექტივაში მნიშვნელოვანი საინვესტიციო ნაკადების მოზიდვა იყოს შესაძლებელი [Charaia V., 2016]. თუმცა, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ქვეყნის გრძელვადიანი ინტერესები და არ დაიშვას ისეთი

პროექტების განხორციელება, რომელიც მისი განვითარების შემაფერხებელი ელემენტი გახდება მომავალში, მაგ., ასეთი ტიპის ქართულ-აფხაზური პროექტი შეიძლება იყოს რკინიგზის აღდგენა, რომელიც ყველანაირი გაანგარიშებით წამგებიანი პროექტია საქართველოსთვის [Papava V., Charaia V., 2014].

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე და კონტრიბუციის ინდექსი

ჩვენი აზრით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გზაზე შეუფასებელია და მიდგომა, რომ პუი ქვეყნის ეკონომიკის გაჩანაგებას უწყობს ხელს, არასწორია. კონტრიბუციის ინდექსის თანახმად, რომელიც მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვისაა გამოანგარიშებული (საქართველოსთვის კი ჩვენ მიერ იქნა დამუშავებული) გვიჩვენებს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციის როლი საქართველოს ეკონომიკაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მთელ მსოფლიოში. კერძოდ, ქართულდუცხოური წილობრივი მონაწილეობით შექმნილი ორგანიზაციების: ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში 47%-ია (საქსტატი), მაშინ, როდესაც საშუალო მანვენებული 15%-ის ფარგლებშია; ასაქმებენ მთელი ქვეყნის მასშტაბით დასაქმებულთა 18%-ს, რაც რამდენჯერმე აღემატება საშუალო მანვენებელს; იგივე მდგომარეობაა დამატებული ღირებულების შემთხვევაშიც. ქართულდუცხოური წილობრივი მონაწილეობით შექმნილი ორგანიზაციები მთლიანი დამატებული ღირებულების 33%-ს ქმნიან, რაც მსოფლიოში საშუალო მანვენებელს 1.5-3 ჯერ აღემატება (ცხრილი 1).

ცხრილი 1

კონტრიბუციის ინდექსი (პროცენტებში, 2011 წლის მონაცემები)

რეგიონი / ეკონომიკა	დამატებული ღირებულება	დასაქმება	ექსპორტი	საგადასახადო შემოსავლები	შრომის ანაზღაურება	კვლევა და განვითარება	კაპიტალის აკუმულირება
განვითარებული ქვეყნები	12,7	7,5	19,3	13,9	14,6	24,2	10,5
განვითარებადი ეკონომიკა	12,2	7,9	17,3	14,6	15,4	24,1	11,6
გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები	21,7	3,0	11,2	15,4	25,7
საქართველო	33	18	47	46.5	15	...	40

წყარო: UNCTAD და სპეციალური დაკვეთით საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მოცემული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ქართულ ეკონომიკაზე მნიშვნელოვანია. კომპანიები, რომლებიც საზღვარგარეთიდან შემოდინებული სახსრებით ფუნქციონირებენ, დიდ როლს თამაშობენ ქვეყნის ეკონომიკაში. კერძოდ, კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები ადასტურებს, რომ საქართველოში, ისევე, როგორც სხვა განვითარებადი ქვეყნებში, დიდი როლი უკავია შრომატევადი დარგების წილს მეცნიერებატევად დარგებთან შედარებით. ამაზე მიგვითითებს დასაქმებისა და შრომის ანაზღაურების მაღალი კოეფიციენტები [სიხარულიძე დ., 2012].

დასკვნა და რეკომენდაციები

ჩვენი აზრით, საქართველომ, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით, გარკვეულ წარმატებებს უკვე მიაღწია! თუმცა, არ შეიძლება მიღწეულზე გაჩერება და საჭიროა კიდევ უფრო მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებაზე ზრუნვა, რისთვისაც საჭიროა რიგი აქტიურობების გატარება, მაგ., ა. მაკროეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევა; ბ. კონფლიქტური რეგიონების მიმართ შედეგის მომტანი პოლიტიკის გატარება; გ. კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა და ა.შ.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველომ უკვე გადალახა ერის ინვესტიციური განვითარების გზის პირველი ორი საფეხური, აშკარაა, შემოდინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციებიც იცვლება, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ დროთა განმავლობაში შემოდინებული პუი სულ უფრო ნაკლებად იქნება ორიენტირებული ადგილობრივი ბაზრის ათვისებაზე და წინ წამოიწევეს ეფექტიანობაზე ორიენტირებული ინვესტიციები. შესაბამისად, ქვეყნის მთავრობამ წინასწარ უნდა დაიჭიროს თადარიგი და, როგორც მინიმუმ, ხელი შეუწყოს ისეთი მიმართულებების განვითარებას, როგორცაა: მეცნიერებატექნოლოგიური და ცოდნაზე ორიენტირებული დარგების განვითარება; საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემის ახალ სიმაღლეზე აყვანა, აგრეთვე გადაძახების ცენტრების და ამ ცენტრებში ინვესტორების მხრიდან მოთხოვნად დარგებში ახალი, ძლიერი კადრების მომზადება.

გამომდინარე იქიდან, რომ კონტრიბუციის ინდექსი ნათლად მიგვანიშნებს უცხოური ინვესტიციებისადმი დამოკიდებულებაზე, საჭიროა ამ მიმართულების მაქსიმალურად დახვეწა, რათა ქვეყნის მომდევნო განვითარება არავითარ შემთხვევაში არ შეფერხდეს და, პირიქით, ინვესტიციური გარემოს გაუმჯობესების გზით საქართველომ განვითარების ახალ სიმაღლეებს მიაღწიოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Charaia V., 2014. Local Investment Climate and the Role of (Sustainable) FDI: The Case of Georgia, *International Journal of Social, Management, Economics and Business Engineering* Vol:8 No:2. <http://waset.org/publications/9997562/local-investment-climate-and-the-role-of-sustainable-fdi-the-case-of-georgia>
2. Charaia V., 2014. Role of FDI for Countries Economic Development. The Case of Georgia. 9th Silk Road International Conference "Business, Economics, International Relations and Education. <http://silkroad.ibsu.edu.ge/silkroad/index.php/silkroad/silkroad9th/paper/viewPaper/292>
3. Charaia V., 2016. Economics of Conflict: Core Economic Dimensions of the Georgian-South Ossetian Context. *International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic, Business and Industrial Engineering* Vol:10, No:10. <http://waset.org/Publication/economics-of-conflict-core-economic-dimensions-of-the-georgian-south-ossetian-context/10005757>
4. Dunning, J. H. 1995. Reappraising the eclectic paradigm in the age of alliance capitalism. *Journal of International Business Studies*, 26, 461–491. http://www.rcmewhu.com/upload/file/20150527/20150527105500_7077.pdf
5. Global Competitiveness Report 2013-2014, World Economic Forum. http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2013-14.pdf
6. Anguridze, O., Charaia V., Doghonadze I., (2015). Security Problems & Modern Challenges of the Georgian National Currency. Ivane Javakhishvili Tbilisi State University. <http://analytica.tsu.ge/www/files/2015/07/Security-Problems-Modern-Challenges-of-the-Georgian-National-Currency2.pdf>

7. Mirimanova N., at all., 2013. “Trans-Ingur/i economic relations...” International Alert, http://www.international-alert.org/sites/default/files/Caucasus_TransInguri_EconRelationsRegulation_EN_2013.pdf
8. V. Charaia, 2016. The Financial Side of the Conflict: The Case of the Georgian-South Ossetian Conflict. Cost of Conflict: Core Dimensions of the Georgian-South Ossetian Context. George Mason University. Pp. 46-51. <http://scar.gmu.edu/cpp/cost-of-conflict>
9. Papava V., Charaia V., 2014. “Regional Railways in the Central Caucasus and Georgia’s Economic Interests”, Geo-Economics, Volume 8, Issue 1-2. pp. 58-67. <http://papava.info/publications/regional-railways-en.pdf>
10. World Investment Report 2016. UNCTAD. http://unctad.org/en/PublicationsLibrary/wir2016_en.pdf
11. სიხარულიძე დ., 2012. „უცხოური ინვესტიციების მოტივაციები და მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე (ინგლისურ ენაზე), ეკონომიკა და ბიზნესი, №6, თბილისი, გვ. 61-78. http://www.tsu.edu.ge/data/file_db/economist_faculty/ekonomika%206-2012.pdf
12. ჭარაია ვ., 2014. „წინეხი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძლიერ ველზე“, ეკონომიკა და ბიზნესი, №4. გვ. 109-122. http://www.tsu.edu.ge/data/file_db/economist_faculty/ekonomika4.pdf

Vakhtang Charaia,

PhD Head, TSU Center for Analysis and Forecasting

FOREIGN DIRECT INVESTMENTS ATTRACTION AND MANAGEMENT IN GEORGIA


Expanded Summary

The article focuses on the role of FDI in Georgia’s economic development. To attract as much FDI as possible, a proper investment climate should be in place - institutional, political and regulatory environment. Well developed investment climate is the chance and motivation for both, local economy and foreign companies, to generate maximum income, create new work places and improve the quality of life in the given country. FDI trend is one of the best indicators of country’s economic sustainability and its attractiveness. Especially for small and developing countries, the amount of FDI matters, therefore most of such countries are trying to compete with each other through improving their investment climate according to different world famous indexes, such as: Global Competitiveness Index, Doing Business, Corruption Perception Index, Economic Freedom Index and etc. As a result of impressive reforms since 2003, Georgian economy has benefited with large invasion of FDI, however the level of per capita GDP is still low in comparison to Eastern European countries and it should be improved. The main idea of the paper is to show a real linkage between FDI and employment ration, on the case of Georgian economy

Based on Investment Development Path, research shows that Georgia is on the second level of its development (see diagram 1), which means that inflow investments are prevailing on outflow investments and the country is still progressing based on non-modern technologies based economy. It can largely explain the role of the Government of Georgia in the evolution of the competitiveness of Georgian enterprises and of Georgia as a production location. It also predicts the direction of Georgian outward FDI to neighbor countries and highlights the relevance of the two-way relationship between inward FDI and the upgrading of the country’s

location advantages, on the one hand, and with the development of domestic firms’ ownership advantages on the other hand.

Diagram 1




Source: Author’s calculations, based on WB data.

Research based on 80 different investor countries in Georgia show that the biggest part of FDI’s are: 1. Efficiency seeking investments –16%; 2. Efficiency seeking investments – 16% and 3. Resources seeking investments - 3% (Diagram 2). Based on the research we can say that Georgia is still a country of low paid workforce and foreign investors are more interested in the local market occupation then in conquering international markets using Georgian opportunities and economic attractiveness.

diagram 2

Left – Trend for FDI Motivations; Right - IDP for FDI inflow in Georgia 2007-2013 years.



Source: Author’s calculations, based on GEOSTAT data.

The fact that FDI’s are positively affecting the development of Georgian economy is proved by the contribution Index, which shows that the companies created with help of FDI’s are: employing around 1/5th of all Georgian employees; taxes generated from such companies

makes up to half of all collected taxes; makes up to ½ of all exported products form Georgian and etc (see table 1).

Table 1

Contribution Index (2011 year, in percents)

Region / Economy	Value added	Employment	Exports	Tax Income	Salary	R&D	Capital Formation
Developed Countries	12,7	7,5	19,3	13,9	14,6	24,2	10,5
Developing Countries	12,2	7,9	17,3	14,6	15,4	24,1	11,6
Transitional Countries	21,7	3,0	11,2	15,4	25,7
Georgia	33	18	47	46.5	15	...	40

Source: UNCTAD

Attracting FDI to Georgia is an issue of major importance nowadays. Georgia is not short of local dynamos of economic enlargement that could potentially catch the attention of investors; however, the small efforts done for the promotion of local savings to transform it to the investments is hinder the economic development of the country. Foreign Direct Investment works as a locomotive to enlarge the transfer of technology, skills and access to export markets. It can decrease unemployment and increase employment; contribute to a higher GDP through higher levels of productivity.

While empirical analyses show the institutional factors as a key challenge for FDI inflows, less attention is given to the relationship between political risk and investment decision. Many of transition economies of Eastern Europe and the CIS have practiced an enormous progress in FDI inflows during the past decade. Meanwhile, other countries in the region especially with low democratic characterizes – have been usually ignored by international investors. Fortunately Georgia has overcome this negative factor.

The government of Georgia is ready and willing to provide greatest assistance to investors in the Georgian economy. Particular attention is paid to improving the business climate through further streamlining the business regulation procedures, liberalizing the financial sector and even more decreasing the tax burden.

ნანა სრესელი
თსუ ასოცირებული
პროფესორი
მერაბ ჯიქია
თსუ ასოცირებული
პროფესორი
რუსუდან სრესელი
თსუ დოქტორანტი

ფულადი ნაკადების ანგარიშების ანალიზის ძირითადი ასპექტები

რეზიუმე

ორგანიზაციას ფინანსური სირთულეები ექმნება, თუ ფულადი საშუალებების წილი მიმდინარე აქტივებში შემცირებულია მაშინ, როცა მიმდინარე ვალდებულებები არის გაზრდილი.

აღნიშნული პრობლემის გადაჭრას უზრუნველყოფს ფულადი საშუალებების ანალიზი, რომლითაც ხორციელდება ფულადი სახსრების საკმარისობის დონის განსაზღვრა; საწარმოს მიერ ფულადი საშუალებების გამოქმნაგების უნარის და ფულადი ნაკადების შემოდინებისა და გადინების სინქრონულობის შეფასება. არსებული და პოტენციური ინვესტორებისათვის, რომლებიც თანხებს აბანდებენ ფირმის აქტივებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მენეჯმენტის შესაძლებლობები, უზრუნველყოს მათი გამოყენებიდან დადებითი ფულადი ნაკადების გენერირება. გამომდინარე აქედან, ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების დროს ინვესტორის ინტერესი მიმართულია არა მთლიანი ან წმინდა, არამედ თავისუფალი ფულადი ნაკადებისკენ, რომელიც მისთვისაა ხელმისაწვდომი. ფულადი საშუალებების მინიმალურად აუცილებელი მარაგის არარსებობა საწარმოს ხარჯების დაფარვის რისკის წინაშე აყენებს. ფულადი სახსრების ზედმეტობა კი მიანიშნებს მათი სარგებლით განთავსების ხელიდან გაშვებულ შესაძლებელობაზე. ნაშრომში გაანალიზებულია წმინდა ფულადი ნაკადების სტრუქტურა მთლიანად და საქმიანობის სახეების მიხედვით, განხილულია ფულადი საშუალებების მოძრაობის შესახებ ანგარიშგების ანალიზური მნიშვნელობა საწარმოს გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდობის შეფასებაში; ჩამოყალიბებულია ფულადი საშუალებების ანალიზის მნიშვნელობა ფულადი სახსრების მართვის პროცესში.

საკვანძო სიტყვები: წმინდა ფულადი ნაკადები, თავისუფალი ფულადი ნაკადები, გადახდისუნარიანობა, ლიკვიდობის კოეფიციენტი, ფულადი საშუალებების ბრუნვის კოეფიციენტი, ფულადი საშუალებების დამაგრების კოეფიციენტი, წმინდა ინვესტიციების დაფარვის კოეფიციენტი.

შესავალი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება შეიცავს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მოცემული არ არის სრული შემოსავლებისა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. საწარმოთა ფინანსური კეთილდღეობის ერთ-ერთ ძირითად პირობას ფულადი საშუალებების იმ ოდენობით შემოდინება წარმოადგენს, რომელიც საკმარისია დაგეგმილი ხარჯების დასაფარავად. ფულადი საშუალებების მინიმალურად აუცილებელი მარაგის არარსებობამ შეიძლება სერიოზული ფინანსური სიძნელეები გამოიწვიოს. ფულადი საშუალებების ზედმეტობა კი მეტყველებს, რომ, რეალურად, საწარმო განიცდის ზარალს, რაც დაკავშირებულია, პირველ რიგში, ინფლაციასა და ფულის გაუფასურებასთან და მეორე დ მათი

სარგებლიანი განთავსებით შემოსავლების მიღების ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობებთან. ამასთან, ფულადი ნაკადებით მანიპულირება ადვილი არ არის, როგორც ეს შეიძლება მოხდეს ფინანსური ანგარიშგების სხვა კომპონენტებთან მიმართებაში. ასევე, ფულად ნაკადებზე გავლენას არ ახდენს სააღრიცხვო პოლიტიკა ან პროფესიული განსჯა. ყოველივე აღნიშნული ამადლებს ფულადი რესურსების მდგომარეობის ანალიზის მნიშვნელობას საწარმოში.

ფულადი ნაკადების ანალიზის შედეგები შეიცავს ღირებულ მმართველობით ინფორმაციას, რაშიც დაინტერესებული არიან როგორც საწარმოს ხელმძღვანელები, ასევე მისი აქციონერები (ინვესტორები). მისი დახმარებით ხელმძღვანელობას შეუძლია აკონტროლოს საწარმოს მიმდინარე გადახდისუნარიანობა, მიიღოს ოპერატიული გადაწყვეტილება მისი სტაბილიზაციისთვის, შეაფასოს დამატებითი ინვესტიციების შესაძლებლობა. საწარმოს კრედიტორებს შეუძლიათ შეადგინონ დასკვნა მევაღე საწარმოს საშუალებების საკმარისობისა და მისი უნარის შესახებ და გამოიმუშაოს ფულადი საშუალებები დავალიანებების დასაფარავად. აქციონერებს (ინვესტორებს), რომლებიც ფლობენ ინფორმაციას საწარმოში ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ, შესაძლებლობა ეძლევათ, უფრო დასაბუთებულად შეიმუშაონ მოგების განაწილებისა და გამოყენების პოლიტიკა.

შრომის პრაქტიკულ ნაწილში გამოყენებულია ქ. თბილისის მომსახურების სფეროში ფუნქციონირებადი ორგანიზაციის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია.

ფულადი საშუალებების საკმარისობის ანალიზის ჩატარების სხვადასხვა ხერხი არსებობს. კერძოდ, ფინანსური სიძნელეების წარმოქმნის თავისებურ ბარომეტრს წარმოადგენს საწარმოს მიმდინარე აქტივების შემადგენლობაში ფულადი საშუალებების ხვედრითი წონის შემცირება მიმდინარე ვალდებულებების მოცულობის ზრდის პირობებში. ამიტომ, ყველაზე უფრო სასწრაფო ვალდებულებებთან (რომელთა ვადა იწურება მიმდინარე თვეში) ფულადი საშუალებების თანაფარდობის ყოველთვიურმა ანალიზმა შეიძლება მკაფიო წარმოდგენა შეგვიქმნას ფულადი საშუალებების საკმარისობის შესახებ.

ფულადი საშუალებების საკმარისობის შეფასების მეორე ხერხია მისი ბრუნვის ხანგრძლივობის განსაზღვრა. ფულადი საშუალებების ბრუნვის ხანგრძლივობა (T_{FC}) გამოითვლება ფორმულით [Ионова А. Ф., Селезнёва Н. Н., 2008]:

$$T_{FC} = \frac{FCxD}{G} \quad (1)$$

სადაც, FC არის ფულადი საშუალებების საშუალო ნაშთი;

D – საანალიზო პერიოდის ხანგრძლივობა;

G – გადასახდელების სიდიდე საანალიზო პერიოდში.

საწარმოში ფულადი საშუალებების რეალური მოძრაობის გამოსავლენად, შევაფასოთ მათი მიღებისა და ხარჯვის სინქრონულობა, მიღებული ფინანსური შედეგის სიდიდე დაგუკავშირით ფულადი ნაკადების მდგომარეობას, საჭიროა გამოვეყნოთ და გავანალიზოთ ფულის მიღების (შემოდინების) და გასვლის (გაღინების) ყველა მიმართულება [Савицкая Г.В., 2014].

გადახდისუნარიანობის ანალიზის მიზნებისათვის აუცილებელია ვიცოდეთ საწარმო რა გზით, რა წყაროებიდან იღებს ფულად საშუალებებს და როგორია მისი ხარჯვის ძირითადი მიმართულებები. ასეთი ანალიზის მთავარი მიზანია საწარმოს ფულადი საშუალებების გამოიმუშავების უნარიანობის შეფასება იმ ვადებში და იმ ოდენობით, რაც აუცილებელია დაგეგმილი ხარჯების გასაწევად.

ფულადი ნაკადების მართვის ყველაზე გავრცელებულ ხერხს წარმოადგენს საგადასახდელო კალენდრის ფორმირება, რომლის გამოყენების მიზანია შემოსულობებისა და გადასახდელების გრაფიკის ისეთნაირად შედგენა, რომ თავიდან იქნეს აცილებული საკასო გარღვევები და იმავდროულად შემცირდეს ზედმეტი ფულადი საშუალებების წარმოქმნა ანგარიშებზე.

საგადასახდელო კალენდარს შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული სტრუქტურა, მაგრამ მასში ასახული უნდა იყოს ყველა მოსალოდნელი თანხა, რაც ეხება შემოსულობებსა და გადასახდელებს, ასევე ფულადი საშუალებების დაგეგმილ ნაშთებს განსაზღვრული დროითი პერიოდების მიხედვით.

ფულადი საშუალებების მოძრაობაზე სრული ანგარიშების შედგენისას გამოყოფენ სამ ძირითად სეგმენტს: ფულადი საშუალებების მოძრაობას საოპერაციო (მიმდინარე), საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობიდან.

ფულადი საშუალებების შემოდინება მიმდინარე საქმიანობის ფარგლებში, პირველ რიგში, დაკავშირებულია ამონაგების მიღებასთან პროდუქციის, შესრულებული სამუშაოებისა და გაწეული მომსახურების გაყიდვიდან, ასევე მეიდველებისა და დამკვეთებისაგან ავანსების მიღებასთან; გადინება კი დაკავშირებულია მომწოდებლებისა და სხვა კონტრაგენტების ანგარიშების ანაზღაურებასთან, მუშაკების ხელფასის ანაზღაურებასთან, ბიუჯეტსა და არასაბიუჯეტო ფონდებთან ანგარიშსწორებასთან. საწარმოს მიმდინარე საქმიანობასთან ასევე დაკავშირებულია პროცენტი ბანკის კრედიტით სარგებლობისათვის.

ერთ-ერთ პირობას, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ფულადი საშუალებების ესა თუ ის ოპერაცია მიეკუთვნოს საოპერაციო (მიმდინარე) საქმიანობას, წარმოადგენს მისი მიკუთვნების შეუძლებლობა საინვესტიციო ან საფინანსო სფეროსათვის.

ფულადი საშუალებების მოძრაობა საინვესტიციო ჭრილთ გამოწვეულია გრძელვადიანი სარგებლობის ქონების შექენითა (შექმნით) და რეალიზაციით. პირველ რიგში, ეს ეხება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და გრძელვადიანი ფინანსური დაბანდებების მიღებასა და გასვლას.

ფინანსურ საქმიანობაში იგულისხმება ფულადი საშუალებების მოძრაობა, რაც დაკავშირებულია ცვლილებებთან საწარმოს საკუთარი და ნასესხები კაპიტალის შემადგენლობასა და სიდიდეში. მოცემული განაყოფის საკუთარ კაპიტალში ასახული ცვლილებები წარმოადგენს აქციების ემისიის ან სხვა ფულადი საშუალებებით საწესდებო კაპიტალის ზრდის შედეგს. ასევე, მასში აისახება მიღებული საემისიო შემოსავალი.

წმინდა (ნეტო) ფულადი საშუალებები დ ეს არის ფულადი საშუალებების ცვლილების შედეგი (განისაზღვრება როგორც სხვაობა შემოსულობებსა და გადასახდელებს შორის, როგორც საქმიანობათა სახეობების, ასევე მთლიანად პერიოდის მიხედვით).

ფულადი ნაკადების ანალიზისას აუცილებელია ისეთ მონაცემებს დავეყრდნობოთ, რომლებიც გასუფთავებულია ფულადი საშუალებების ანგარიშების შიგა ბრუნვებისგან (მაგალითად, ანგარიშსწორების ანგარიშის, საღაროს, სავალუტო ანგარიშებსა და სხვა ანგარიშებს შორის). ეს სრულად ეთანხმება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც ფულადი საშუალებებისა და მათი ეკვივალენტების გადაადგილება ცალკეულ მუხლებს შორის განიხილება არა როგორც ფულადი საშუალებების მოძრაობა, არამედ როგორც მისი მართვის ხერხი. ამიტომ ასეთი გადაადგილებები არ ჩაითვლება ფულადი საშუალებების შემოდინებისა და გადინების გაანგარიშებებში [Савицкая Г.В., 2014].

ანგარიშების ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს ფულადი საშუალებების ცვლილების შედეგი მიმდინარე საქმიანობიდან ან წმინდა ფულადი საშუალებები

მიმდინარე საქმიანობიდან (წფს). აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით მსჯელობენ ფულადი საშუალებების გამომუშავების როგორი უნარი გააჩნია საწარმოს მისი ძირითადი საქმიანობის შედეგად. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ცალკე გამოვეყნოთ ის ფულადი საშუალებები, რომელიც იქმნება საწარმოებში იმ ფულადი საშუალებებისგან, რომელიც მოზიდულია გარედან კრედიტის სახით, მესაკუთრეთა მიერ დამატებითი შენატანების სახით და სხვ.

საქმე ისაა, რომ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფულადი საშუალებების საერთო ცვლილება შეიძლება იყოს დადებითი, საწარმოს შეიძლება ჰქონდეს ლიკვიდობის კოეფიციენტის დამაკმაყოფილებელი მნიშვნელობა და იმავდროულად წმინდა ფულადი ნაკადების სიდიდე მიმდინარე საქმიანობიდან იყოს უარყოფითი. ეს იმას ნიშნავს, რომ საწარმოს ძირითადი საქმიანობის შედეგს წარმოადგენს ფულადი საშუალებების გადინება, ხოლო მისი მატება პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოფილია ფინანსური საქმიანობის შედეგად, ე.ი. რესურსების გარედან მოზიდვით, ან ზოგჯერ გრძელვადიანი აქტივების გაყიდვით, ან სხვა საწარმოებისთვის ადრე მიცემული სესხის დაბრუნებით. თუ მოცემული საწარმოსათვის აღნიშნული სიტუაცია განმეორდება რიგი პერიოდის განმავლობაში, მაშინ დადგება მომენტი, როცა ის ვერ შეძლებს თავისი ვალდებულებების დაფარვას, რადგან მისი დაფარვის ძირითადი წყარო უნდა იყოს ფულადი საშუალებების შემოდინება მიმდინარე საქმიანობიდან. ფულადი ნაკადების ანალიზისთვის შეიძლება გამოვიყენოთ ცხრილები (ცხრ.1, 2, 3 და 4).

1 ცხრილის მონაცემების ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს, შევაფასოთ მიმდინარე საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების მოცულობა და მისი სტრუქტურა. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ კომპანია, როგორც გასულ, ასევე საანალიზო პერიოდის განმავლობაში, სტაბილურად უზრუნველყოფდა მიმდინარე საქმიანობიდან შემოსულობების გადაჭარბებას გადასახდელებზე. ეს შესაძლებლობას იძლევა, ვიმსჯელოთ ფულადი საშუალებების საკმარისობაზე მიმდინარე ხარჯების განსახორციელებლად, პროცენტებისა და დივიდენდების ასანაზღაურებლად.

ასევე უნდა აღვნიშნოთ ფულადი ნაკადების სტრუქტურის სტაბილურობაც. მთლიან შემოსულობებში ყველაზე მეტი ხვედრითი წონა (70%-ზე მეტი) უჭირავს შემოსულობებს მყიდველებისგან, რომელიც წარმოადგენს მიმდინარე საქმიანობიდან ფულადი საშუალებების ნაკადების უმთავრეს და სტაბილურ მუხლს. სხვა დანარჩენი შემოსულობების ხვედრითი წონა რამდენადმე გაიზარდა (20,9%-დან 25,4%-მდე).

გადასახდელების სტრუქტურაც საკმაოდ სტაბილურია. დანახარჯების 70%-ზე მეტი შეადგენს ანგარიშსწორებას მომწოდებლებთან, სხვა დანარჩენი ანაზღაურებების ხვედრითი წონა მერყეობს 20%-ის დონეზე.

ცხრილი 1

მიმდინარე საქმიანობიდან ფულადი ნაკადების სტრუქტურა

ფულადი ნაკადები	მიმდინარე საქმიანობა			
	გასული პერიოდი		საანალიზო პერიოდი	
	თანხა, ლარი	%	თანხა, ლარი	%
შემოსულობები	8101772	100	8691121	100
მათ შორის:				
მყიდველებისგან	6405637	79,1	6483612	74,6

სხვა დანარჩენი	1696135	20,9	2207509	25,4
გადასახდელები	7870966	100	8443056	100
მათ შორის:				
მომწოდებლებისთვის	5720810	72,7	5997588	71,1
შრომის ანაზღაურებაზე	377033	4,8	397597	4,7
ანგარიშსწორება გადასახადებითა და მოსაკრებლებით	257492	3,3	197799	2,3
სხვა დანარჩენი(1515631	19,2	1850072	21,9
წმინდა ფულადი საშუალებები (წფს)	230806	–	248065	–

საწარმოს საინვესტიციო საქმიანობის ანალიზი გრძელვადიან პერიოდში გვიჩვენებს საშუალებების დაბანდების მოცულობასა და მიმართულებას. გრძელვადიან ინვესტიციებში ძირითად მუხლს წარმოადგენს დაბანდებები ძირითადი საშუალებების ობიექტებსა და არამატერიალურ აქტივებში (გამონაკლისი იყო გასული პერიოდი, როცა საშუალებების 49,1% მიმართული იყო სხვა საწარმოებისთვის სესხების გაცემაზე).

ცხრილი 2

საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადების სტრუქტურა

ფულადი ნაკადები	მიმდინარე საქმიანობა			
	გასული პერიოდი		საანალიზო პერიოდი	
	თანხა, ლარი	%	თანხა, ლარი	%
შემოსულობები	445516	100	299673	100
მათ შორის:				
ამონაგები გრძელვადიანი აქტივების გაყიდვებიდან	61890	13,9	49190	16,4
მიღებული პროცენტები და დივიდენდები	331	0,1	2811	0,9
შემოსულობები სხვა საწარმოებზე გაცემული სესხების დაფარვიდან	383295	86,0	247672	82,6
გადასახდელები	1053777	100	351336	100
მათ შორის:				
ძირითადი საშუალებების ობიექტებისა და არამატერიალური აქტივების შექმნა	404532	38,4	288461	82,1
გრძელვადიანი ფინანსური დაბანდებანი (გარდა გაცემული სესხებისა)	131879	12,5	2621	0,7
სესხები გაცემული სხვა საწარმოებისთვის	517366	49,1	60254	17,1
წმინდა ფულადი საშუალებები (წფს)	– 608261	–	– 51663	–

ინვესტიციების მოცულობა ნაწილობრივ დაფარული იყო დეზინვესტიციით და ზედმეტი გრძელვადიანი აქტივების ობიექტების გაყიდვით და იმ საშუალებების დაბრუნებით, რაც ადრე გაიცა სესხის სახით. რამდენადაც საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი საშუალებების მოძრაობის საბოლოო შედეგი გახდა მათი

გადინება (ანგარიშგების მოცემული განაცოფისთვის ეს ნორმალურია), შეიძლება დავასკვნათ, რომ ასეთი ინვესტიციების განხორციელება შესაძლებელი გახდა მიმდინარე საქმიანობიდან დადებითი შედეგის მიღების საფუძველზე, ასევე საშუალებების დამატებითი მოზიდვით საფინანსო საქმიანობიდან.

ცხრილი 3

ფინანსური საქმიანობიდან ფულადი ნაკადების სტრუქტურა

ფულადი ნაკადები	მიმდინარე საქმიანობა			
	გასული პერიოდი		საანალიზო პერიოდი	
	თანხა, ლარი	%	თანხა, ლარი	%
შემოსულობები	3880296	100	2628958	100
მათ შორის:				
აქციებისა და სხვა წილობრივი ქაღალდების ემისიით	–	–	164998	6,3
შემოსულობები სხვა საწარმოებისთვის გაცემული სესხებიდან და კრედიტებიდან	3880296	100	2463960	93,7
გადასახდელები	3471611	100	2829498	100
მათ შორის:				
სესხებისა და კრედიტის დაფარვა (პროცენტის გარეშე)	3469899	99,95	2823883	99,8
ფინანსური იჯარის ვალდებულებების დაფარვა	1712	0,05	5615	0,2
წმინდა ფულადი საშუალებები (წფს)	408685	–	– 200540	–

მე-3 ცხრილის მონაცემებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ფინანსური საქმიანობიდან ფულადი საშუალებების მოძრაობის ძირითად მუხლს წარმოადგენს კრედიტები და სესხები. საწარმოს უნარს, განახორციელოს ინვესტიციები მიმდინარე საქმიანობიდან ფულადი ნაკადების საფუძველზე, ე.ი. ჰქონდეს თვითდაფინანსების უნარი, ასევე გააჩნდეს სხვა სახეობის დაფინანსების წყაროებზე შესაძლო მოთხოვნა, ადასტურებს მანვენებელი, რომელმაც მიიღო თავისუფალი ფულადი ნაკადების სახელწოდება – FCF (free cash flow).

აღნიშნული მანვენებელი ტოლია მიმდინარე და საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული შედეგის (ჯამის) აბსოლუტურ თანხაში. მისი გაანგარიშება წარმოდგენილია მე-4 ცხრილში.

როგორც ვხედავთ, ინვესტიციების მოცულობა გასულ პერიოდში მნიშვნელოვნად აჭარბებდა წმინდა ფულადი ნაკადების დადებით სიდიდეს მიმდინარე საქმიანობიდან. ამაზე მეტყველებს თავისუფალი ფულადი საშუალებების (FCF) უარყოფითი მნიშვნელობაც. ამასთან დაკავშირებით კომპანიამ დამატებით მოიზიდა საშუალებები კრედიტისა და სესხების სახით. გასულ პერიოდში ფულადი საშუალებების ჯამობრივი სიდიდის ცვლილებამ შეადგინა + 31230 ლარი.

კომპანიის საქმიანობას საანალიზო პერიოდში გააჩნდა თავისებურებები, კერძოდ, თავისუფალი ფულადი საშუალებების სიდიდემ შეადგინა 196402 ლარი, რაც აღებული სესხებისა და კრედიტის დასაფარავად იქნა გამოყენებული. მთლიანობაში, მიუხედავად საანალიზო პერიოდში ფულადი საშუალებების საერთო შემცირებისა, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საწარმოს შეუძლია აკონტროლოს და შეინარჩუნოს გადახდისუნარიანობა.

საქმიანობათა სახეობების მიხედვით ფულად საშუალებების მთლიანი ცვლილება

ფულადი ნაკადები	წმინდა ფულადი საშუალებები	
	გასული პერიოდი	საანალიზო პერიოდი
1. მიმდინარე საქმიანობა	230806	248065
2. საინვესტიციო საქმიანობა	- 608261	- 51663
3. თავისუფალი ფულადი საშუალებები (სტრ.1+სტრ.2)	- 377455	196402
4. ფინანსური საქმიანობა	408685	- 200540
5. ფულადი საშუალებების მთლიანი ცვლილება პერიოდის განმავლობაში (სტრ.1+სტრ.2+სტრ.4) ან (სტრ.3+სტრ.4)	31230	- 4138

მომავალში, ფულადი საშუალებების ბიუჯეტის მონაცემების საფუძველზე, კომპანია გეგმავს გაზარდოს გრძელვადიანი ინვესტიციების მოცულობა, რომელთა დასაფინანსებლად გამოყენებული იქნება როგორც მიმდინარე საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადები, ისე გარე ფინანსური წყაროებიც.

ფინანსურმა ანალიზმა უნდა გამოავლინოს დაფინანსების წყაროების მოზიდვის მიმართულებები. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ შევაფასოთ, აქვს თუ არა საწარმოს უნარი, მომავალში დაფაროს მოზიდული სესხებითა და კრედიტით წარმოქმნილი ვალდებულებები. ასევე საჭიროა ერთმანეთს შევადაროთ მიმდინარე და ფინანსური საქმიანობის შედეგები იმის გათვალისწინებით, რომ ვალდებულებათა დაფარვის ძირითად სტაბილურ წყაროს წარმოადგენს საშუალებათა ნაზარდი მიმდინარე (საოპერაციო) საქმიანობიდან.

ფულადი საშუალებების მოძრაობის შესახებ ანგარიშგების ინფორმაციის გამოყენება შეიძლება რიგი ანალიზური მაჩვენებლის გასაანგარიშებლად, რომლებიც ახასიათებს საწარმოს გადახდისუნარიანობას [Роберт С. ХИГГИНЕ., 2008]. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ:

$$K_{\text{გადახდისუნარიანობა}} = \frac{(\text{ფს})_{\text{პდ}} + \text{შემოდინება} (\text{ფს})_{\text{პგ}}}{\text{გადინება} (\text{ფს})_{\text{პგ}}} \quad (2)$$

სადაც, (ფს)_{პდ} არის ფულადი საშუალებების სიდიდე პერიოდის დასაწყისში;

(ფს)_{პგ} – ფულადი საშუალებების შემოდინება ან გადინება პერიოდის განმავლობაში;

$$K_{\text{გადახდისუნარიანობა}} = \frac{77606 + 11619752}{11623890} = 1,006 \quad (3)$$

ცნობისათვის: ფულადი საშუალებები პერიოდის დასაწყისისთვის 77606 ლარი.

ფულადი საშუალებები პერიოდის ბოლოსთვის 73 468 ლარი.

გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი შესაძლებლობას გვაძლევს განვსაზღვროთ, შეიძლებს თუ არა საწარმო გარკვეული პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოს ანაზღაურება ფულადი საშუალებებით შესაბამის ანგარიშებზე არსებული ნაშთებისა და ამავე პერიოდში მოსალოდნელი შემოდინებების

საფუძველზე. ცხადია, საწარმოს გადახდისუნარიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია აღნიშნული კოეფიციენტი იყოს არანაკლებ ერთისა.

ფულადი საშუალებების საკმარისობის შესაფასებლად, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, გამოიყენება ფულადი საშუალებების ბრუნვალობის ხანგრძლივობის კოეფიციენტი. (1) ფორმულით წარმოებული გაანგარიშების თანახმად, საანალიზო საწარმოში ფულადი საშუალებების ბრუნვალობის ხანგრძლივობის კოეფიციენტი შეადგენს 2 [(77 606 +73 468)/2 * 365 / 11 623 890] დღეს, ე.ი. საწარმოს საკუთარი ფულადი სახსრები საკმარისია მხოლოდ 2 დღის ხარჯების დასაფარად.

$$K_{\text{ბივერის}} = \frac{\text{წმინდა მოგება} + \text{ამორტიზაცია}}{\text{გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებები}} \quad (4)$$

ბივერის კოეფიციენტის [Ефимова О. В., Мельник М. В., 2008]. გაანგარიშებისას გამოიყენება ვალდებულებების საშუალო სიდიდე. ითვლება, რომ აღნიშნული კოეფიციენტის სარეკომენდაციო მნიშვნელობა უნდა მერყეობდეს ინტერვალში 0,17 დ 0,4.

წლის განმავლობაში თუ კოეფიციენტის ფაქტობრივი მნიშვნელობა ინტერვალში მითითებულ მონაცემზე ნაკლები აღმოჩნდება, მაშინ მსჯელობენ გადახდისუნარიანობის დაკარგვის მაღალი რისკის არსებობაზე. თუ კოეფიციენტის მნიშვნელობა ხვდება აღნიშნული ინტერვალის ფარგლებში, მაშინ მიაჩნევენ საშუალო რისკზე, ხოლო თუ მაჩვენებლის მნიშვნელობა აღემატება 0,4-ს, მაშინ თვლიან, რომ არსებობს გადახდისუნარიანობის დაკარგვის დაბალი დონე.

$$\text{პროცენტის დაფარვა} = \frac{(\text{წეს})_{\text{პროცენტის გადახდამდე}}}{\text{გადახდილი პროცენტის თანხა}} \quad (5)$$

აღნიშნული მაჩვენებელი ავსებს პროცენტის დაფარვის ტრადიციულად გასაანგარიშებელ მაჩვენებელს (მოგება პროცენტისა და გადასახადების გადახდამდე შეფარებული პროცენტის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯების ჯამთან) და შესაძლებლობას გვაძლევს შევაფასოთ, თუ რა უნარი გააჩნია საწარმოს აღებული ვალების მომსახურებაზე გასაწევი ხარჯების დასაფარავად.

იმისთვის, რომ შევაფასოთ მიმდინარე საქმიანობიდან მიღებული საშუალებების საკმარისობა, დივიდენდების გადასახდელად იყენებენ შემდეგ მაჩვენებელს:

$$\text{დივიდენდის დაფარვა} = \frac{(\text{წეს})_{\text{დივიდენდების გადახდამდე}}}{\text{გადახდილი დივიდენდების თანხა}} \quad (6)$$

$$\text{წმინდა ინვესტიციების დაფარვის ხარისხი} = \frac{(\text{წეს})_{\text{წ}}}{(\text{წეს})_{\text{ს}}},$$

(ნეტო- ინვესტიცია)

სადაც (წეს)_ს და (წეს)_წ – შესაბამისად წმინდა ფულადი საშუალებების სიდიდეა მიმდინარე და საინვესტიციო საქმიანობიდან.

კერძოდ, თუ აღნიშნული კოეფიციენტის მნიშვნელობა 0,1-ის ტოლია, ეს ნიშნავს, რომ განსახორციელებელი ინვესტიციის 10% უზრუნველყოფილია ფულადი საშუალებების ნაკადით მიმდინარე საქმიანობიდან.

დასკვნა

ამრიგად, ფულადი ნაკადების ანგარიშგება მომხმარებელს საშუალებას აძლევს, შეაფასოს კომპანიის წმინდა აქტივებში მომხდარი ცვლილებები, მისი ფინანსური სტრუქტურა, კომპანიის უნარი, დროულად მოახდინოს რეაგირება

ფულადი საშუალებების რაოდენობრივ მახასიათებლებზე და მათი დეფიციტის შემთხვევაში მოიძიოს დაფინანსების ალტერნატიული წყაროები შეცვლილი პირობებისა და ვითარების შესაბამისად. მიუხედავად იმისა, თუ რამდენად განსხვავდება ერთმანეთისგან კომპანიების საქმიანობა, ფულადი სახსრები ძირითადად ესაჭიროებათ იდენტური მიზნებისათვის. კერძოდ, აქტივების შესაძენად, ვალდებულების დასაფარად და მესაკუთრეებთან ანგარიშსწორებისათვის. ფულადი საშუალებების მოძრაობის ანალიზი შესაძლებლობას იძლევა დავადგინოთ:

- რა მოცულობით და რომელი წყაროებიდან არის მიღებული ფულადი საშუალებები და როგორია მისი გამოყენების ძირითადი მიმართულებები;

- აქვს თუ არა საწარმოს უნარი, უზრუნველყოს მიმდინარე საქმიანობიდან შემოსულობების გადაჭარბება გადასახდელებზე;

- რამდენად საკმარისი საშუალებები გააჩნია საწარმოს საინვესტიციო საქმიანობის განსახორციელებლად და დივიდენდების ასანახაზურებლად;

- რამდენად არის საწარმო დამოკიდებული დაფინანსების გარე წყაროებზე და რამდენად არსებითია მათი როლი საწარმოს ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებაში;

- რამდენად სტაბილურია თანაფარდობა შემოსულობებისა და გადასახდელების შემადგენლობასა და სტრუქტურაში; როგორია ფინანსური ნაკადების პროგნოზირებისთვის მათ გამოყენების შესაძლებლობა.

ჩატარებული ანალიზის შედეგების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

- ფულადი ნაკადების სტრუქტურის ანალიზმა აჩვენა, რომ მთლიან შემოსულობებში ყველაზე მაღალი ხვედრითი წონით დ 70%-ზე მეტი, ხასიათდება საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადები, რომელიც გენერირდება მყიდველებისგან მიღებული ფულადი სახსრებით და სტაბილურობით ხასიათდება;

- ფულადი საშუალებების საკმარისობის დონის შეფასებამ გამოავლინდა, რომ საწარმოს ფულადი საშუალებების საშუალო ნაშთით შეუძლია ფულად სახსრებზე მხოლოდ 2 დღის მოთხოვნის დაკმაყოფილება, რამაც შეიძლება საწარმოს შეუქმნას გარკვეული სირთულეები;

- საწარმო სტაბილურად უზრუნველყოფს მიმდინარე საქმიანობიდან შემოსულობების გადაჭარბებას გადასახდელებზე. კერძოდ, საოპერაციო საქმიანობის წმინდა ფულადი ნაკადები წინა პერიოდთან შედარებით საანალიზო პერიოდში 17 258 ლარით გაიზარდა და 248 065 ლარი შეადგინა, რაც დადებითად ითვლება;

- ფულადი ნაკადების ოპტიმალური მართვის პირობებში საწარმოს აქვს გადახდისუნარიანობის შეინარჩუნების პერსპექტივა, ვინაიდან თავისუფალი ფულადი საშუალებები წინა პერიოდთან შედარებით 573 857 ლარით გაიზარდა და საანალიზო პერიოდში 196 402 ლარი შეადგინა.

•

გამოყენებული ლიტერატურა

1. Ефимова О. В., Мельник М. В., 2008. Анализ финансовой отчетности. М.
2. Ковалев В. В., 2010. Корпоративные финансы и учет. Москва.
3. Рахимов Т. Р., 2012. финансовый менеджмент. Москва.
4. Роберт С. Хиггинс., 2008. Финансовый анализ: инструменты для принятия бизнес решений, 8-е издание, М.
5. Савицкая Г.В., Экономический анализ, М., 2014.
6. James C. Van Horne. 2004. Fundamentals of Financial Management.
7. Ионова А. Ф., Селезнёва Н. Н., 2008. Финансовый анализ. М.

Nana Sreseli
Associated Professor TSU
Merab Jikia
Associated Professor TSU
Rusudan Sreseli
PhD Candidate

GENERAL ASPECTS OF CASH FLOW STATEMENT ANALYZE **Expanded Summary**

The Companies are facing financial difficulties when portion of cash resources is decreased in the pool of current assets, while current liabilities are increased.

The lack of minimal cash reserves runs the risk of covering company's expenses. The surplus of cash resources indicates missed possibility of benefit from investing of this cash resources.

The above mentioned problem can be solved by analyzing of financial resources and evaluate sufficiency of cash resources; Specifically calculation of minimum balance of cash resources evaluation of synchronicity of inflow and outflow cash recourses along with company's ability to generate cash. The article contains important discussion about evaluate of net cash resource's general structure and separately for each type of company's activity; along with importance of cash flow statement analyze in respect of identifying company's solvency and liquidity.

The importance of analyzing cash resources for the purposes of managing in this area is also discussed in provided article.

Key words: *Net cashflow, free cashflow, solvency, liquidity ratio, the ratio of Beaver, money-turnover ratio, the ratio of cash to the dock, net investment coverage ratio.*

General part

The statement of cash flow contains information, not outlined in other statement of financial position.

One of the general principle of company's welfare is inflow of cash recourses required to cover planned expenses.

Analyze of cash resources includes important management information for company's management, shareholders, and investors. The company's management can control solvency, receive timely decision and evaluate additional investment ability based on such analyze. Such information give chance creditors and shareholders receive well founded decision related to profit sharing.

All the ways of cash inflow and outflow should be identified and analyzed in order to understand real movement of cash resources within the company, evaluate synchronicity of cash inflow and outflow.

The most well-known way of controlling cash resources in forming the budget within the company in order to identify cash inflow and outflow and avoid any lack of cash or surplus at bank account.

The cash flow statement includes three type of activity related to cash, such as cash from current activity, investment activity and financial activity.

The cash inflow from current activity related to income from sale of goods or service, receiving advance payment from customer; cash outflow relates to covering accounts payable, salary liabilities, payment of taxes, bank credit and/or other liabilities.

Cash flow from investment activity related to sell or purchase of long term assets, such as fixed assets, intangible assets and other long term financial investment.

The financial activity covers cash flow related change of company's own and borrowed cash resources, such as share disposal, stock issue, income from stock disposal and etc.

Net Cash flow – Result of cash flow change (difference between inflow and outflow for each type of activity separately and totally for whole period).

During analyzing of cash resources the information should discard internal cash transaction and movement, as such transfers are not treated as inflow or outflow based on international accounting standards.

The important indicator of cash statement is cash result from current activity or net cash resources from current activity. The company's ability to generate cash can be evaluated based on this indicator. That's why it is important separately to analyze cash from current activity as company's chance to operate without borrowing financial resources.

The variation of cash resources can be positive, the company may have sufficient liquidity coefficient and at the same time negative index of net cash from current activity. This means that current activity results outflow of cash resources, and inflow is result of investment or financial activity. Prolongation of such negative index for couple of periods can result company solvency problem.

Information included in cash flow statement can be used for analyzing couple of indicators characterizing solvency issues. The formula for calculation one of the solvency indicator is below:

$$K_{\text{solvency}} = \frac{\text{beginning cash resources} + \text{cash inflow during period}}{\text{cash outflow during period}}$$

Analyze of solvency indicators provide important information whether company can cover expenses based on available cash resources and future inflow of cash. In order to avoid solvency problem result calculated using above mentioned formula should not be less than 1.

Another coefficient of solvency is Beaver ratio which is calculated in the following way:

$$K_{\text{beaver}} = \frac{\text{net profit} + \text{depreciation}}{\text{Long and short term liabilities}}$$

The average value of liabilities are used for calculation of Beaver. The recommended index of this coefficient is between 0,17-0,4.

If index is less than recommended the solvency risk is evaluated as high, if within interval the risk is medium sized, if more than 0,4 the solvency risk is estimated as low.

$$\text{Interest covering} = \frac{\text{net cash resources before interest covering}}{\text{paid interest amount}}$$

This indicator assist to evaluate company's ability to serve borrowed cost and pay interest payable.

As such cash flow statement provide information regarding changes occurred within company's net assets, financial structure, and company's ability timely to react on lack or surplus of cash resources.

Despite that fact that companies are having different activity, the cash resources are required for identic targets, specifically purchase assets, cover liabilities, pay salary, taxes and etc. The following information can be received from Analyzing of cash resources:

- The source of cash inflow and further direction of usage
- Does company has ability to cover expenses using cash inflow from current activity
- Sufficiency of funds for investment activity and payment of dividend
- The company's dependence on borrowing cost and their importance in sustaining company's financial stability
- Prognoses of future cash movement and ability to usage.

**მომსახურების სფერო
SERVICE SPHERE**

ნუნუ ქისტაური
ეკონომიკის დოქტორი
ქეთინო ქველაძე
ეკონომიკის დოქტორი
მელა მელაშვილი
მეცნიერთანამშრომელი

**მომსახურების სფეროს თანამედროვე ასაქმტაბი და მისი
ბანკითარების პერსპექტივები საქართველოში**

რეზიუმე

მსოფლიოს ეკონომიკის განვითარების ეტაპზე ერთ-ერთ ძირითად ტენდენციას წარმოადგენს მომსახურების სფეროს სწრაფი ტემპებით ზრდა.

საერთაშორისო სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მსოფლიოში უცხოური ინვესტიციების 40%-ზე მეტი ხმარდება მომსახურების სფეროს განვითარებას, რაც არა მხოლოდ ამ სექტორის აქტუალობაზე, არამედ მისი შემდგომი განვითარების უზარმაზარ პერსპექტივებზეც მიუთითებს. მომსახურების სფეროს როლის ამგვარმა კარდინალურმა ცვლილებამ გააჩინა საფუძველი იმისათვის, რომ ვისაუბროთ პოსტინდუსტრიული “სერვისული” საზოგადოების ჩამოყალიბების შესახებ, ხოლო თანამედროვე ეკონომიკა მოვიხსენიოთ, როგორც “მომსახურების ეკონომიკა”. ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს მომსახურების დარგების განვითარების თანამედროვე ასპექტების გამოკვლევა და საქართველოში მათი განვითარების პერსპექტივების სრულყოფის გზების დასახვა.

საკვანძო სიტყვები: მომსახურება, მომსახურების სახეები, მომსახურების სფერო, საქმიანი მომსახურება, ინტერნეტ მომსახურება, ტურისტული მომსახურება, მომსახურების ეკონომიკა.

შესავალი

XX საუკუნის მეორე ნახევარი ხასიათდებოდა მნიშვნელოვანი მოვლენითა და ტენდენციით მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში. სპეციალისტების აზრით, ჩვენი დროის ერთ-ერთ ძირითად ტენდენციას წარმოადგენს მომსახურების სფეროს სწრაფი ტემპით განვითარება.

მართალია მომსახურების სფეროს მნიშვნელობის ზრდის ტენდენცია გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან გამოიკვეთა, მაგრამ ამის პროგნოზი შედარებით ადრე, ჯერ კიდევ XVIII-IX ს.ს. იქნა გაკეთებული ისეთი დიდი მეცნიერების შრომებში, როგორც: ა. სმიტი, კ. მარქსი, ჟ. ბ. სეი, ა. მარშალი, ფ. ბასტია და სხვ. მოგვიანებით ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი გადახრის კონცეფცია სერვისული სექტორის პრიორიტეტულობისაკენ დამუშავებულია ა. ფიშერის, კ. კლარკის, ვ. როსტოუს, კ. ბელის კვლევებში.

საზოგადოების ევოლუციასთან, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან, ფიზიკური შრომის მაქსიმალურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციასთან ერთად მომსახურების სფერო უფრო და უფრო ძლიერდება და ხდება ეკონომიკის წამყვანი პრიორიტეტული სექტორი. ამაზე მეტყველებენ ის ციფრებიც, რომლებიც

ბიც ასახავენ თუ რა წილს იკავებს მომსახურების სფერო განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში, განვითარებული ქვეყნების მშპ-ში მომსახურების სექტორის ხვედრითი წილი საშუალოდ შეადგენდა: 1950 წელს – 30.4%-ს, 1960 წელს – 37.2%-ს, 1973 წელს – 41,9%-ს, 2008 წელს – 63%-ს, 2014 წელს – 65%-ს აღემატებოდა, ხოლო 2015წელს კი 73%-ს შეადგენდა, (განვითარებადი ქვეყნებისათვის ეს მაჩვენებელი შედარებით დაბალია და დღეისათვის საშუალოდ 47%-ს შეადგენს) [6]. საერთაშორისო სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მსოფლიოში უცხოური ინვესტიციების 40%-ზე მეტი ინერგება მომსახურების სფეროს განვითარებაში, რაც არა მხოლოდ ამ სექტორის აქტუალობაზე მიუთითებს, არამედ მისი შემდგომი განვითარების უზარმაზარ პერსპექტივებზეც.

მომსახურების სფეროს გააჩნია სპეციფიკური თავისებურებები, რაც მას არსებითად განასხვავებს მატერიალური წარმოების სფეროსაგან. რომელიც მდგომარეობს შემდგომში:

- მატერიალური წარმოების ციკლური მერყეობა ნაკლებად აისახება მომსახურების სფეროზე;

- კრიზისისა და დეპრესიის პერიოდში მოთხოვნა მომსახურებაზე არათუ მცირდება, არამედ შეიძლება გაიზარდოს კიდევ;

- მომსახურება იწარმოება და მოიხმარება ერთდროულად, მისი შენახვა შეუძლებელია; მომსახურება არ საჭიროებს საბაჟოს გავლას;

- მომსახურება ხშირად იმდენადაა გადაჯაჭვული სასაქონლო წარმოებასთან, რომ მათი განცალკევება ზოგჯერ ძნელია. მაგალითად, მოწყობილობის რემონტი. შეიძლება ითქვას, რომ მომსახურებაში საქონელია განიფილებული, ასევე საქონლის გაყიდვის აქტში, რა თქმა უნდა, ადგილი აქვს მომსახურებას;

- მომსახურების სფერო, როგორც წესი, მეტადაა დაცული სახელმწიფოს მიერ უცხოური კონკურენციის ზეგავლენისაგან, ვიდრე მატერიალური წარმოება. უფრო მეტიც, მრავალ ქვეყანაში ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობა, მეცნიერება, განათლება, ჯანდაცვა, კომუნალური მომსახურება ტრადიციულად სახელმწიფოს სრულ ან ნაწილობრივ საკუთრებას წარმოადგენს.

სახელმწიფო უნდა წარმართავდეს და აკონტროლებდეს ამ სფეროს განვითარებას, რადგანაც შიდა ბაზრის რეგულირების ღონისძიებათა საფუძველში ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინტერესები ძვეს: ადგილობრივი სამუშაო ძალის დასაქმება, ეროვნული თავდაცვის ინტერესები, შიდა კაპიტალდაბანდებათა ზრდის სტიმულირება, მეცნიერების განვითარება, ეროვნული კულტურული სიმდიდრის შენარჩუნება და ა.შ. ისინი სახელმწიფოს მიერ მიმართული უნდა იქნენ მომსახურების სტანდარტების შემუშავებისა და ხელშეწყობისათვის ისეთ უმნიშვნელოვანეს დარგებში, როგორცაა: მედიცინა, განათლება, მეცნიერება; უნდა ემსახურებოდეს შიდა ბაზრის დაცვის საქმეს უცხოური კონკურენტებისაგან და ასტიმულირებდნენ მომსახურებათა ექსპორტს.

დღეისათვის, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მომსახურების სფეროში მიღებული შემოსავლების წილი მსოფლიო მშპ-ის სტრუქტურაში 68%-ს შეადგენს, ხოლო განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში დასაქმებულთა ნახევარზე მეტი თავმოყრილია მომსახურების სფეროში. მაგალითად, 1980 წელს აშშ-ის სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო მომუშავეთა 3%, მრეწველობაში – 33%, მომსახურების სფეროში კი – 64%. 1999 წელს აშშ-ის ეკონომიკის მომსახურების სფეროში დასაქმებულთა რიცხვმა დასაქმებულთა მთელი რაოდენობის 78.8% შეადგინა. დღეისათვის კი იგი 85%-ზე მეტია. ეს მსოფლიოში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ამ მხრივ მოწინავე პოზიციებზე არიან: ლუქსემბურგი.

ბურგი (77%), ნიდერლანდები (77%), ავსტრალია (75%), დიდი ბრიტანეთი (75%), კანადა (75%), ნორვეგია (74%), ბელგია (73%), დანია (73%) და სხვ. მომსახურების სფეროში ტექნიკური პროგრესის შედეგად იქმნება ახალი სამუშაო ადგილები და ამით მცირდება უმუშევრობის დონე. განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები მომსახურების სფეროში იქმნება დროებით უმუშევართა გამოყენების მხრივ ნაწილობრივი დასაქმების სახით. მომსახურების სექტორის სწრაფი განვითარების ტენდენციას განაპირობებს ფაქტორების მთელი კომპლექსი: მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარება, მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრი ამაღლება, მოთხოვნილებათა საგრძნობი დივერსიფიკაცია და ა.შ. ამასთან, თუ ადრე განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა ემყარებოდა წარმოებაში რაც შეიძლება მეტი შრომითი, ფულადი, ენერგეტიკული, სანედლეულ რესურსების ჩაბმას, ახლა ეკონომიკური ზრდის წამყვანი ფაქტორი გახდა წარმოებაში ინოვაციათა, მეცნიერულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური პროგრესის უახლეს მიღწევათა ფართო დანერგვა. მასალატევადი დარგების ადგილს სწრაფად იკავებს მეცნიერებატევადი დარგები. ამან თავის მხრივ მნიშვნელოვნად გაზარდა მოთხოვნა თვით მომსახურების მიმართ – აუცილებელი გახდა სპეციალიზებული სერვისული ფორმების ჩამოყალიბება, რომელთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ეყრდნობა მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს, მოწინავე საინფორმაციო ტექნოლოგიებს. ბოლო წლების მონაცემებით, მოწინავე ქვეყნების მთლიან შიდა პროდუქტში სამეცნიერო კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე (სკსსს) ხარჯების წილი მაგ., იაპონიაში შეადგენს – 2.9%-ს; აშშ-ში – 2.8%-ს; გერმანიაში -2.7%-ს; საფრანგეთში – 2.4%-ს. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, განვითარებული ქვეყნების პოზიციები სწორედ აღნიშნული მონაცემების სიდიდით განისაზღვრება და მისი ცვლილებების შესაბამისად იცვლება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მომსახურების როლის უსწრაფესი ტემპით ზრდამ გამოიწვია თვით მომსახურების კლასიფიკაციის აუცილებლობა. პირველი მცდელობები ამ პრობლემის გადასაჭრელად გაკეთებული აქვთ ამერიკელ მეცნიერებს სტენტონს და ჯადს 1964წ. თუმცა, სფეროს მეტისმეტად დიდი სირთულის გამო, პრობლემა დღესაც აქტუალურია. მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის მიხედვით მომსახურების კლასიფიკაცია ასე გამოიყურება:

1. საქმიანი მომსახურება; 2. კავშირგაბმულობა; 3. მშენებლობა; 4. დისტრიბუცია; 5. განათლება; 6. ფინანსური; 7. ჯანდაცვა და სოციალური; 8. ტურიზმი; 9. ტრანსპორტი; 10. ეკოლოგია. გაეროს კლასიფიკატორის მიხედვით ამით ემატება კულტურა და სპორტი.

ზოგიერთი ავტორი ცალკე გამოყოფს სასტუმროებისა და რესტორნების, სერვისულ და სარემონტო, ინფრასტრუქტურულ და სახელმწიფო მართვის მომსახურებებს, გართობას, იჯარასა და უძრავი ქონების ოპერაციებს. ბევრი ავტორი განსაკუთრებულ როლს აკუთვნებს საინფორმაციო და კომპიუტერულ მომსახურებას.

თუ გადავხედავთ განვითარებულ ქვეყნებში ჩვენთვის საინტერესო სფეროს ბოლო წლების დინამიკას, კარგად ჩანს მკაცრად გამოხატული დარგობრივი განსხვავება. განვითარების მიხედვით ლიდერობს **საქმიან მომსახურებათა** კომპლექსი. მომსახურებათა ექსპორტში მისი წილი ბოლო ათწლეულში გაიზარდა 28-დან 44%-მდე. ესაა მარკეტინგისა და რეკლამის სერვისები; სალიზინგო ოპერაციები; საბუღალტრო და აუდიტორული ოპერაციები; სამეცნიერო-კვლევითი ფორმები, შენობათა დაცვისა და მომსახურების სამსახური; საინჟინრო-სამშენებლო და არქიტექტორული სამსახური და სხვ. აშშ-ში საქმიან მომსახურებათა დარგში დასაქმებულია 11 მლნ ადამიანი, იაპონიაში – 3 მლნ-ზე

მეტი, დიდ ბრიტანეთში – 1.5 მლნ, გერმანიაში – 1.4 მლნ, საფრანგეთში კი – 0.6 მლნ-ზე მეტი ადამიანი.

ამ მიმართულებით დღეისთვის აშშ-ში მოქმედებს 6 ათასამდე ეროვნული დონის ასოციაცია 23 ათასი წევრი ორგანიზაციით. ხოლო რეგიონულ, შტატებისა და ადგილობრივ დონეზე მათი რაოდენობა 100 აჭარბებს. ისინი თავიანთ დონისძიებებზე ყოველწლიურად 60 მილიარდ დოლარს ხარჯავენ, აწყობენ 315 ათას შეხვედრასა და ყრილობას, რომლებშიც საშუალოდ 32 მილიონი ადამიანი მონაწილეობს [21].

საზოგადოდ, პროფესიული და სავაჭრო ასოციაციები იკავებენ მთელი საკონვენციო ბაზრის 70%-ს, რომელიც ყოველწლიურად 75 მილიარდ დოლარად ფასდება. მსოფლიოში ამ მიმართულების სეგმენტმა განვითარება კპოვა ისეთ ტურისტულ მიმართულებაში როგორცაა - MICE ტურიზმი ((შეხვედრები, წამახალისებელი ტურები, კონფერენციები და გამოფენები (Meetings, Incentives, Conferences, Events)). მსოფლიოში ის ტურიზმის ერთ-ერთი ყველაზე მაღალშემოსავლიან, მზარდ სახეობად ითვლება და სტატისტიკურად დადგენილია, რომ MICE ტურიზმზე დახარჯული ყოველი 1 აშშ დოლარი 7-10 აშშ დოლარის ეკონომიკურ სარგებელს იძლევა. საქართველოში MICE ტურიზმი ტურიზმის ახალი მიმართულებაა. ამ სეგმენტზე დღეისათვის ჩამოსული ტურისტების 35 % მოდის. თუმცა აქტიური კამპანიის ჩატარების შემდეგ შესაძლებელია ამ ციფრის დაახლოებით 5 %-ით ზრდაც. მრავალი ქვეყანა, მათ შორის საქართველოც, MICE ტურიზმს ახლი რეგიონების გასანვითარებლად იყენებს. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის განცხადებით 2011 წლიდან MICE ტურიზმის მიმართულებით განხორციელებულმა პროექტებმა, ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკის გაუმჯობესებამ, ბევრი ბრენდული სასტუმროს გახსნამ ხელი შეუწყო MICE ტურიზმის სწრაფ განვითარებას. გაწეული სამუშაოების შედეგად 2015 წელს საქართველომ 3 მაშტაბურ საერთაშორისო დონისძიებას უმასპინძლა: მაგ. იბიარდი, უეფას თასი და ახალგაზრდული ოლიმპიადა [21].

არანაკლებ სწრაფი ტემპებით ვითარდება **ინფორმაციული** მომსახურება, რაც აყალიბებს ახალი ეკონომიკის საბაზისო სახეს და განსაზღვრავს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე. ეკონომიკის სფეროს კომპიუტერიზაცია და ინფორმატიზაცია თანამედროვე მსოფლიო ინფრასტრუქტურაში განუხრელად იკავებს წამყვან ადგილს და ამით ამტკიცებს ცნობილ გამოთქმას: “ვინც ფლობს ინფორმაციას, ის ფლობს მსოფლიოს”. კონკურენტული ბრძოლის გამწვავებამ, სწორი და მომგებიანი საბაზრო სტრატეგიის შემუშავებამ გამოიწვია ფართო საინფორმაციო ქსელის არსებობის აუცილებლობა. გარდა ამისა, ინფორმაციაზე მოთხოვნილება გაიზარდა კომპანიების მართვის სტრუქტურის გართულების გამოც. კომპანიებს უწყვეტად სჭირდებათ უახლესი ინფორმაცია იმისთვის, რომ მიიღონ არგუმენტირებული გადაწყვეტილებები, დასახონ პროგნოზები. ასე რომ, მოთხოვნილება საინფორმაციო ტექნოლოგიებზე, ბოლო წლებში მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს მსოფლიო ვაჭრობის და საერთოდ ეკონომიკის განვითარების დინამიკასა და სტრუქტურაზე. რა თქმა უნდა, უდიდესი ნახტომი იყო ტრანსეროვნული ქსელის – **ინტერნეტის** შექმნა გასული საუკუნის 90-იან წლებში, რამაც მაშინვე მიიღო სათანადო აღიარება საქმიან სფეროში. ინტერნეტის გარეშე არ იქნებოდა მეგაეკონომიკა, მაგრამ სწორედ მსოფლიო ეკონომიკის მეგაეკონომიკაში ობიექტურად განპირობებულმა გადასვლის პროცესმა განაპირობა ინტერნეტის სიცოცხლისუნარიანობა. ამჟამად, როგორც ამბობენ, ხაზზეა სამ მილიონზე

მეტი ადამიანი და მათი რიცხვი აქტიურად იზრდება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მსოფლიოს მასშტაბით 2014 წელს ინტერნეტის მოხმარება წინა პერიოდებთან შედარებით 6.6%-ით გაიზარდა (3.3% განვითარებულ ქვეყნებში, 8.7% - განვითარებადში). ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი განვითარებად ქვეყნებში გაორმაგდა ხუთი წლის განმავლობაში (2009-2014) და ამჟამად ინტერნეტით მოსარგებლე ადამიანების ორი მესამედი განვითარებად სამყაროში ცხოვრობს.

ინტერნეტ მომსახურებისათვის გამოყენებული ტექნოლოგიური პლატფორმა დღეს საქართველოში კვლავ მზარდ ტექნოლოგიად მიიჩნევა. ერთი მხრივ, ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთი რეგიონული ლიდერია ელექტრონული მმართველობის განვითარების კუთხით, თუმცა, მეორე მხრივ, საქართველოში კვლავ არ არის აღმოფხვრილი ე.წ. “ციფრული დაშორება,” ანუ ინტერნეტის თანაბარი ხელმისაწვდომობა ქალაქებსა და რეგიონებში. საგულისხმოა, რომ გაეროს ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალიზებული სააგენტოს, საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) გამოთვლებით, ინტერნეტი საქართველოს მოსახლეობის 45%-სთვის არის ხელმისაწვდომი. მართალია, საქართველოში ინტერნეტ სერვისების 130-ზე მეტი მიმწოდებელია დარეგისტრირებული, მაგრამ ინტერნეტ ბაზარზე დომინანტი პოზიცია ორ ოპერატორს უკავია. ინტერნეტის გავრცელების სიმკვრივე კვლავაც იზრდება, თუმცა არსებობს ისეთი დაბრკოლებები, როგორცაა მაღალი ფასები, მომსახურების დაბალი ხარისხი, შეუფერებელი ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით რეგიონებსა და სოფლებში.

მსოფლიო ბაზარზე მომსახურების კიდევ ერთი სპეციფიკური სახეობაა: **რეკლამა**. მისი როლის შესახებ უკვე აღარაფერ კამათობს. ადრე თუ იგი ვაჭრობის დანამატი იყო, დღეს იგი დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბდა და რაც მთავარია მეტად მომგებიან ბიზნესად გადაიქცა.

დღეისათვის უკვე არსებობს შეუზღუდავი პოტენციალი ყველა სახის რეკლამის საწარმოებლად. თუმცა, როგორც სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია. რეკლამირების სხვადასხვა საშუალებებს შორის ინტერნეტ რეკლამა განვითარების ყველაზე მზარდი ტემპებით გამოირჩევა.

ამერიკული მედია-კვლევითი ორგანიზაცია Magna Global-ის პროგნოზით, მიმდინარე წელს მსოფლიოში ინტერნეტ რეკლამაზე დანახარჯები მკვეთრად გაიზრდება და იგი გლობალური სარეკლამო ბაზრის მთლიანი შემოსავლების 30% შეადგენს, ხოლო 2017 წლისათვის სავარაუდოდ, ინტერნეტ რეკლამა სატელევიზიო რეკლამას გაუსწრებს.

სარეკლამო კომპანიები ინტერნეტ რეკლამაზე დანახარჯების ზრდას ვარაუდობენ საქართველოშიც. სარეკლამო კომპანია Advertine-ის ინფორმაციით, საქართველოში ინტერნეტ რეკლამაზე დანახარჯების მაჩვენებელი სტაბილურად იზრდება, მაგ. მან 2009-2014 წლებში 64 % შეადგინა.

ასევე აღსანიშნავია, რომ თუ ადრე კომპანიები სარეკლამო ბიუჯეტის ძირითად ნაწილს ტელევიზიისკენ მიმართავდნენ, ბოლო პერიოდში როგორც მსხვილი, ასევე მცირე და საშუალო კომპანიები ამცირებენ სატელევიზიო სარეკლამო ბიუჯეტს და მას ინტერნეტ რეკლამის სასარგებლოდ ზრდიან. ამასთან, რეკლამის დამკვეთთა არჩევანზე გარკვეულ გავლენას ახდენს ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომ სხვა სფეროებისგან განსხვავებით, ინტერნეტი საშუალებას იძლევა, დამატებითი დანახარჯებისა და კვლევების გარეშე გეგმონდეს ზუსტი სტატისტიკა, იმაზე თუ რამდენი დამოვალიერებელი ჰყავს ამა თუ იმ საიტს და შესაბამისად, იქ განთავსებულ რეკლამას.

ეკონომიკური საქმიანობის სფეროების მიხედვით ინტერნეტ რეკლამას, საერთაშორისო სარეკლამო ბაზრის ინფორმაციით, საქართველოში გასული წლის განმავლობაში ინტერნეტ რეკლამის ბაზარზე მნიშვნელოვნად გააქტიურდა ფარმაცევტული სექტორი. ამავე დროულად, წინა წლების მსგავსად, კვლავაც აქტიური რჩება საბანკო სექტორი, სათამაშო ბიზნესი და სამშენებლო სექტორი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სამშენებლო კომპანიები სულ უფრო მასშტაბურ ინტერნეტ კამპანიას მიმართავენ. ასევე აღნიშნავენ, რომ მართალია ინტერნეტ რეკლამის ქართული ბაზარი ევროპულ და ამერიკულ ბაზარებს ჩამორჩება, თუმცა რეგიონის თვალსაზრისით საკმაოდ კარგ პოზიციაზე იმყოფება.

მეტად მნიშვნელოვან პოზიციებს იკავებს **კავშირგაბმულობა და ტელეკომუნიკაციები**. ამ მხრივ ყველაზე წარმატებულ ქვეყანათა ათეულში შედიან: სინგაპური, ახალი ზელანდია, ფინეთი, დანია, აშშ, კონკონგი, შვეიცია, თურქეთი, ნორვეგია და კანადა. საქართველოში მაუწყებლობა, ელექტრონული კომუნიკაციები და საინფორმაციო ტექნოლოგიები ერთ-ერთი ყველაზე კარგად განვითარებული სფეროა. 2000-2014 წლებში ამ დარგის მომსახურებების სახეების ზრდასთან ერთად, შემოსავლები თითქმის 10-ჯერ გაიზარდა (2000 წელს 120 მლნ იყო, 2014 წელს კი – 1 მილიარდ 174 მილიონი). საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საინფორმაციო სააგენტოს სტატისტიკის მიხედვით მხოლოდ 2014 წელს კომუნიკაციების სფეროდან სხვადასხვა გადასახადის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანმა 301 მლნ ლარი შეადგინა. 2014 წელს ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურებაზე ავტორიზებული პირების ერთობლივმა შემოსავალმა 1,073 მლნ ლარი შეადგინა, მაუწყებლების ერთობლივმა შემოსავალმა კი 101 მლნ ლარი, რამაც წინა წლის მაჩვენებელს შესაბამისად 1,3%-ით და 21,2%-ით გადააჭარბა [10,11].

სწრაფად განვითარებად დარგებს შორის გამოირჩევა მოსახლეობის **თავისუფალი დროის, მისი კულტურული და სოციალური მოთხოვნილების მომსახურება**. ამჟამად ამ სექტორის განსაკუთრებულ დარგს წარმოადგენს ე.წ. “შთაბეჭდილებათა” ინდუსტრია – კინო, თეატრი, სპორტი და ა.შ. იგი დღეისათვის უზარმაზარ როლს ასრულებს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკებში. სწორედ შთაბეჭდილებებში, გრძნობებსა და განცდებში იხდიან ადამიანები უზარმაზარ ფულს. გამწვავებული საბაზრო კონკურენციის პირობებში საკმარისი აღარაა გამარჯვებისათვის ძველი მეთოდების გამოყენება. ამიტომ მყიდველთა მოსაზიდად შთაბეჭდილებები გამოიყენება, ანუ ე.წ. “დაუპოვარი შთაბეჭდილებების” შეთავაზება. ამ დროს ადამიანები უზარმაზარ თანხებს ემოციებისა და შთაბეჭდილებების ყიდვაზე ხარჯავენ.

მსოფლიოში მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიაში **ტურისტული მომსახურების** სფერო ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდია მომსახურების სახეობებს შორის. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) მონაცემებით, 2014 წელს ამ დარგის პირდაპირი შენატანი მთლიან მშპ-ში 2.4 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა (მშპ-ს 2.9%) და ხელი შეუწყო 105 მილიონი სამუშაო ადგილის შექმნას. მისი პირდაპირი და გვერდითი ეფექტების მხედველობაში მიღების შემდეგ, აღნიშნული სექტორის წვლილი ეკონომიკის განვითარებაში მსოფლიოს მშპ-ის 9.8%-ია, 4.3%-ია მთლიან განხორციელებულ ინვესტიციებში და 5,7% კი მსოფლიოს მთლიან ექსპორტში, ყოველი 11 სამუშაო ადგილიდან ერთი ადგილი ტურიზმის სექტორში იქმნება. [14].

მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) მონაცემებით, მსოფლიოში არის 15 ქვეყანა, რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან ტურისტულ მომსახურებაზე, სადაც ტურიზმიდან შემოსავლები სჭარბობს შემოსავლებს ექსპორტიდან და ხშირ შემთხვევაში – მრავალჯერ. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან

კუნძულოვანი სახელმწიფოები ტროპიკულ და სუბტროპიკულ ზონაში – ბარბადოსი, სეიშელის კუნძულები და სხვა. მსოფლიოს 45 ქვეყანაში ტურიზმიდან შემოსავლები ექსპორტის მოცულობის 1/4-ზე მეტია (ძირითადად სუსტად განვითარებული ეკონომიკის მქონე განვითარებად ქვეყნებში). ქვეყნების 38%-თვის ტურიზმი წარმოადგენს შემოსავლების ძირითად წყაროს, ხოლო 83%-თვის კი ერთ-ერთს ხუთი ძირითადი სახის შემოსავლებიდან. საქართველოც მომსახურებათა ექსპორტიორი ქვეყანაა, რაშიც ტურიზმის ხვედრითი წილი 60%-ს შეადგენს, მიუხედავად ამისა ქვეყნის ეკონომიკაში ტურიზმის ხვედრითი წილი მაინც დაბალია.

ექსპერტთა აზრით, ყოფილ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (მაგ. საქართველო, ყირგიზეთი, მოლდავეთი და სხვა) ტრადიციულ ტურიზმში უპირატესობა ენიჭება დასვენების, მოგზაურობებისა და ახალი შთაბეჭდილებების რეკრიაციულ მნიშვნელობას, რაც ერთი-ორად ზრდის ჩვენი ქვეყნის უმდიდრესი რეკრიაციული პოტენციალის როლსა და მნიშვნელობას. საქართველო ულამაზესი ბუნებისა და კურორტების ქვეყანაა (გაანჩია 102 კურორტი და 182 საკურორტო ადგილი) - საინტერესო გეოგრაფიული მდებარეობითა და უნიკალური კლიმატური პირობებით, კულტურულ-რელიგიური, არქეოლოგიური, არქიტექტურული პოტენციალით (12000 ძეგლი), ხელუხლებელი ლანდშაფტებით - ეკოლოგიურად ადაპტირებულ დაცულ ტერიტორიებთან ერთად (რომელიც ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის 7%-ს შეადგენს და რომელთა 75% ტყეებითაა დაფარული), მრავალფეროვანი ბუნებითა და უმაღლესი მთებით. ქვეყნის ტერიტორიის 85%-ზე მეტი მთებშია გაბნეული. რეგიონები მდიდარია მჟავე და სამკურნალო მინერალური წყლებით (მათი რიცხვი 2400 აღწევს, აქედან 2000-ზე მეტი აღრიცხული და შესწავლილია). ტურისტულ და სამოგზაურო კომპანიებს შეუძლიათ ტურისტებისათვის ისეთი შემეცნებითი ტურების შეთავაზება, როგორცაა ისტორიული ძეგლებისა და არქეოლოგიური მხარეების მონახულება, 5000 მ. სიმაღლის პიკებზე ასვლა, თევზაობა მთის მდინარეებში, კარსტული მღვიმეებისა და უძველესი საცხოვრებელი ადგილების დათვალიერება, ადგილობრივი რეცეპტებით, ტრადიციებით მდიდარი სამზარეულოსა და ღვინის დაწურვის (რომელიც ეფუძნება ყურძნის 500-ზე მეტი ადგილობრივი და უნიკალური ჯიშის მოყვანას) ტრადიციების გაცნობა, სადევუსტაციო ექსკურსიების ორგანიზება (მთავრობის ოფიციალური საიტების მონაცემებით, იუნესკომ სულ ახლახან „პართული ღვინის ქვევრი და ტექნოლოგია“ საოცრებათა ნუსხაში შეიტანა). აგრეთვე, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებსა და სოფლებში მთის ტრადიციულ დღესასწაულებზე დასწრება და ა. შ.

ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის საქართველოც, რომელიც ცდილობს ქვეყანაში ტურიზმის, როგორც მომსახურების სფეროს განვითარებას, აუცილებლად უნდა გაერკვეს და გამოავლინოს თავისი ქვეყნის ტურისტული და ტურმომსახურების განვითარების საერთო, ზოგადი ტენდენციები და კანონზომიერებანი; უნდა იპოვოს ის სპეციფიკური თავისებურებანი, რომელიც მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი და ქვეყანას სხვა ქვეყნებისგან განასხვავებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა ვერ შეძლებს წარსდგეს ტურისტულ ბაზარზე.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა ფინანსური რესურსების მწვავე დეფიციტით ხასიათდება და ამ კრიზისის დაძლევის ერთადერთი გზა ეკონომიკაში ეფექტიანი, მაღალმომგებიანი დარგების განვითარებაა, მაშინ ტურიზმის, როგორც მომსახურების სფეროს განვითარება, ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, სავალუტო შემოსავლებისა და დასაქმების გადიდებას, ეროვნული ტრადიციებისა

და კულტურული მემკვიდრეობის ფასეულობათა მსოფლიო ასპარეზზე გატანას, პოპულარიზაციას და მათი შენარჩუნების ფინანსურ უზრუნველყოფას.

ბოლოს, განსაკუთრებული ყურადღება გვინდა დავუთმოთ ეკონომიკის და კერძოდ, მომსახურების სექტორის ისეთ უმნიშვნელოვანეს დარგს, რომლის განვითარებაც, ჩვენი აზრით, მთელი ეკონომიკის განუხრელი წინსვლის უმნიშვნელოვანესი პირობაა – **განათლებას და მეცნიერებას**. მეცნიერების განვითარება ეკონომიკის განვითარების საფუძველთა საფუძველია.

რამდენად გააზრებულია განათლების მნიშვნელობა ქვეყანაში, ამაზე წარმოდგენას საბიუჯეტო ხარჯებიც იძლევა. დღეს განათლების დაფინანსების წილი მშპ-ში 3,2%-ია, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად განვითარებული ქვეყნები მშპ-ს მინიმუმ 4%-ს ხარჯავენ.

სახელმწიფო ბიუჯეტის დანახარჯების ცალკე განხილვა შეუძლებელია უმაღლეს განათლებაზე კერძო დანახარჯების განხილვის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული ქვეყნების უმრავლესობის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების თანახმად, წახალისებული უნდა იქნეს უმაღლესი განათლების კერძო წყაროებიდან დაფინანსება, ამ ქვეყნებში უმაღლესი განათლების დაფინანსების ხარჯების უდიდესი წილი მაინც სახელმწიფო ბიუჯეტზე მოდის. საშუალოდ ევროკავშირის ქვეყნებში მთლიანად უმაღლეს განათლებაზე გაღებული დანახარჯების 79.9% სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. სკანდინავიურ ქვეყნებში, ეს რიცხვი 90%-ს აღემატება. აღსანიშნავია, რომ იმ ქვეყნების უმრავლესობა, რომელშიც ეს მაჩვენებელი 70%-ზე დაბალია, ყოფილი კომუნისტური ბლოკის ქვეყნებია (პოლონეთი, ლიტვა, ბულგარეთი, ლატვია და კვიპროსი). თუმცა, ევროკავშირის არც ერთ ქვეყანაში ეს მაჩვენებელი 55%-ზე დაბალი არ არის. რაც შეეხება სხვა განვითარებულ ქვეყნებს, რიგ მათგანში ეს მაჩვენებელი ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნებში და მთლიანი დანახარჯების დაახლოებით მხოლოდ მესამედს შეადგენს (გაერთიანებული სამეფო, შეერთებული შტატები).

2014 წელს საქართველოში განათლების სექტორის დაფინანსების სტრუქტურა განათლების საფეხურების მიხედვით ასე გამოიყურებოდა: ზოგადი განათლება (69.4%), უმაღლესი განათლება (12.6%), პროფესიული განათლება (2.1%), განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება (3.1%) და სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა (12.9%), რაც 2013 წელთან შედარებით გაზრდილია, როგორც, სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯების ზოგადი მონაცემების მხრივ (16.4%; 28.7 მლნ. ლარი), პროფესიულ (55.6%; 5.2 მლნ. ლარი) და უმაღლეს (13%; 10 მლნ. ლარი) განათლებაზე, ასევე განათლების სფეროს დამხმარე მომსახურებასა (15.7%; 2.9 მლნ. ლარი) და ამ სფეროში სხვა არაკლასიფიცირებულ საქმიანობაზე (31%; 20.9 მლნ. ლარი) გაწეული ხარჯები.

მიუხედავად იმისა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტის მაჩვენებლები ყოველწლიური ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა 2006 წელს 332.6 მლნ ლარიდან 2015 წელს 840.8 მლნ ლარამდე გაიზარდა (ყველაზე დაბალი პროცენტული ზრდა – 4.5% 2011 წელს, ყველაზე მაღალი – 17% კი 2009 წელს დაფიქსირდა და განათლების სამინისტროს 2015 წლის ბიუჯეტი 2012 წლის მაჩვენებელს 31%-ით აღემატება [8]) საქართველოში განათლებისა და მეცნიერების სფეროს დაფინანსება მაინც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, ისე ევროკავშირის ახალი წევრი-ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებს.

ბოლო ათწლეულის მანძილზე ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით საქართველოში განათლებაზე გაწეული სახელმწიფოს ხარჯების წილი ქვეყნის

მთლიან შიდა პროდუქტში 2-ჯერ, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტში – თითქმის 1,5-ჯერ ნაკლებია [13].

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ პოსტკომუნისტურ პერიოდში ქართული მეცნიერება სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. კატასტროფულადაა შემცირებული მოთხოვნა მეცნიერულ-ტექნიკურ დამუშავებებზე, მაღალკვალიფიციურ სამეცნიერო შრომებზე. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა მკვეთრად ჩამორჩება არა მარტო მსოფლიო დონეს, არამედ საკუთარ მაჩვენებლებსაც გარკვეული პერიოდის წინ.

ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ჩამოყალიბება კი შეუძლებელი იქნება უმაღლესი განათლების სისტემის გაუმჯობესებისა და მეცნიერების განვითარების ხელშეწყობის გარეშე, განათლების დაფინანსების გაზრდის გარეშე, განათლების სფეროს ინფრასტრუქტურის განვითარების გარეშე. ასევე აზუცილებელია, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური მონაწილეობით. სტრატეგიამ უნდა განსაზღვროს საკანონმდებლო ცვლილებები, ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის საფუძველზე და, ამავე დროს, მკაფიოდ განსაზღვროს შესაბამისი ფინანსური რესურსები. ასევე უნდა განისაზღვროს ქვეყნის სამეცნიერო პრიორიტეტები და უზრუნველყოფილი იქნეს დოქტორანტურის ინტერნაციონალიზაცია მიზნობრივი დაფინანსების გზით. უნდა დაიგეგმოს მშპ-ის ზრდასთან დაკავშირებით უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების სტაბილური გადიდება.

წინა ხელისუფლების პერიოდში, როგორც მეცნიერ-მუშაკთა, ისე სამეცნიერო დაწესებულებათა რაოდენობა მრავალჯერ შემცირდა. მიუხედავად ამისა, არსებული მდგომარეობის გამოსწორების შანსი ჯერ კიდევ არსებობს. საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა მოწინავე პოზიციებით მეცნიერების მრავალ დარგში და აქ ჯერ კიდევაა შენარჩუნებული გარკვეული მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი. საქართველოში მეცნიერება ჯერაც არსებობს და დღეს ჩვენს ქვეყანას, განსხვავებით ზოგიერთი ე.წ. “ახალინდუსტრიული” ქვეყნისაგან (ჩინეთი, ჰონ-კონგი, სინგაპური, ტაივანი), სადაც მხოლოდ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო მეცნიერების როგორც დარგის ჩამოყალიბება, ესაჭიროება არა იმდენად მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის შექმნა, არამედ არსებულის განვითარება. ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებული ინტელექტუალური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი მყარი საფუძველია არა მარტო მეცნიერების, როგორც მომსახურების სექტორის, ჩვენი აზრით, წამყვანი დარგის განვითარებისათვის, არამედ საქართველოს ეკონომიკის ფეხზე დადგომის, გაძლიერებისა და განუხრელი წინსვლისათვის უახლოეს მომავალში. ეს ყოველივე სახელმწიფოს პეროგატივაა, რამდენადაც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ნებისმიერი ქვეყნის და, რა თქმა უნდა, საქართველოს შემდგომი განვითარებისათვის, სწორი ეკონომიკური პოლიტიკისა და გამართლებული პრიორიტეტების შერჩევა მხოლოდ სახელმწიფოს ხელეწიფება.

დასკვნა

- სახელმწიფო უნდა წარმართავდეს და აკონტროლებდეს მომსახურების სფეროს განვითარებას, რადგანაც შიდა ბაზრის რეგულირების ღონისძიებათა საფუძველში ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინტერესები ძვეს: ადგილობრივი სამუშაო ძალის დანაკმება, ეროვნული თავდაცვის ინტერესები, შიდა კაპიტალდაბანდებათა ზრდის სტიმულირება, მეცნიერების განვითარება, ეროვნული კულტურული სიმდიდრის შენარჩუნება და ა.შ. ისინი სახელმწიფოს მიერ მიმართული უნდა იქნენ მომსახურების სტანდარტების

შემუშავებისა და ხელშეწყობისათვის ისეთ უმნიშვნელოვანეს დარგებში, როგორცაა: მედიცინა, განათლება, მეცნიერება; უნდა ემსახუროდეს შიდა ბაზრის დაცვის საქმეს უცხოური კონკურენტებისაგან და ასტიმულირებდნენ მომსახურებათა ექსპორტს.

- საქართველოში მნიშვნელოვნად უნდა განვითარდეს საქმიანი მომსახურების შედარებით ახალი ფორმა – MICE (შეხვედრები, წამახალისებელი ტურები, კონფერენციები და გამოფენები) ტურიზმი და გახდეს ქვეყნის ახალი ტურისტული რეგიონების ათვისების გზა. ამ რეგიონებში ბრენდული სასტუმროების გახსნამ (რომელთაც გააჩნიათ საკუთარი საკონფერენციო, საგამოფენო დარბაზები, ბიზნეს კლუბები, სპორტული დარბაზები და ა.შ.) და სხვა ინფრასტრუქტურულმა პროექტებმა ხელი უნდა შეუწყოს MICE ტურიზმის სწრაფ და ეფექტიან განვითარებას.

- ნებისმიერმა ქვეყანამ, მათ შორის საქართველომაც, რომელიც ცდილობს ქვეყანაში ტურიზმის, როგორც მომსახურების სფეროს განვითარებას, აუცილებლად უნდა გამოავლინოს თავისი ქვეყნის ტურისტული და ტურმომსახურების განვითარების ზოგადი, საერთო ტენდენციები და კანონზომიერებანი; ასევე უნდა იპოვოს ის სპეციფიკური თავისებურებანი, რომელიც მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი და ქვეყანას სხვა ქვეყნებისგან განსხვავებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა ვერ შეძლებს წარსდგეს ტურისტულ ბაზარზე.

- ინტერნეტ მომსახურების განვითარების მხრივ საქართველო მიიხნევა რეგიონულ ლიდერად. ამ პოზიციების შენარჩუნების და კიდევ უფრო სწრაფი წინსვლის მიზნით საქართველოში უნდა აღმოიფხვრას ე. წ. „ციფრული დაშორება“ ანუ ინტერნეტი თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ქვეყნის ყველა რეგიონისათვის, ასევე აღმოიფხვრას ისეთი დაბრკოლებები, როგორცაა: მაღალი ფასები, მომსახურების დაბალი ხარისხი, შეუფერებელი ინფრასტრუქტურა განსაკუთრებით სოფლებში.

- ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ჩამოყალიბება შეუძლებელი იქნება უმაღლესი განათლების სისტემის გაუმჯობესებისა და მეცნიერების განვითარების ხელშეწყობის გარეშე, განათლების დაფინანსების გარდაის გარეშე, განათლების სფეროს ინფრასტრუქტურის განვითარების გარეშე. ასევე აუცილებელია, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური მონაწილეობით. სტრატეგიამ უნდა განსაზღვროს საკანონმდებლო ცვლილებები, ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის საფუძველზე და, ამავე დროს, მკაფიოდ განსაზღვროს შესაბამისი ფინანსური რესურსები. ასევე უნდა განისაზღვროს ქვეყნის სამეცნიერო პრიორიტეტები და უზრუნველყოფილი იქნეს დოქტორანტურის ინტერნაციონალიზაცია მიზნობრივი დაფინანსების გზით. უნდა დაიგეგმოს მშპ-ის ზრდასთან დაკავშირებით უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების სტაბილური გადიდება.

- ეს ყოველივე სახელმწიფოს პრეროგატივაა, რამდენადაც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ნებისმიერი ქვეყნის და, რა თქმა უნდა, საქართველოს შემდგომი განვითარებისათვის, სწორი ეკონომიკური პოლიტიკისა და გამართლებული პრიორიტეტების შერჩევა მხოლოდ სახელმწიფოს ხელეწიფება.

- მომსახურების სფეროს განვითარებისათვის აუცილებელია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა და მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის პოლიტიკის ჩამოყალიბება ამ ბიზნესებსა და სახელმწიფოს შორის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. 2006. ეკონომიკური განვითარება. თბილისი: “მერიდიანი”.
2. ასათიანი რ., პაპავა ვ., მესხია ი. და სხვა, 2012. საქართველოს ეკონომიკა, თბ.
3. ქისტაური ნ. მელაშვილი მ., 2009. ინოვაციური განვითარების აუცილებლობა საქართველოში, სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი.
4. ჩიქავა ლ., 2008. ინოვაციური ეკონომიკა. თბილისი “სიახლე”.
5. ყიფიანი გ., 2009. მომსახურების ბიზნესის ადმინისტრირება. თბილისი: “სიახლე”.
6. Доля услуг в мировом ВВП (по данным Всемирного банка)
<http://studall.org/all-98582.html>
7. საქართველოს ეროვნული ანგარიშები (სტატისტიკური კრებული) 2008-2015.
8. *საქართველოში ინტერნეტ რეკლამაზე დანახარჯები მკვეთრად ...*
agrokvkaz.ge/.../saqarthveloshi-internet-reklamaze-danakharjebi-...
9. სახელმწიფო ბიუჯეტი 2015.
10. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. წლიური ანგარიში 2015.
11. 2003 წ. – ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო, 2004-2014 წწ. –
12. ელექტრონული მმართველობა საქართველოში: მსოფლიო ...
<https://idfi.ge/.../e-governance-in-georgia-world-tende...>
13. OECD, 2009; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2012.
14. საქ საგადაამხდელი ბალანსი 2014.
15. საქართველოს ტურიზმის სტატისტიკის სამსახური 2014.
16. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სისტემის ...
www.mes.gov.ge/uploads/strategia..pdf
17. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული ...
erasmusplus.org/ge/.../Strategic%20Development%20...
18. ქ. ქველაძე, 2015. ტურისტული მომსახურების განვითარების ზოგიერთი ასპექტი ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკაში, თსუ, პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, აკადემიკოს პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო - პრაქტიკულ კონფერენციის მასალების კრებული.
19. ქ. ქველაძე, ნ. ქისტაური, მ. მელაშვილი., 2015. საინფორმაციო გარემოს განვითარების ასპექტები საქართველოს ეროვნულ ეკონომიკაში, თსუ, პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, საერთაშორისო სამეცნიერო - პრაქტიკულ კონფერენციის მასალების კრებული.
20. ნ. ქისტაური, მ. მელაშვილი. 2010. **მომსახურების სფეროს განვითარების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე**. ეკონომიკის აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თბილისი.
21. ტურიზმის ეროვნული სააგენტო MICE ტურიზმის - ghn.ge
www.ghn.ge/print.php?print=46815

Nunu Kistauri
Doctor of economic
Ketino Kveladze
Doctor of economic
Medea Melashvili
Scientific worker

**MODERN ASPECTS OF SERVICE SECTOR AND ITS DEVELOPMENT
PERSPECTIVES IN GEORGIA
Expanded Summary**

Rapid growth of service sector is one of the main tendencies at modern period of development.

Service – is a process, the integral part of which is always the people.

According to international statistical data more than 40% of foreign investments in the world is spent on the development of the service sphere that indicates not only the importance of this sector, but the vast perspectives of the further development. Such a cardinal change in the role of the service sector has given birth to talk about the foundation of postindustrial “service” society and mention economy as a “service economy”.

At present according to the World Bank data the service sphere revenue is 68% in the world GDP structure while more than a half of employees in developed economies are concentrated in service sphere where the place of material-intensive sectors is quickly occupied by science-intensive and labor-intensive sectors.

Revising the last years dynamics of service sector we see that in developed countries the business service is the leading complex.

MICE (meetings, incentives, conferences, events) tourism business in the world is considered to be one of the most profitable and fast growing species of business service giving significant economic-benefit. In Georgia this type of business is a new direction and our country is the best place to arrange such international effects as MICE: conferences, congresses, workshops, business, sports and cultural meetings, trainings, exhibitions, symposia.

No less rapidly is developing the information service which forms the basic look of new economy and determines the national competitiveness in the world market. Computerization and informatization of economy has a steadily leading role in the modern world infrastructure.

The communications and telecommunications are at the most important position. In Georgia, broadcasting, electronic communications and information technologies is one of the most developed areas and its figures keep pace with the development of other countries of the world.

Among the rapidly advancing sectors one of the leading is the leisure service of population, its cultural and social needs service. Now a particular branch of this sector is the so-called “impression” industry – cinema, theatre, sports etc.

Travel and tourism industry in the world is the most fast growing sector in service types. Any country, including Georgia which is trying to develop tourism as a service sector has to ascertain and reveal general tendencies and regularities of tourism service of its own country; then find specific features typical only for him and differing him from other countries. otherwise the country will not be able to appear before tourism market (tourist service buyers).

Georgia is a service exporting country, where the tourism share is 60% but despite this the absolute volume of tourism share in national economic performance is not impressive yet which is a result of political and economic instability of the country and still a low level of service and infrastructure development in tourism sector.

We definitely want to pay maximum attention to such a significant sector of economy as the service field the development of which of our opinion is the most important condition for

steady advancement of the whole economy - education and science - as we believe that development of science is the very foundation for economic development

The present demand – the establishment of knowledge - based economy will not be possible without the support of higher education system improvement and science development. It is necessary to work out a long-term strategy for the development of higher education and science with the active participation of all stakeholders which should define the legislative changes on the basis of the country’s social and economic development strategy and at the same time clearly define the appropriate financial resources. Should be defined the scientific priorities and ensured the internalization of doctoral targeting funding. Should be planned the steady increase in funding for higher education and science in accordance with GDP growth.

Intellectual and scientific – technical potential still existing in our country is a solid foundation not only for the development of service sector in our view as leading field, but for the independence, strength and steady progress of Georgian economy in the nearest future. It is the prerogative of the state as far as the selection of right economy policy and justified priorities for the further development of any country with transition economy including Georgia, only the state is capable if.

მაგისტრანტებისა და დოქტორანტების სამეცნიერო ნაშრომები
SCIENTIFIC WORKS OF UNDERGRADUATES AND DOCTORAL STUDENTS

ირაკლი დოღონაძე
თსუ-ს დოქტორანტი

მონეტარული აბრეშახტების გავლენა რეალურ ეკონომიკაზე

რეზიუმე

ნებისმიერ ქვეყანაში ეკონომიკურ პროცესებზე მონეტარული პოლიტიკის გავლენა საკმაოდ მძლავრი და მნიშვნელოვანია. ბოლო პერიოდში მსოფლიო ფინანსური კრიზისების ანალიზმა ცხადყო, თუ რაოდენ დიდი ზეგავლენა შეუძლია მოახდინოს მონეტარულმა პოლიტიკამ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

დღეისათვის აკადემიური წრეების წარმომადგენლებსა და ეკონომიკის მკვლევარებს შორის არ არსებობს სრული კონსენსუსი 2007-2008 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის გამოძწევე ძირითად მიზეზებზე⁷. შედარებით უფრო ფართო წრეებში აღიარებული მიზეზია 2001 წლიდან დაწყებული ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ გატარებული შერბილებული მონეტარული პოლიტიკა (Taylor, 2007), ხოლო მეორე მიზეზად კი ეკონომისტთა გარკვეული ნაწილი ასახელებს გლობალური ფინანსური დისბალანსის და მასთან დაკავშირებული კაპიტალის ნაკადების ინტენსივობის ზრდას (Caballero, Krishnamurthy, 2009; Portes, 2009).

თავის მხრივ, შერბილებული მონეტარული პოლიტიკის მიერ რეალურ ეკონომიკაზე ზეგავლენის შესაფასებლად პირველ რიგში აუცილებელია მონეტარული ტრანსმისიის მექანიზმის საფუძვლიანი შესწავლა. აღნიშნული მექანიზმის ძირითადი თეორიის ფორმირება ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო, კერძოდ კი მონეტარული პოლიტიკის რეალურ ეკონომიკაზე გავლენის შესახებ დისკუსია ჯ. კეინზის ნაშრომიდან (Keines, 1936) იწყება, რომლის პიქსისეული ინტერპრეტაცია (Hicks, 1937) სარგებლის განაკვეთის მაქსიმიზაციის პირობის ფორმალიზებას მაკროეკონომიკურ დონეზე ახდენს.

ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში მონეტარული ტრანსმისიის მექანიზმის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების კვლევას ნაკლები ყურადღება ეთმობა. მხოლოდ რამდენიმე ნაშრომის (ბაქრაძე, ბილმერი, 2008; სამხარაძე 2008; დაბლა-ნორისი, 2007; ბლუაშვილი, 2013) მოყვანაა შესაძლებელი ამ თემატიკაზე.

აღნიშნული კვლევებისგან განსხვავებით, ჩვენს ნაშრომში კვლევითი აქცენტი კეთდება არა უშუალოდ ტრანსმისიის მექანიზმებსა და მათ მნიშვნელობაზე, არამედ საქართველოში მონეტარული შოკების რეალურ მშპ-ზე გავლენის გამოკვლევაზე. ამ მიმართულებით საქართველოში კვლევები ფაქტობრივად არ არსებობს, რის გამოც ჩვენი ნაშრომი საკმაოდ აქტუალური და ღირებულია.

საკვანძო სიტყვები: მონეტარული, აგრეგატები, რეალური ეკონომიკა, საკრედიტო ხედვა

⁷ ბაქრაძე გიორგი, „2007-2008 წლების გლობალური ფინანსური კრიზისი: მიზეზები და ინტერპრეტაციები“, საქართველოს ეროვნული ბანკის უწრნალი „ეკონომიკა და საბანკო საქმე“, ტომი 2, №2, 2014.

შესავალი

არსების ერთობლიობა (**კომპლექსი**), რომელთა გავლითაც ცენტრალური ბანკების მონეტარული პოლიტიკის ცვლილება გავლენას ახდენს ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, იწოდება გადაცემის (იგივე, ტრანსმისიის) მექანიზმად (**transmission mechanism of monetary policy**).

მონეტარული პოლიტიკის ტრანსმისიის მექანიზმის პირველი განმარტება გამოყენებულ იქნა კეინზიანურ ანალიზში. კეინზმა ეს ტერმინი გამოიყენა იმ მაჩვენებელთა სისტემის განსაზღვრებისთვის, რომელთა მეშვეობითაც ფულის მიწოდების ზრდა გავლენას ახდენს ეკონომიკურ პროცესებზე.

მონეტარული ტრანსმისიის მექანიზმის სტრუქტურა შედგება იმ არსებისგან, რომელთა მეშვეობითაც ცენტრალური ბანკების მონეტარული ინსტრუმენტების ამოქმედების შედეგად წარმოქმნილი იმპულსები გადაეცემა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს.

დღეისათვის ეკონომიკურ ლიტერატურაში მონეტარული ტრანსმისიის რამდენიმე თეორია (**„ფულადი ხედვა“**, **საკრედიტო ხედვა“**) განიხილება, რომლებიც განსხვავებულ შეხედულებებს გვთავაზობენ მექანიზმის შემადგენლობასა და სტრუქტურაზე.

ტრანსმისიის მექანიზმის არსის განსაზღვრისთვის არსებულ მიდგომებს შორის ძირითადი განსხვავება შემდეგ საკითხთანაა დაკავშირებული: ცენტრალური ბანკები კონკრეტულად რისი მეშვეობით ახდენენ ან/და შეუძლიათ მოახდინონ გავლენა ეკონომიკის ცალკეულ სუბიექტთა ქცევაზე. არსებული ტრადიციული მოსაზრების მიხედვით, რომელიც „ფულადი ხედვის“/ „ფულადი შეხედულების“ (**money view**) სახელითაა ცნობილი, ცენტრალური ბანკების მიერ ცალკეულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებელზე ზემოქმედების ძირითად ინსტრუმენტად მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთები განიხილება. მისი ზრდა ან კლება იწვევს დანახარჯების კორექტირებას, რომელიც დაკავშირებულია კაპიტალის მოზიდვასთან, საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობასთან, რეალურ სექტორში ინვესტიციების მოცულობასთან და ა.შ.

„ფულადი ხედვის“ წარმომადგენლები ემხრობიან მოდელს მინიმალური განტოლებებით, რომლებშიც მთავარ ცვლადებს ფულადი აგრეგატები წარმოადგენს.

თუმცა, აღნიშნული მიდგომის დროს ყურადღების მიღმა რჩება ფინანსური სექტორის ნაკლოვანებები და რეალურ და ფინანსურ სექტორებს შორის კაპიტალის მოძრაობის პროცესის არასრულყოფა.

როგორც წესი, „ფულადი ხედვის“ თეორია გამოიყენება მონეტარული თარგეთირების რეჟიმის დროს. თუმცა, ცენტრალური ბანკების მიერ ინფლაციისა და საპროცენტო განაკვეთების თარგეთირებაზე გადასვლისას „**ფულადი ხედვის**“ აქტუალობა სუსტდება.

მონეტარული პოლიტიკის მიერ ერთობლივ მოთხოვნაზე გავლენა შედარებით უფრო სრულადაა გამოხატული ტრანსმისიის მექანიზმის „საკრედიტო ხედვა“-ში.

„**საკრედიტო ხედვა**“ – ეს არის მონეტარული პოლიტიკის ტრანსმისიის მექანიზმის შესწავლის გარკვეული მიმართულება, რომელშიც დამატებულია ცვლადები საკრედიტო ურთიერთობების მიკროეკონომიკური ანალიზის სფეროდან. აღნიშნული მიდგომა ეყრდნობა იმას, რომ კაპიტალის ბაზრების არსებული არასრულყოფილება დაკავშირებულია ფინანსური ბაზრების ეფექტურ ფუნქციონირებასთან. ეს იწვევს, ერთი მხრივ, ეკონომიკის ფინანსურ და რეალურ სექტორებს შორის მოძრაობის შეზღუდვას (**ფინანსური - რეალური**),

ხოლო მეორე მხრივ, კრედიტის გაძვირებას, ანუ გარე დაფინანსებისთვის პრემიის წარმოშობას, რომლის გადახდაც რეალურ სექტორს უწევს.

შეგვიძლია გამოვეყოთ რამდენიმე საზოგადოდ აღიარებული სქემა, რომელთა მიხედვითაც, მონეტარული იმპულსები გავლენას ახდენს ერთობლივ მოთხოვნაზე. ეს სქემები თავისთავში მოიცავს ტრანსმისიის მექანიზმის არსებს. ეკონომიკურ თეორიაში გამოიყოფა რამდენიმე ასეთი არხი:

1. **საპროცენტო განაკვეთების არხი** ტრადიციულად მიჩნეულია მონეტარული ტრანსმისიის მექანიზმის ძირითად არხად. მონეტარული პოლიტიკის მაკროეკონომიკური მოდელების უმრავლესობა ასახავს ცენტრალური ბანკების გავლენას ეკონომიკაზე საპროცენტო განაკვეთების რეგულირების მეშვეობით. საპროცენტო განაკვეთების არხის ძირითადი იდეა ძალიან მარტივია: ნომინალური საპროცენტო განაკვეთების ზრდა იწვევს მოზიდული ფინანსური რესურსების დანახარჯების ზრდას. რესურსების გაძვირება კი, თავის მხრივ, აისახება სამომხმარებლო ხარჯებისა და ინვესტიციების შემცირებაზე. ამასთან, ზოგჯერ საპროცენტო განაკვეთების არხი იყოფა ორ არხად: „**შეგუბებით არხად**“ და „**შემოსავლებისა და ქცევითი ნაკადების არხად**“. პირველ შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთების ზრდა ამცირებს ეკონომიკური აგენტების სტიმულებს მიმდინარე პერიოდში დანახარჯების გაწევაზე. დანახარჯები გადაადგილდება შედარებით უფრო გვიან პერიოდში. შედეგად ვღებულობთ იმას, რომ მცირდება შიდა დაკრედიტება. მეორე შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთის ცვლილება გავლენას ახდენს ეკონომიკური აგენტების შემოსავლებზე. განაკვეთის ზრდა გადაანაწილებს შემოსავლებს და შესაბამისად, მსყიდველობით უნარს მსესხებლებიდან დამზოგველებისკენ. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ დამზოგველები უფრო ნაკლებად არიან მიდრეკილნი ხარჯვისკენ ვიდრე მსესხებლები, შედეგად სამომხმარებლო დანახარჯები მცირდება.

2. **ვალუტის გაცვლითი კურსის არხი** ღია ეკონომიკაში მონეტარული პოლიტიკის მაკროეკონომიკური მოდელის მთავარ ელემენტს წარმოადგენს. ის ასახავს მონეტარული პოლიტიკისა და სავალუტო პოლიტიკის გავლენას ერთობლივ მოთხოვნასა და წარმოების მოცულობაზე გაცვლითი კურსის ცვლილების გავლით, ანუ აღნიშნული არხი გამოხატავს ფასების დონის მგრძობელობას ვალუტის კურსის ცვლილებასთან მიმართებით.

3. **კეთილდღეობის (სიმდიდრის) არხი** – მასში ძირითად პრინციპად გვევლინება ის, რომ სამომხმარებლო ხარჯების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია შინამეურნეობების კეთილდღეობა (დაზოგვის მაღალი მოცულობები). იმის გათვალისწინებით, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილება გავლენას ახდენს გრძელვადიანი ფინანსური აქტივების (აქციები, ობლიგაციები, უძრავი ქონება და ა.შ.) ფასზე, რომლებშიც განთავსებულია დანაზოგები, მისი ზრდა ამცირებს შინამეურნეობების კეთილდღეობას და შესაბამისად სამომხმარებლო დანახარჯებსაც.

4. **საბალანსო არხი (დაკრედიტების ფართო არხი)** – მასში მთავარ როლს თამაშობს ფინანსური აქტივები, რომლებიც გამოიყენება კრედიტების უზრუნველსაყოფად. თუ საკრედიტო ბაზარი ეფექტურია, მაშინ ფასის კლება უზრუნველყოფაზე/გირაოზე, არანაირად არ აისახება საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე. თუმცა, საინფორმაციო დანახარჯების გამო ფინანსურ აქტივებზე ფასების კლება იწვევს საპროცენტო პრემიის ზრდას, რომელიც გადაიხდევინება მსესხებლების მიერ გარე დაფინანსების დროს. ეს კი, თავის მხრივ, პროვოცირებას უწევს სამომხმარებლო ხარჯებისა და ინვესტიციების მოცულობათა კლებას.

5. **კაპიტალის მოზიდვის დანახარჯების არხი** (დაკრედიტების ვიწრო არხი): მასში ძირითადი ადგილი ეთმობა საბანკო დაკრედიტებას. მისი არხი

მდგომარეობს იმაში, რომ ცენტრალური ბანკი, უმცირებს რა კომერციულ ბანკებს თავისუფალ ფინანსურ რესურსებს (სარეზერვო მოთხოვნების გამოყენებით), ამით აიძულებს მათ, შეამცირონ კრედიტების მიწოდება. ეს კი, თავის მხრივ, იწვევს ფირმებისა და შინამეურნეობების დანახარჯების შემცირებას, რომლებიც დამოკიდებული იყო საბანკო დაკრედიტებაზე.

6. **მონეტარული არხი** ასახავს ფულის მიწოდების პირდაპირ ეფექტს აქტივების ფასზე, ანუ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტების ამოქმედებით ადგილი აქვს დაგროვებულ აქტივების სტრუქტურისა და მათი შედარებითი ფასების კორექტირებას. აღნიშნული საბოლოო ჯამში გავლენას ახდენს ეკონომიკის რეალურ სექტორზე. მონეტარულ არხში საპროცენტო განაკვეთები არ თამაშობს გადამწყვეტ როლს. ცვლილებათა მონეტარული იმპულსები გადაიცემა მხოლოდ ფულადი მასის მეშვეობით.

7. **მოლოდინის არხი** ასახავს მომხმარებელთა და მწარმოებელთა გადაწყვეტილებებზე მათი მოლოდინების გავლენას. აღნიშნული არხის მნიშვნელობა საკმაოდ მაღალია და დიდ როლს თამაშობს, განსაკუთრებით ვალუტის გაცვლითი კურსის ფორმირების დროს მოკლევადიან პერიოდში.

მონაცემები და ეკონომეტრიკული მოდელი

კვლევის პროცესში გამოყენებულია 1996-2015 წლების კვარტალური მანკვენებლები⁸. კვლევა ეყრდნობა ვექტორული ავტორეგრესიის მოდელის ფარგლებში იმპულსზე რეაქციის ფუნქციების გამოკვლევას:

$$Y_t = A(L)Y_{t-i} + Z_t + E_t$$

$$Y_t = (M_t, RGDP_t, RC_t, CPI_t, R_t, REER_t)$$

$$Z_t = (TR_t, TREND_t)$$

სადაც, Y_t არის ენდოგენური ცვლადების ვექტორი, Z_t - ეგზოგენური ცვლადების ვექტორი, E_t - ნარჩენობითი წევრის ვექტორი.

ენდოგენური ცვლადებისათვის გამოყენებულ იქნა შემდეგი დროითი მწკრივები⁹: რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (RGDP); სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI); ეროვნულ ვალუტაში სესხებზე საშუალო კვარტლის რეალური საპროცენტო განაკვეთები (R); რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (REER); საოჯახო მეურნეობების მოხმარება რეალურ გამოსახულებაში¹⁰ (RC); ფულის მიწოდების მანკვენებლის დასახასიათებლად გამოვიყენეთ სამი მანკვენებელი: სარეზერვო

⁸ წინამდებარე ნაშრომში გამოყენებული სტატისტიკა ეყრდნობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (www.mof.gov.ge), საქართველოს ეროვნული ბანკის (www.nbg.ge) და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (www.geostat.ge) მონაცემებს.

⁹ იმისათვის, რომ ზემოაღნიშნული მანკვენებლები დროში ერთმანეთთან შესადარისი იყოს, მნიშვნელოვანია ფასების დონის, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის, გათვალისწინება. ფასების დონის ცვლილების გაუთვალისწინებლობამ შესაძლოა მანკვენებლებს შორის ე.წ. მცდარი კორელაცია გამოიწვიოს, აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია აღნიშნული მანკვენებლების კორექტირება საბაზისო პერიოდისათვის (1996 წლის I კვარტალი) მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორის გამოყენებით.

¹⁰ შინამეურნეობების და შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციების ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე რეალურ გამოსახულებაში.

ფული (CC); მონეტარული აგრეგატი (M3), მონეტარული აგრეგატი (M2). ეგზოგენური ცვლადის სახით გამოყენებულ იქნა საზღვარგარეთიდან ფულადი ან ნატურალური სახით მიღებული (მიმდინარე და კაპიტალური) ტრანსფერტების (Y_{tr}) და საზღვარგარეთიდან მიღებული ფაქტორული შემოსავლების (Y_f) ჯამი (TR), აღნიშნული მაჩვენებელი გამოყენებულ იქნა იმ მოსაზრებით, რომ, ჩვენი აზრით, შესაფასებელ პერიოდში ეს ცვლადი მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ეროვნული ეკონომიკის კონიუნქტურას, აგრეთვე ის, როგორც ეგზოგენური ფაქტორი, მნიშვნელოვანი საგარეო შოკის მახასიათებელია.

კვარტალური მონაცემების ანალიზის დროს მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სეზონურობა. წინამდებარე ნაშრომში ყველა ცვლადი სეზონურად შესწორებულია. შესაბამისად ყველა მონაცემის ტესტირება მოხდა სეზონური კომპონენტის არსებობაზე $X12^{11}$ მეთოდის გამოყენებით.

რაც შეეხება სტაციონალურობის საკითხს, მისი ანალიზისთვის გამოყენებული იყო რამდენიმე ტესტი: გაფართოვებული დიკი-ფულერის (ADF), ფილიპს-პერონის (PP), დიკი-ფულერის (DF-GLS), კვიატოვსკი-ფილიპს-შმიდტი-შინის (KPSS) ტესტები. ამასთან, დროითი მწკრივების სტაციონალურობის შემოწმება ჩატარდა სეზონურად, მოუსწორებელ და გაუფილტრავ მწკრივზე¹².

ქვემოთ მოცემულ პირველ და მეორე ცხრილში წარმოდგენილია ერთეულოვანი ფესვის ტესტების შედეგები სხვადასხვა ტესტების გამოყენებით 5%-იანი მნიშვნელოვნების დონისათვის. ტესტები ჩატარებულია ყველა სპეციფიკაციისათვის: ტრენდისა და კონსტანტისთვის, მხოლოდ კონსტანტისთვის და ტრენდის და კონსტანტის გარეშე.

ცხრილი 1

ერთეულოვანი ფესვის ტესტები (ADF, PP, DF-GLS, KPSS)

ტესტები		ცვლადები											
		CPI	ΔCPI	R	ΔR	REER	ΔREER	CC	ΔCC	M2	ΔM2	M3	ΔM3
ADF-ტესტი	სპეციფიკაცია	T,0	T,1	T,3	-	T,0	T,0	T,4	T,3	T,5	T,4	T,11	T,7
	ADF-სტატისტიკა	-2,49	-8,2	-4,73	-	-2,8	-9,43	0,71	-3,83	-0,5	-4,91	2,53	-1,89
	კრიტიკული მნიშვნელობები	-3,49	-3,47	-3,47	-	-3,46	-3,46	-3,47	-3,47	-3,47	-3,47	-3,47	-3,47
PP-ტესტი	სპეციფიკაცია	თ	T	T	-	T	T	T	T	T	T	T	T
	PP - სტატისტიკა	-2,47	-9,12	-4,06	-	-2,8	-9,47	1,22	-12,6	-0,67	-11,4	3,46	-8,71
	კრიტიკული მნიშვნელობები	-3,46	-3,47	-3,46	-	-3,46	-3,46	-3,46	-3,46	-3,46	-3,46	-3,46	-3,46
DF-	სპეციფიკაც	T,0	T,0	T,3	T,2	T,0	T,0	T,4	T,3	T,8	T,4	T,8	T,7

¹¹ X12 მეთოდი წარმოადგენს აშშ მოსახლეობის აღწერის ბიუროს მიერ შექმნილ სეზონურობისა და სხვა გადახრების კორექტირების სისტემას.

¹² ზოგიერთი ავტორის (Ghysels & Perron 1990, გვ. 23) დაკვირვებით, სეზონურად კორექტირებული ცვლადის მიმართ სხვადასხვა ტესტების გამოყენებით სტაციონალურობის ანალიზის დროს მატულობს მწკრივის DS პროცესად კვალიფიცირების შანსები, ამიტომ უმჯობესია მოუსწორებელ და გაუფილტრავ მწკრივზე ერთეულოვანი ფესვის ტესტების გამოყენება.

GLS-ტესტი	ია												
	DF-GLS - სტატისტიკა	-2.27	-8,39	-0.61	-9.41	-2.8	-9.56	-0.28	-3.22	-1.38	-4.72	-0.5	-1.35
	კრიტიკული მნიშვნელობები	-3.10	-3.11	-3.11	-3.11	-3.10	-3.10	-3.11	-3.11	-3.12	-3.11	-3.12	-3.12
KPSS-ტესტი	სპეციფიკაცია	T	T	C	C	T	C	T	T	T	T	T	T
	KPSS - სტატისტიკა	0.13	0.11	0.68	0.32	0.147	0.05	0.29	0.147	0.28	0.186	0.3	0.11
	კრიტიკული მნიშვნელობები	0.14	0.14	0.46	0.46	0.146	0.14	0.14	0.146	0.14	0.14	0.14	0.14
შედეგი	ND ¹³	I(0)	N ¹⁴	-	I(1)	I(0)	I(1)	N	I(1)	N	I(1)	I(0)	

ცხრილი 2

ერთეულოვანი ფესვის ტესტები (ADF, PP, DF-GLS, KPSS)

ტესტები		ცვლადები					
		RGDP	ΔRGDP	CR	ΔCR	TR	ΔTR
ADF-ტესტი	სპეციფიკაცია	T,4	თ,0	T,0	-	T,3	T,2
	ADF-სტატისტიკა	-2.49	-2,49	-4.35	-	-2.07	-12.16
	კრიტიკული მნიშვნელობები	-3.47	-3,46	-3.46	-	-3.47	-3.47
PP-ტესტი	სპეციფიკაცია	T	თ	თ	-	თ	-
	PP-სტატისტიკა	-8,21	-2.47	-4.3	-	-6.81	-
	კრიტიკული მნიშვნელობები	-3.46	-3.46	-3.46	-	-3.46	-
DF-GLS-ტესტი	სპეციფიკაცია	T,4	T,0	T,3	T,3	T,3	T,4
	DF-GLS -სტატისტიკა	-2.22	-2.27	-1.12	-3.95	-2.12	-2.48
	კრიტიკული მნიშვნელობები	-3.11	-3.10	-3.11	-3.11	-3.11	-3.11
KPSS-ტესტი	სპეციფიკაცია	T	T	T	T	T	T
	KPSS -სტატისტიკა	0.22	0.13	0.19	0.12	0.24	0.141
	კრიტიკული მნიშვნელობები	0.14	0.14	0.14	0.14	0.14	0.146
შედეგი	I(1)	I(0)	ND	I(0)	I(1)	I(0)	

სტაციონარობის ანალიზის შედეგად:

- ADF, PP, DF-GLS და KPSS ტესტების მიხედვით REER პირველი რიგის ინტეგრაციული პროცესია.
- ADF, PP და DF-GLS ტესტების მიხედვით CPI, CC და M2 პირველი რიგის ინტეგრაციული პროცესია, თუმცა KPSS ტესტის მიხედვით TS¹⁵-პროცესია. მიღებული წინააღმდეგობრივი შედეგი არ გვაძლევს საშუალებას, დროითი მწკრივები დანამდილებით მივაკუთვნოთ TS ან DS¹⁶-პროცესს. ამიტომ ჩვენ მიერ გამოვიყენეთ კოხრენის¹⁷ პროცედურა, რომლის მიხედვითაც CPI განისაზღვრა, როგორც TS-პროცესი. ხოლო CC და M2 დროითი მწკრივების

¹³ Non-Deterministic - შეუძლებელია განსაზღვრა

¹⁴ None - არც ერთი პროცესი არ არის

¹⁵ Trend-Stationary

¹⁶ Difference-Stationary

¹⁷ ეს პროცედურა შემოთავაზებულია კოხრენის ნაშრომში (Cochrane, 1988) TS და DS პროცესების იდენტიფიცირებისა და განსხვავებისათვის.

DS-პროცესისათვის მიკუთვნება საკმაოდ რთულია, თუმცა იგი უპირატესად შ-პროცესისათვის დამახასიათებელი ვარიაციის დინამიკით ხასიათდება.

- PP, DF-GLS და KPSS ტესტების მიხედვით 3 პირველი რიგის ინტეგრაციული პროცესია, თუმცა ADF ტესტის მიხედვით იგი მეორე რიგის ინტეგრაციული პროცესია, რაც კოხრეინის პროცედურითაც დასტურდება.
- ADF და PP ტესტების მიხედვით დ სტაციონალური პროცესია, რასაც ეწინააღმდეგება DF-GLS და KPSS ტესტების შედეგები. თუმცა კოხრეინის პროცედურით იგი უპირატესად სტაციონალური პროცესისათვის დამახასიათებელი ვარიაციის დინამიკით ხასიათდება.
- ADF, DF-GLS და KPSS ტესტების მიხედვით RGDP და RC პირველი რიგის ინტეგრაციული პროცესია, ხოლო ტესტის და კოხრეინის პროცედურის მიხედვით TS-პროცესი.
- ADF, DF-GLS და KPSS ტესტების მიხედვით თღ პირველი რიგის ინტეგრაციული პროცესია, ხოლო ტესტის და კოხრეინის პროცედურის მიხედვით TS-პროცესი.

ზემოაღნიშნული შედეგების გათვალისწინებით და აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო 1996-2015 წლებში მნიშვნელოვან სტრუქტურულ ძვრებს განიცდიდა¹⁸, მიგვაჩნია, რომ: REER, CC, M2, M3, TR ინტერპრეტირებული უნდა იქნეს DS-პროცესებად, ხოლო CPI, R, RGDP, CRTS-პროცესებად¹⁹.

მაშასადამე ცვლადების უმეტესობა მოცემულ დროით მონაკვეთზე განისაზღვრა, როგორც ტრენდის მიმართ სტაციონალური დროითი მწკრივები, ამიტომაც ეგზოგენურ ცვლადებში ჩვენ ჩავრთეთ წრფივი ტრენდის ფაქტორი. მოდელში ცვლადები რომელიც იდენტიფიცირდა, როგორც პირველი რიგის ინტეგრირებული პროცესები, ისინი განიხილება პირველი რიგის სხვაობებში.

ტექნიკურად მხოლოდ სამი²⁰ ცვლადი განისაზღვრა, როგორც არანულოვანი რიგის ინტეგრირებული პროცესი, ამიტომ კონტეგრაციული კავშირები საანალიზო მწკრივებისათვის არ შეიძლება განისაზღვროს და ჩვენ განვიხილავთ ვექტორულ ავტორეგრესიას შეცდომის კორექციის გარეშე. ცვლადების სტანდარტიზებისათვის აღებულია მათი ღლოგარითმული მნიშვნელობები.

ვექტორულ ავტორეგრესიულ მოდელში იმპულსზე რეაქციის ფუნქცია გვიჩვენებს ენდოგენური ცვლადების რეაქციას შემთხვევითი სიდიდის ერთჯერად შოკზე და მოულოდნელი შოკური ზემოქმედების შემდეგ სისტემის რეაქციის კვლევის საშუალებას გვაძლევს. პრობლემას ამ ტიპის მოდელში წარმოადგენს ის, რომ სისტემის განტოლებების შოკები კორელირებულია და ერთმანეთზე გავლენას ახდენენ. თუ შემთხვევითი წევრების ვარიაციები კორელირებულია, მაშინ მათი გარდაქმნა ისე უნდა მოხდეს რომ ისინი არ იყვნენ კორელირებული, რათა შესაძლებელი იყოს ცვლადებს შორის იმპულსის პირდაპირი ინტერპრეტაცია. სიმსმა (Sims, 1980) შოკების თანწყობის სქემით ამ პრობლემის გადაწყვეტა შემოგვთავაზა. იმპულსების ორთოგონალიზაციისათვის ვიყენებთ ქოლესკის დეკომპოზიციას. კერძოდ იმის დაშვებით, რომ ერთი შოკის გავლენა წარმოადგენს ნულოვანს, იმპულსზე რეაქციის ფუნქცია აჩვენებს, შოკის ერთი სტანდარტული ერთეულით ცვლილების დროს როგორი იქნება სისტემის ენდოგენური ცვლადების

¹⁸ რასაც ADF, PP, DF-GLS, KPSS ტესტები პრაქტიკულად არ ითვალისწინებს.

¹⁹ ოსტაპენკო და ტაბალუას (2014) კვლევის მიხედვით, სადაც საოჯახო მეურნეობების მოხმარების და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის სტაციონალურობის საკითხის შესწავლისას გამოყენებულ იქნა ერთეულოვანი ფესვის ტესტირების მეთოდები, რომელიც სტრუქტურულ ძვრებს ითვალისწინებს, საოჯახო მეურნეობების მოხმარები და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი განისაზღვრა, როგორც TS პროცესი.

²⁰ CC, M2 და M3 წარმოადგენენ ფულის მასას.

რეაქცია. თუ დაეუშვებთ მიმდევრობის ცვლილებას, მაშინ ფუნქცია შეიცვლის სახეს. თუ ფუნქცია მნიშვნელოვნად იცვლება, მაშინ უნდა ვივარაუდოთ რომ ადგილი აქვს ინოვაციების მნიშვნელოვან ჯვარედინ კორელაციას.


ჩვენს მოდელში ცვლადები შემდეგი რეგითობით არის დალაგებული:


$$CC/M2/M3 \longrightarrow RC \longrightarrow REER \longrightarrow CPI \longrightarrow R \longrightarrow GDP$$

ასევე მოხდა სხვა სქემების ანალიზიც : $CC/M2/M3 \longrightarrow RC \longrightarrow REER \longrightarrow GDP \longrightarrow CPI \longrightarrow R$ და $CC/M2/M3 \longrightarrow REER \longrightarrow CPI \longrightarrow R \longrightarrow RC \longrightarrow GDP$. ალტერნატიული სქემების ანალიზის შედეგად ფუნქციებს არსებითი ცვლილებები არ განუცდია, რაც იმას ნიშნავს, რომ ნარჩენობითი წევრების ჯვარედინ კორელაციას არ აქვს ადგილი.

შედეგები

ჩვენ მიერ იდენტიფიცირებულ მოდელებში მთლიანი გამოშვების საფასო შოკზე იმპულსზე რეაქციის ფუნქციები სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია. არამნიშვნელოვანია მთლიანი შიდა პროდუქტის ვარიაციაში სამომხმარებლო ფასების ინდექსის ვარიაციაც. ამასთან, გავლენა არ ატარებს მერყევე ხასიათს და მისი გავლენა მე-3 კვარტალში აღწევს მაქსიმუმს. მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი კი პრაქტიკულად მონოტონურად უბრუნდება წონასწორულ მნიშვნელობას. არასრულყოფილი ინფორმაციის გამო, რაც ეკონომიკაში პრაქტიკულ პრობლემას წარმოადგენს, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ექსცესს. ფასების საინფორმაციო ფუნქციის დარღვევა კი შეიძლება რეალურ სექტორზე და მის სტაბილურობაზე არაერთგვაროვნად აისახოს. კერძოდ ის შეიძლება იქცეს საბრუნავ საშუალებებში, ძირითად საშუალებებში და სხვა არათანაბარი ინვესტიციების განხორციელების მიზეზი. ეს კი, ეკონომიკური რყევების გამომწვევი მიზეზი და დინამიკური არასტაბილურობის დაკარგვის ფაქტორია. თუმცა მოცემულ შემთხვევაში ეკონომიკა სწრაფად ადაპტირდება ასეთი ტიპის შოკებისადმი.





გრაფიკი 1

რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის იმპულსზე რეაქციის ფუნქციები ფულის მიწოდების და საფასო შოკებზე

მთლიანი გამოშვების ფულადი აგრეგატების (CC, M2 და M3) ცვლილების იმპულსზე რეაქციის ფუნქციები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. მთლიანი შიდა პროდუქტის ვარიაციის დეკომპოზიცია გვიჩვენებს, რომ მშპ-ს ვარიაცია ძირითადად ახსნილია საკუთარი ვარიაციით წარსულ პერიოდში. 1-2 კვარტლის შემდეგ მთლიანი შიდა პროდუქტის ვარიაციაში ფულის მასის აგრეგატების ცვლილების ვარიაციაა ყველაზე მნიშვნელოვანი. ამასთან დინამიკური წონასწორობის აღდგენის პროცესი მონოტონურ ხასიათს ატარებს და მისი გავლენა მე-3 კვარტალში აღწევს მაქსიმუმს, მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი მონოტონურად უბრუნდება წონასწორულ მნიშვნელობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჰიპოთეზა ფულის მიწოდების მთლიან გამოშვებაზე ზემოქმედების ნეიტრალობის შესახებ უარყოფილია. ჩვენი შეხედულებით, შედეგები აიხსნება იმით, რომ ადაპტაციის პროცესები რეალურ სექტორში განსახილველ პერიოდში სწრაფად არ მიმდინარეობს. ფულის მასის და ფასების დონის ამგვარი დამოკიდებულება რეალური მშპ-ს ზრდის მიმართ ადასტურებს ქვეყანაში მონეტარული ფაქტორებით სტიმულირებული ბუმის არსებობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Angeloni, I., A. Kashyap, B. Mojon and D. Terlizzese (2003), “Monetary transmission in the euro area: does the interest rate channel explain all?”, NBER Working Papers No. 9984<<http://www.nber.org/papers/w9984>>
2. Barro R., Sala-i-Martin X. - Economic Growth. New York. 1995.
3. Bacchella, Gerlach (1997) “Consumption and Credit Constraints: International Evidence”, *Journal of Monetary Economics*, 40, pp. 207-38.
4. Bakradze, Giorgi, and Andreas Billmeier. “Inflation Targeting in Georgia: Are We There Yet?.” NBGWP. no. 04 (2008). <http://nbg.gov.ge/uploads/workingpaper/inflation_targeting_in_georgia_09.pdf>
5. Bernanke B. S., A. S. Blinder (1992): “The Federal Funds Rate and the Channels of Monetary Transmission”, *American Economic Review*, Vol. 82, № 4, pp. 901–921.
6. Bierens H. J. (1997) “Testing the unit root with drift hypothesis against nonlinear trend stationarity, with an application to the US price level and interest rate”, *Journal of Econometrics*, Vol. 81, pp. 29-64.
7. Brissimis S. N., N. S. Magginas (2006): “Forward-looking information in VAR models and the price puzzle”, *Journal of Monetary Economics*, Vol. 53, Issue 6, pp. 1225–1234.
8. Canova F., M. Ciccarelli (2006): “Estimating Multi-Country VAR Models”, European Central Bank, Working Paper № 603/ April 006.
9. Cochrane J.H. (1988) “How Big is the Random Walk in GNP?” *Journal of Political Economy*, Vol. 96, pp. 893-920.
10. Christiano, L.J. (1988), “Searching for a Break in GNP”, NBER, Working Papers No. 2695.<<http://www.nber.org/papers/w2695.pdf>>
11. Dabla-Norris, Era, Daehaeng Kim, Mayra Zermeno, Andreas Billmeier, and Vitali Kramarenko (2007). “Modalities of Moving to Inflation Targeting in Armenia and Georgia.” IMF WP.no. 133.
12. Modigliani, F. (1971) *Monetary Policy and Consumption: Linkages via Interest Rate and Wealth*
13. *Effects in the FMP Model*. Federal Reserve Bank of Boston Conference Series 5, pp. 9-84.
14. Ghysels E. & Perron P. (1990) “The Effect of Seasonal Adjustment Filters on Tests for a Unit Root” *Econometrics Research Program*, Princeton University, Research Memorandum no. 355, <http://www.princeton.edu/~erp/ERParchives/archivepdfs/M355.pdf>
15. Golodniuk I. (2006): “Evidence on the bank-lending channel in Ukraine”, *Research in International Business and Finance*, Vol. 20, Issue 2, pp. 180–199.
16. Hamilton J.D. (1994), *Time Series Analysis*, Princeton University Press, Princeton.
17. Hicks J. R. (1937), „Mr. Keynes and the "Classics"; A Suggested Interpretation“, *Econometrica*, Vol. 5, no. 2, pp. 147-159
18. Friedman, M. (1968). *The Role of Monetary Policy*. *American Economic Review*, Vol. 58, no. 1, pp. 1-17.
19. Leeper E. M., Ch. A. Sims, T. Zha (1996): “What Does Monetary Policy Do?”, *Brookings Papers on Economic Activity*, 1996(2), pp. 1–63.

20. Lucas R. (1980) “Methods and Problems in Business Cycle Theory”, *Journal of Money, Credit and Banking*, Vol 12, no.4, pp. 696-715.
21. Lucas R. (1972) Expectations and the Neutrality of Money, *Journal of Economic Theory*, , Vol4, no.2, pp. 103-124.
22. McCallum, B. (1999) «Analysis of the monetary transmission mechanism: Methodological issues», NBER Working paper, 7395.
23. Maddala G.S., Kim I.M. (1998) “Unit roots, cointegration and structural change”, Cambridge University Press, Cambridge.
24. Nunes L.S., Newbold P., Kuan C.M. (1997) “Testing for Unit Roots With Breaks. Evidence on the Great Crash and the Unit Root Hypothesis Reconsidered”, *Journal of American Statistical Association*, Vol. 90, pp. 268-281
25. Phelps, E. S. (1967). Phillips Curves, Expectations of Inflation and Optimal Unemployment over Time. *Economica* Vol. 34 no. 135 pp. 254-281.
26. Phelps, E. S. (1968). Money-Wage Dynamics and Labor-Market Equilibrium. *Journal of Political Economy*, Vol. 76, no. 4, pp. 678-711.
27. Perron P. (1989) “The great crash, the oil price shock, and the unit root hypothesis”, *Econometrica*, Vol. 57, no. 6, pp. 1361-1401.
28. Perron, P. (1994) Trend, unit root, and structural change in macroeconomic time series. In: *Cointegration for the Applied Economist*, Rao, B.B. (ed.), Basingstoke: Macmillan Press, 113-146.
29. Perron (2006) Dealing with structural breaks. *Palgrave Handbook of Econometrics Vol.1 Econometric Theory*, K. Patterson and T.C. Mills (eds.), Palgrave Macmillan, 2006, 278-352 (working paper version) <<http://sww1.bu.edu/perron/papers/dealing.pdf>>
30. Perron, P., Vogelsang T. (1991) Nonstationarity and level shifts with an application to purchasing power parity. *Econometrics Research Program*, Princeton University, Research Memorandum no. 359, <<https://www.princeton.edu/~erp/ERParchives/archivepdfs/M359.pdf>>
31. Perron, P. (1997) Further evidence from breaking trend functions in macroeconomic variables. *Journal of Econometrics*, 80, 55-385.
32. Perron, P., Yabu, T. (2005) Testing for shifts in trend with an integrated or stationary noise component. Department of Economics, Boston University. <<http://sww.bu.edu/perron/papers/breakpaper.pdf>>
33. Kydland F.E., Prescott E.C. (1977) “Rules Rather than Discretion: The Inconsistency of Optimal Plans.” *The Journal of Political Economy*, Vol. 85, No. 3. pp. 473-491.
34. Rousseas, S. 1998. *Post Keynesian Monetary Economics*, Macmillan Press, N.Y.
35. Samkharadze, Besik. “Monetary Transmission Mechanism in Georgia: Analyzing Pass-Through to Different Channels.” NBG WP.no. 02 (2008). <<http://nbg.gov.ge/uploads/workingpaper/nbgwp02.08.pdf>>
36. Sarno L., Taylor P.M. (1998) “Real Interest Rates, Liquidity Constraints and Financial Deregulation: Private Consumption Behaviour in the UK”, *Journal of Macroeconomics*, Vol. 20, no.3, pp. 221-42.
37. Sidrauski, M., (1967). Rational choices and patterns of growth in a monetary economy. *American Economic Review* Vol. 57, Issue 2, pp. 534-544.

38. Sims, C. (1972) “Money, income and causality”, *American Economic Review*, 652, pp. 540–542.
39. Sims, C. (1980) “Comparison of interwar and postwar business cycles”, *American Economic Review*, 70, pp. 250–257.
40. Sims Ch. A., T. A. Zha (1998): “Does Monetary Policy Generate Recessions?”, Federal Reserve Bank of Atlanta, Working Paper 98-12/ July 1998.
41. Taylor P.M. (1999) Real interest rates and macroeconomic activity // *Oxford review economic policy*. Vol. 15. no. 2, pp. 95–113.
42. Zivot, E., Andrews, D. (1992) “Further evidence on the Great crash, the oil price shock and the Unit root hypothesis”, *Journal of Business and Economic Statistics*, Vol. 10, no. 3, pp. 251–287.
43. ბლუაშვილი ა. (2013) „მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმები საქართველოში: ბოლოდროინდელი დინამიკა“, *ჟურნალი ეკონომიკა და საბანკო საქმე - ტომი I, N 3*, გვ. 57-74.
44. ოსტაპენკო ნ. და ტაბაღუა ს. (2014) „მოსმარების მაკროეკონომიკური ფუნქციის ძირითადი დეტერმინანტების ანალიზი“, *ჟურნალი ეკონომიკა და საბანკო საქმე - ტომი II, 2*, გვ. 47-66.
45. Носков В. П. (2011), *Эконометрика (Книга первая)*, Издательский дом "Дело", Москва.
46. Носков В. П. (2011), *Эконометрика (Книга вторая)*, Издательский дом "Дело", Москва.
47. Кейнс Дж. м. *Общая теория занятости, процента и денег*. М., 1978.

ვებ-გვერდები

1. <http://geostat.ge>
2. <http://mof.gov.ge>
3. <http://www.nbg.gov.ge>
4. <http://www.nber.org>

Irakli Doghonadze

PHD student at Tbilisi State University

IMPACT OF MONETARY AGREGATES IN REAL ECONOMY

Summary

This article discusses on the example of Georgia the influence of monetary impulses towards the real GDP and real sector of economy. For this purpose, under the vector autoregressive model has been carried out the reaction functions' study on the impulse. The survey shows that the money supply stock's impact on the real estate price index is important. The above-mentioned fully responds to the the idea of economic theory of money supply stimulation on the economy in the short term, and the real estate market is no exception also.

Introduction: It should be noted that in 1996-2015 in a Georgia the circulation of the national currency's volume was approx. 13-times more increased, while the average annual growth rate reached approx. 16%. Money supply rate was especially high in the years 2004- 2007. Against this background the real GDP 2.7 times increased, according to official statistics, and the consumer price index has increased 2.8 times, average annual real GDP growth rate was 5.8%, while the average annual inflation reached about 6%. Difficulties of the monetary policy were related to the large number of inflows of the foreign currency ,namely according to the Georgian Tax Balance's financial account the extent of the foreign investments amounted up to only 8.5 billion US dollars during the years 2002-2008, while the National Bank's foreign currency reserves increased by \$ 1,372 million.

Data and econometric model: during the research process it is used two types of model. The key reason for the separation of models is the lack of the number of observations in the key variables separation of variables. The first model includes the quarterly figures for 2007-2015²¹ , and the second model includes quarterly 2009-2015 indicators. The study is based on the examination of reactions of functions based on the vector auto regression model:

The first model:

$$Y_t = A(L)Y_{t-i} + Z_t + E_t$$

$$Y_t = (M_t, RGDP_t, RC_t, CPI_t, R_t, REER_t, AP)$$

$$Z_t = (TR_t, TREND_t)$$

The second model:

$$Y_t = A(L)Y_{t-i} + Z_t + E_t$$

$$Y_t = (M_t, GR, AP)$$

$$Z_t = (TREND_t)$$

Whereas, Y_t - the endogenous variables vector, Z_t -exogenous vector variables, E_t - **residual** member vector.

²¹ statistics used in the present research is based on of the Ministry of Finance (www.mof.gov.ge); National Bank of Georgia (www.nbg.ge) and the National Statistics Office (www.geostat.ge) data

For Endogenous variables were used the following timelines²²: Real Gross Domestic Product (GDP); The consumer price index (CPI); The national currency loans, the average real interest rates in the quarter (R); Real effective exchange rate (REER); Household consumption in real chart (RC)²³; Real estate price index 3 (AP); Government securities interest rates (GR), In order to describe the money supply indicator we have used the three parameters : Reserve money (CC); Monetary aggregate (M3), the monetary aggregate (M2)As an Exogenous variables have been used received abroad in the natural form (current and capital) transfers (Y_tr) and the factor income received from abroad in (Y_f) the sum of (TR), the figure was used in the sense that from our point of view this variable mostly was the determinant of the national economic conjuncture for the evaluation period , also it is the most exogenous factor and important feature of an external shocks.

Conclusion:

Thus, this article carried out by us revealed the following findings: money supply shock in government securities interest rates did not significantly affect and we can talk regarding its importance only for the short term , but for the medium and long term an impact of the money supply shock is limited.

According the study/survey it is also shown that the importance of the money amount shock on the real estate price index has a great impact. The above-mentioned fully reflects an opinion existing in the theory of economic related the stimulation of economic by the money supply in the short term, where the real estate market is no exception to.

Yours Sincerely, The study also showed that monetary shocks on the real estate price index are stronger than the monetary shocks' impact on the total output that can be interpreted in a Georgia as the high level inclination of Investment in the real estate market than in the other sectors of the economy, that is due to the underdevelopment of financial markets and institutional restriction.

It should be noted that the difference between the first and second model results are significant, however, reason for this is the inferiority of models. We think that the second model gives a more complete information in terms of the influence of money market towards the real estate price index. Therefore, we can conclude that the growth of monetary aggregates at the initial stage significantly increases the Real estate price index, however, a shock for a long period is the reason of dynamic instability at the the real estate market.

²² To make the above figures comparable during the interval of the time, it is important to take into the consideration of the price level, as one of the important factors. Irreducibility of variations in price levels may produce a wrong correlation between the indicators , and as the result of the above-mentioned it is reasonable the adjustment of the parameters for the baseline period (I quarter of 1996)using an overall internal product deflator

²³ Households and households serving private non-profit organizations and their expenditures' ultimate consumption at the final upper-real picture/chart

თორნიკე ხოშტარიას
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ბიზნესის სტრატეგიის იმპლემენტაციის გავლენა კომპანიის საქმიანობის შედეგებზე საქართველოში

რეზიუმე

ნებისმიერი კომპანიის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორს სტრატეგიული მართვის ხარისხი წარმოადგენს. ის თუ რა ყურადღებას უთმობენ მენეჯერები სტრატეგიის ფორმულირებას და განხორციელებას, სარკისებურად აისახება კომპანიის შედეგებზე. უცხოური გამოცდილება ცხადყოფს, რომ წარმატებულ კომპანიებს ნათლად და ცხადად აქვთ ჩამოყალიბებული სტრატეგიული არჩევანი და მიზნების მიღწევას ეტაპობრივად ახორციელებენ, რითაც ისინი აღწევენ სასურველ შედეგებს ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე.

საკვანძო სიტყვები: სტრატეგია, სტრატეგიული მენეჯმენტი, ბიზნესის სტრატეგია, სტრატეგიის განხორციელება.

შესავალი

ნებისმიერი კომპანიის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორს სტრატეგიული მართვის ხარისხი წარმოადგენს. ის თუ რა ყურადღებას უთმობენ მენეჯერები სტრატეგიის ფორმულირებას და განხორციელებას, სარკისებურად აისახება კომპანიის შედეგებზე. უცხოური გამოცდილება ცხადყოფს, რომ წარმატებულ კომპანიებს ნათლად და ცხადად აქვთ ჩამოყალიბებული სტრატეგიული არჩევანი და მიზნების მიღწევას ეტაპობრივად ახორციელებენ, რითაც ისინი აღწევენ სასურველ შედეგებს ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე.

ლიტერატურის ანალიზმა გამოააშკარავა, რომ სტრატეგიული მენეჯმენტის უმთავრესი ინტერესის სფეროს შემდეგი საკითხის კვლევა წარმოადგენს - **რა იწვევს შედეგების არაერთგვაროვნებას კონკურენტ კომპანიებს შორის?** (რუმელტი, შენდელი და ტისი, 1994). არსებული შეხედულების თანახმად, კონკურენტი კომპანიების შედეგების არაერთგვაროვნების საკითხში, სხვა ფაქტორებთან შედარებით დიდ როლს თამაშობს სტრატეგიის ფორმულირების პროცესების ხარისხი, ბიზნესის სტრატეგია და სტრატეგიის განხორციელება (მინცბერგი, 1990; პარნელი, 1997). წინამდებარე სტატია აღმწიწული სამი ფაქტორიდან განიხილავს, სტრატეგიის განხორციელების გავლენას საწარმოს შედეგებზე. კვლევაში კომპანიის შედეგები გაზომილია ორი საზომი მექანიზმის, „**მიზნების მიღწევის**“ და „**კონკურენტული შედეგების**“ გამოყენებით. „მიზნების მიღწევაში“ შემავალი საზომები მიმართულია იმის გასარკვევად თუ რამდენად მიაღწია ორგანიზაციამ დასახულ მოკლევადიან და გრძელვადიან მიზნებს, ხოლო, „კონკურენტული შედეგების“ საზომები კი გვიჩვენებს თუ რამდენად გაუმჯობესდა ან გაუარესდა საწარმოს შედეგები გაყიდვების, მოგების, ბაზრის წილის და ა.შ. მიხედვით.

სტრატეგიის განხორციელება თამაშობს უმნიშვნელოვანეს როლს სტრატეგიის ფორმულირებასა და კომპანიის შედეგებს შორის (ნოუბლი და მოკვა, 1999). ნათმა (1999) გამოიკვლია აშშ-სა და კანადაში მოქმედი საწარმოების სტრატეგიული გადაწყვეტილებები და დაასკვნა, რომ მათი ნახევარიც კი ვერ აღწევდა დაგეგმილ მიზნებს, სტრატეგიის განხორციელების პროცესში დაშვებული შეცდომების გამო. იმის მიუხედავად, რომ სტრატეგიის ფორმულირების

კვლევის მიმდინარეობა კარგადაა განვითარებული, სტრატეგიის განხორციელებაზე არსებული ლიტერატურის მიმოხილვამ ცხადყო, რომ ამ დრომდე ჩატარებული კვლევებიდან, სტრატეგიის განხორციელებისა და ორგანიზაციის შედეგების ურთიერთკავშირს სწავლობს მხოლოდ რამდენიმე ნაშრომი (პიკსონი, მილერი და უილსონი, 2003). სადისერტაციო ნაშრომში შევეცდებით ავხსნათ არაერთგვაროვანი შედეგები სამრეწველო კომპანიებში, სტრატეგიული დაგეგმვის ხარისხის, მკაფიოდ განსაზღვრული ბიზნესის სტრატეგიის და სტრატეგიის განხორციელების დაგეგმვაზე გაკეთებული აქცენტის მიხედვით.

სტრატეგიის განხორციელების დროს წარმოქმნილი ბარიერები და მათი გადალახვის გზები

ნოუბლის და მოკვას, (1999) აზრით, სტრატეგიის იმპლემენტაცია წარმოადგენს მისი ფორმულირებასა და ორგანიზაციულ შედეგებს შორის არსებული ჯაჭვის გადამწყვეტ რგოლს. ნათმა შეისწავლა ა.შ.შ-სა და კანადაში არსებული ორგანიზაციების სტრატეგიული სვლები და მივიდა იმ აღმოჩენამდე, რომ გადაწყვეტილებების ნახევარიც კი ვერ აღწევდა წინასწარ დასახულ მიზანს, ძირითადად განხორციელების პროცესში შექმნილი პრობლემების გამო (ნათი, 1999).

აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული გადაწყვეტილებების შესახებ დიდი რაოდენობით თეორიული თუ ემპირიული ლიტერატურის არსებობის მიუხედავად, სტრატეგიის იმპლემენტაციას არც თუ ისე ბევრმა მეცნიერმა მიაქცია ყურადღება, შესაბამისად მასზე არსებული ლიტერატურა არ არის მრავალაფეროვანი. გთავაზობთ იმ სირთულეთა ჩამონათვალს, რომლებიც არსებული კვლევების შედეგად გამოიკვეთა:

(ა) უფროსი მენეჯერების არაეფექტიანი გუნდი, (ბ) ბუნდოვანი სტრატეგიები და საწინააღმდეგო პრიორიტეტები, (გ) მართვის იერარქიის „ზემოდან ქვემოთ“ ანუ ჩაურევლობის (ლაისსეზ-ფაირე) მუშაობის სტილი, (დ) უხეირო ვერტიკალური კომუნიკაცია, (ე) ფუნქციებს, საქმიანობებსა და საზღვრებს შორის შეუთავსებლობა და (ვ) ხელმძღვანელობის უნარობა და განვითარების დაბალი დონე (ბირი და აიზენშტატი, 2000);

(ა) სტრატეგიული ინერტულობა, (ბ) მეწილეთა (სტაკჰოლდერ) ვალდებულებების ნაკლებობა, (გ) სტრატეგიული უმოქმედობა, (დ) სტრატეგიული გამოფიტვა, (ე) სტრატეგიული იზოლაცია, (ვ) წინსვლის ცუდად აღქმა, (ზ) სტრატეგიის განხორციელების წამოწყებისთვის დამახასიათებელი გადაღლილობა, (თ) მოუთმენლობა და (ი) წარმატების არ აღნიშვნა (ფრიდმენი, 2003);

(ა) უხარისხო მართვა, (ბ) ფუნქციების ცუდად აღქმა, (გ) განყოფილებათა მენეჯერების მიერ უხარისხო ხელმძღვანელობა და დირექტივების მიცემა, (დ) განხორციელების მნიშვნელოვანი ამოცანებისა და საქმიანობების ცუდი განსაზღვრა, (ე) თანამშრომელთა ერთგულების ნაკლებობა, (ვ) ქვედა დონეზე მომუშავე თანამშრომლების არასაკმარისი მომზადება და ინსტრუქტაჟი, (ზ) არასაკმარისი კოორდინირება განყოფილებათა შორის, (თ) თანამშრომლების არასაკმარისი შესაძლებლობები, (ი) ანგარიშვალდებულების ბუნდოვანება, (კ) უხეირო საინფორმაციო სისტემები და (ლ) არაეფექტიანი მონიტორინგი (შაპი, 2005).

პროცესები რომლებიც ხელს უწყობენ სტრატეგიის წარმატებით განხორციელებას

ავტორთა გარკვეული ჯგუფი შეეცადა გაერკვია თუ რა პროცესების ახდენდნენ დადებით გავლენას სტრატეგიის განხორციელების პროცესზე.

აღნიშნული ავტორები და მათი ნაშრომები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

ცხრილი 1

სტრატეგიის წარმატებით განხორციელებისთვის საჭირო პროცესები

ავტორი	ნაშრომები
პინტო და სლეინი (1987)	„პროექტის წარმატებით განხორციელებაში არსებული კრიტიკული ფაქტორები“
უოკერი და რუკერტი (1987)	„მარკეტინგის როლი ბიზნეს სტრატეგიების განხორციელებაში: კრიტიკული მიმოხილვა და კონცეპტუალური სტრუქტურა“
ჰემბრიკი და კანელა უმც. (1989)	„სტრატეგიის განხორციელება, როგორც არსი და გაყიდვები“
ბრაისონი და ბრომილი (1993)	„კრიტიკული ფაქტორები, რომლებიც ვაგლენას ახდენენ ძირითადი პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაზე“
ლინგლი და შიმანი (1994)	„არის მონაცემთა გაფანტულობა სტრატეგიის ხელშემშლელი ფაქტორი“
შიმდტი (1994)	„გაყიდვებზე ორიენტირებული კომპანიის ქეისი“
ალ-ლამდი (1998)	„სტრატეგიული გადაწყვეტილებების წარმატებული განხორციელების ბარიერები: ბრიტანული გამოცდილება“
ნათი (1998)	„განხორციელების მიდგომების ლაიერება, წინაღობა და წარმატება“
ნოუბლი და მოკვა (1999)	„მარკეტინგის სტრატეგიების განხორციელება: მენეჯერული თეორიის განვითარება და ტესტირება“
ბირი და აიზენშტატი (2000)	„სტრატეგიის განხორციელების ჩუმი მკვლევები“
დული, ფრაიქსელი და ჯადჯი (2000)	„არც თუ ისე ცხადის ახსნა: კონსესუსი, ვალდებულება და სტრატეგიის განხორციელების სისწრაფე და წარმატება“
მიხლიტში (2000)	„მაღალი შედეგების მქონე, ლოიალური დასაქმებულები: სტრატეგიის განხორციელების რეალური გზა“
ფრიდმენი (2003)	„გენიალურობა არის განხორციელებაში“
ჰიკსონი, მილერი და უილსონი (2003)	„დაგეგმილი თუ პრიორიტეტული? ორი არჩევანი სტრატეგიული გადაწყვეტილების განხორციელების სამართავად“
ალიო (2005)	„სტრატეგიის განხორციელების მოკლე პრაქტიკული გზამკვლევი“
შაპი (2005)	„სტრატეგიის წარმატებით განხორციელების საფუძველი: ბარიერების გადალახვა“

ცხრილში 1 მოყვანილი ნაშრომების მიმოხილვის შემდეგ განისაზღვრა ფაქტორთა (პროცესები) ჩამონათვალი, რომლებიც საწარმოებმა უნდა გაითვალისწინონ სტრატეგიის განხორციელების პროცესში წარმატების მისაღწევად (იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც ამავე თავში არის გაკლერებული). აღნიშვნის ღირსია ის, რომ ზემოხსენებული ფაქტორების ჩამონათვალი საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება, რაც თავისთავად ქმნის მათი ემპერიულ კვლევაში გამოყენების სირთულეს (სტრატეგიის განხორციელების პროცესის შესაფასებლად).

იმ მიზნით რომ ემპერიული კვლევა შესაძლებელი იყოს ჩვენ პრიორიტეტს მივანიჭებთ ორ - მილერისა (1997) და ჰიკსონის, მილერისა და უილსონის (2003)

ნაშრომებს, რომლებიც აგრეთვე ხშირად გამოიყენება სხვადასხვა ავტორების მიერ.

მილერმა (1997) საწარმოო და მომსახურების სფეროებში მოღვაწე ექვს ორგანიზაციაში თერთმეტი სტრატეგიული გადაწყვეტილების განხორციელების შესწავლის შემდგომ განსაზღვრა წარმატების მომტანი ათი ფაქტორი: 1. მხარდაჭერა, 2. შეფასების შესაძლებლობა, 3. განსხვავებულობა, 4. კულტურული ამთვისებლობა, 5. მარჯვობა, 6. სიახლოვე, 7. პრიორიტეტები, 8. რესურსებზე წვდომა, 9. სტრუქტურის (ორგანიზაციული) გამარტივება და 10. მოქნილობა. ამ ნაშრომმა ასევე აღმოაჩინა, რომ ფაქტორები, რომლებსაც დადებითი გავლენა აქვს სტრატეგიის განხორციელებაზე, არის: **მხარდაჭერა, განსხვავებულობა, კულტურული ამთვისებლობა და მარჯვობა**. მილერმა ცვლადების ამ ჯგუფს უწოდა „შემსრულებლები“ და დანარჩენ ხუთ ფაქტორს კი - „დამხმარეები“, რადგან ისინი სტრატეგიის განხორციელებას აქტიური როლის გარეშე უჭერენ მხარს (მილერმა 1997).

მოგვიანებით, ჰიკსონმა, მილერმა და უილსონმა კვლევის შედეგად გამოაშკარავეს სტრატეგიის იმპლემენტაციაზე მოქმედი რვა ფაქტორი, რომელთა კლასიფიკაციაც მოახდინეს ორ ჯგუფად. პირველი, გამოცდილებაზე დაფუძნებული მიდგომა ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს: შეფასების უნარი, რესურსების მართვის უნარი, ცნობადობა (ფამილიარიტე), მისაღებობა და სპეციფიურობა. ხოლო მეორე, მზადყოფნაზე დაფუძნებულ მიდგომაში გაერთიანებულია შემდეგი ცვლადები: სტრუქტურული სიმარტივე, პრიორიტეტის მინიჭება და მიღებადობა (რეკვაპტივიტე). ამ ნაშრომის მიხედვით, სტრატეგიის წარმატებით განსახორციელებლად ორგანიზაციებს აქვთ მხოლოდ ორი არჩევანი: გამოცდილებაზე დაფუძნებული დაგეგმილი არჩევანი და მზადყოფნაზე დაფუძნებული უპირატესი არჩევანი. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიდგომებიდან ერთერთის არჩევა აუმჯობესებს სტრატეგიის განხორციელებას, ამ ავტორებმა დაასკვნეს, რომ წარმატების შანსი იზრდება ამ ორი მიდგომის ერთად გამოყენებით (ჰიკსონმა, მილერმა და უილსონმა, 2003).

სტრატეგიის განხორციელებაზე ემპირიული ნაშრომების ანალიზი და ჰიპოთეზის ჩამოყალიბება. ჰიპოთეზის ჩამოყალიბების მიზნით მოხდა იმ ნაშრომების შესწავლა, რომლებიც იკვლევენ სტრატეგიის განხორციელების საკითხებს. აღნიშნულთან დაკავშირებით მოყვანილია ავტორები და მათი ნაშრომები, აგრეთვე, ის შედეგები რაც მათ მიიღეს კვლევების ჩატარების შემდეგ.

ცხრილი 2

სტრატეგიის განხორციელებაზე არსებული კვლევების შედეგები

ავტორ(ებ)ი	ნაშრომი	კვლევის შედეგები
ვერნკემი (1985)	„სტრატეგიის განხორციელების სირთულეები ნაციონალიზებულ ინდუსტრიაში“	აღმასრულებელი დირექტორების მიერ დასახული მიზნები და სტრატეგიები განყოფილებათა მენეჯერებმა ვერ აღიქვეს ნათლად პერიფერიფერიულ დონეზე.
სკევინგტონი და დაფტი (1991)	„ბიზნეს-დონის სტრატეგიული გადაწყვეტილებების განხორციელების ორგანიზაციული სტრუქტურის და პროცესის“	სტრატეგიის განხორციელება მჭიდროდ უკავშირდება ორგანიზაციულ სტრუქტურებს, სისტემებს და პროცესებს (ინფორმაციის დამუშავება) და სანქციებს (ძალაუფლების გამოყენება ახალი ქმედებებისა და აზრების მხარდასაჭერად).

	მოდლობების კვლევა“	
კარგარი და ბლუმენთალი (1994)	„სტრატეგიული გადაწყვეტილებების წარმატებული განხორციელება პატარა ზომის ბანკებში“	ბანკები, რომლებსაც სტრატეგიის განხორციელების დროს ჰქონდათ ნაკლები პრობლემები აღწევდნენ მეტ წარმატებას, ვიდრე ბანკები, რომლებსაც ჰქონდათ ბევრი პრობლემები.
მილერი (1997)	„სტრატეგიული გადაწყვეტილებების განხორციელება: წარმატების ოთხი ძირითადი ფაქტორი“	ოთხი ფაქტორი: თანადგომა, ნათელი მიზნები, დაგეგმვა და ხელშეწყობი კლიმატი, არის გადამწყვეტი სტრატეგიის განხორციელების მართვაში.
ალ-ლამდი (1998)	„სტრატეგიული გადაწყვეტილებების წარმატებული განხორციელების ბარიერები: ბრიტანული გამოცდილება“	კომუნიკაცია, მენეჯმენტის მხარდაჭერა და გამართული ინფორმაციული სისტემები არის სტრატეგიის განხორციელების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები.
ნათი (1998)	„განხორციელების მიდგომების ლავირება, წინაღობა და წარმატება“	ნაშრომმა განსაზღვრა სტრატეგიის განხორციელების ოთხი სხვადასხვა მიდგომა: ჩარევა, მონაწილეობა, დაყოფილება და მბრძანებლურობა (ელიქტი). აღმოჩნდა, რომ ამ ოთხიდან ყველაზე წარმატებული მიდგომაა ჩარევა.
ნათი (1999)	„გასაკვირია მაგრამ მართალი: ორგანიზაციებში გადაწყვეტილებების ნახევარი წარუმატებელია“	ორგანიზაციების გადაწყვეტილებების ნახევარი არ სრულდება შემდეგი მიზეზების გამო: (ა) პრობლემის გადჭრის საკითებში მენეჯერების მხრიდან საკუთარი აზრის ლობირება, (ბ) ალტერნატივების ძიების შეზღუდვა და (გ) გეგმების განსახორციელებლად ძალაუფლების გამოყენება.
დული, ფრაიქსელი და ჯადჯი (2000)	„არც თუ ისე ცხადის ახსნა: კონსენსუსი, ვალდებულება და სტრატეგიის განხორციელების სისწრაფე და წარმატება“	გადაწყვეტილებებზე კონსენსუსი ეხმარება ამ გადაწყვეტილებების მიმართ ერთგულების განმტკიცებაში, რასაც თავის მხრივ გააჩნია დადებითი კავშირი განხორციელების წარმატებასთან. მაგრამ ეს ერთგულება ანელეებს განხორციელების პროცესს.
ოკუმუსი (2001)	„სტრატეგიის განხორციელების სტრუქტურისკენ“	სტრატეგიის განხორციელების წარმატება დამოკიდებულია სტრატეგიის შინაარსზე, შიდა და გარე კონტექსტზე და სტრატეგიის პროცესზე. განსაკუთრებით დიდი როლი ამ ფაქტორებს შორის აქვს შიდა კონტექსტს.
აალტონენი და იკავალკო (2002)	„სტრატეგიის წარმატებით განხორციელება: ინტეგრირებული სამრეწველო სისტემები“	სტრატეგიის განხორციელების ერთერთი მთავარი პრობლემა იყო ცუდი კომუნიკაცია. ასევე დიდ ბარიერს წარმოადგენდა ამა თუ იმ საკითხის სწორად აღქმის ნაკლებობა განხორციელების პროცესში.
ჰიკსონი, მილერი და უილსონი (2003)	„დაგეგმილი თუ პრიორიტეტული? ორი არჩევანი სტრატეგიული გადაწყვეტილების განხორციელების სამართავად“	ახსნილია ტესტში

უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიის განხორციელების პროცესის შესახებ არც თუ ისე ბევრი ნაშრომები მოიძებნება, სტრატეგიის განხორციელებასა და ორგანიზაციის შედეგებს შორის კავშირზე ორიენტირებული კი კიდევ უფრო ცოტაა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ჰიკონის, მილერისა და უილსონის (2003) ნაშრომმა უდიდესი წვლილი შეიტანა სტრატეგიის განხორციელების პროცესის კვლევის განვითარებაში და შესაბამისად ჩვენც მათ მიერ ჩამოყალიბებულ მიდგომებს გამოვიყენებთ (დაგვემიღოს არჩევნი და უპირატესი არჩევნი). ორგანიზაციის შედეგებსა და მათ მიერ განხორციელებულ სტრატეგიას შორის ურთიერთკავშირის გამოასახელებად ჩამოვყალიბებთ შემდეგი ჰიპოთეზა:

ჰ1: სტრატეგიის განხორციელების ეფექტიან დაგეგმვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საწარმოს შედეგების გაუმჯობესებაში.

ჰიპოთეზა ჰ1-ის შემოწმებით ჩვენ შევეცდებით სტრატეგიის განხორციელებასა და მისი შედეგებს შორის ურთიერთკავშირის გამოასახელებას.

კვლევის მეთოდები

კვლევის ფილოსოფიური საფუძველი. მიდგომა, რომეზეც არის კვლევა დამყარებული გულისხმობს არსებული თეორიის (ჰიპოთეზის) ემპირიული კვლევის საშუალებით შემოწმებას. თეორიული მიმოხილვის შედეგად ჩამოყალიბდა ჰიპოთეზა, რომლებიც შემოწმდა კითხვარების დაგზავნის შედეგად მიღებული და გაანალიზებული მონაცემებით. გამოყენებული იქნა რაოდენობრივი ანალიზის მეთოდები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევა ატარებს პოზიტიურ ხასიათს, რომელიც გულისხმობს რიალობის არსებობას მკვლევარისგან დამოუკიდებლად. გუბა და ლინკოლნის (1994) მიერ შემოთავაზებულ ცხრილის შესაბამისად წინამდებარე კვლევა ონთოლოგიური, ეპისტომოლოგიური და მეთოდოლოგიური მრწამსით სრულიად იზიარებს პოზიტიურ და ნაწილობრივ პოსტ-პოზიტიურ მახასიათებლებს, იყენებს რაოდენობრივ კვლევის მეთოდებს, ექსპერიმენტალურ კვლევის დიზაინს, მონაცემთა შეგროვება ხდება რიცხობრივი ფორმატით დახურული კითხვების მეშვეობით და მონაცემთა ანალიზისთვის იყენებს დასკვნით სტატისტიკას.

კვლევის მეთოდები და საკვლევი პოპულაციის შერჩევა. ნაშრომში გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. სტრატეგიული მართვის სფეროში წამყვანი მეცნიერების კვლევების ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებული ჰიპოთეზა შემოწმებულია პირველადი მონაცემების შეგროვების და ანალიზის საფუძველზე, რის შემდეგ მოხდა მათი განზოგადება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. კვლევის ინსტრუმენტად არჩეულია საფოსტო და სატელეფონო გამოკითხვები.

შერჩევის მოცულობა. საკვლევი პოპულაცია და შერჩევის მოცულობა განისაზღვრა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით. მონაცემთა ბაზის მიხედვით სექციაში თავმოყრილია 1530 საწარმოდან საკვლევი პოპულაცია შეირჩა ორგანიზაციების სიდიდით და პროდუქციის გამოშვების მოცულობით, (რომლის გამოშვების მოცულობა აღემატებოდა 1.5 მილიონ ლარს). 2015 წლის მონაცემების მიხედვით აღნიშნული პარამეტრებით განისაზღვრა 455 მსხვილი საწარმოსაგან შემდგარი საკვლევი პოპულაცია. სალანტზე და დილმანზე (1994) დაყრდნობით, ზემოაღნიშნული საკვლევი პოპულაციიდან მინიმუმი შერჩევის ზომა არის 79 შემთხვევა, 95% ნდობის დონის და +/- 10 ნდობის ინტერვალის მიხედვით, რაც აღიარებულია ბიზნეს სფეროში მოღვაწე მკვლევარების მიერ.

გამოკითხვის ინსტრუმენტი. კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულია ლიკერტის საზომის 23 კითხვისაგან შემდგარი კითხვარი. აღნიშნულ კითხვარში კითხვების რაოდენობა განისაზღვრა ადრე ჩატარებულ მსგავს კვლევებზე დაყრდნობით.

კვლევაში გამოყენებული კონსტრუქციები და საზომი სკალები. ცხრილში 3 მოცემულია იმ ნაშრომთა ჩამონათვალი რომლებშიც გამოყენებულ კონსტრუქციებს და საზომ სკალებსაც ეყრდნობა წინაბედარე ნაშრომი. კვლევის კონცეპტუალური მოდელი მოიცავს შემდეგ ელემენტებს, ესენია: ბიზნესის სტრატეგია, სტრატეგიული დაგეგმვა, სტრატეგიის განხორციელების დაგეგმვა და კომპანიის შედეგები.

ცხრილი 3. კონსტრუქციები და საზომი სკალები

კვლევაში გამოყენებული ანალიტიკური ხერხები: დისპერსიული ანალიზი,

მოდელის კომპონენტი	კონსტრუქცია	წყარო
სტრატეგიის განხორციელება	სტრატეგიის განხორციელების დაგეგმვის ხარისხი	პიკსონი, მილერი და ვილსონი, (2003); ნანდაკუმარი, გობადიანი და ოკრეგანი, (2011); რინარდი და ჰელმსი, (2006).
კომპანიის შედეგები	მიზნების მიღწევა კონკურენტული შედეგები	რამანუჯამი, ვენკატრამანი და კამილუსი, (1986); ნანდაკუმარი, გობადიანი და ოკრეგანი, (2011); რინარდი და ჰელმსი, (2006).

რეგრესიული ანალიზი, კორელაციის ანალიზი.

ჰიპოტეზის ტესტირება

ჰიპოთეზა 31: სტრატეგიის განხორციელების ეფექტიან დაგეგმვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საწარმოს შედეგების გაუმჯობესებაში.

ცვლადების განსაზღვრა: ჰიპოთეზის მიხედვით სტრატეგიის გამხორციელების დაგეგმვა არის დამოუკიდებელი ცვლადი, ხოლო ორგანიზაციის შედეგები (რომელიც წარმოდგენილია ორი ცვლადით, კერძოდ: მიზნის მიღწევა და შეფარდებითი კონკურენტული შედეგები), წარმოადგენს დამოკიდებულ ცვლადს.

ანალიზის მეთოდი: 31 ჰიპოთეზის შესამოწმებლად გამოყენებული იქნება ბივარიაციული წრფივი რეგრესიის და კორელაციის ანალიზი.

ცხრილი 4. კორელაცია სტრატეგიის განხორციელების დაგეგმვის ხარისხის და კომპანიის შედეგებს (მიზნების მიღწევა და კონკურენტული შედეგები) შორის

სტრატეგიის განხორციელების დაგეგმვის ხარისხი	1.000	.121	.131
მიზნების მიღწევა	.121	1.000	.792**
კონკურენტული შედეგები	.131	.792**	1.000

** კორელაცია მნიშვნელოვანია 0.01 დონეზე (ორმხრივი შემოწმება).

შემოწმდა კორელაციის კოეფიციენტი სტრატეგიის განხორციელების დაგეგმვის ხარისხისა და კომპანიის შედეგებს შორის (მიზნების მიღწევა და კონკურენტული შედეგები). როგორც ცხრილიდან ჩანს, კორელაცია ცვლადებს შორის სუსტია 0.01 დონეზე. კორელაციის სტრატეგიის განხორციელების დაგეგმვის ხარისხის, მიზნების მიღწევისა და კონკურენტულ შედეგებს შორის არის 0.121 და 0.131.

შემდეგ ეტაპზე გაკეთდა წრფივი რეგრესიული ანალიზი იმის დასადენად ახდენს თუ არა დადებით ზეგავლენას კომპანიის შედეგებზე (რეგრესიული ანალიზზე ჩატარდა ორჯერ, მიზნების მიღწევისა და კონკურენტული შედეგების ცვლადების მიმართ).

ცხრილი 5. სტრატეგიის განხორციელების დაგეგმვის ხარისხისა და მიზნების მიღწევის რეგრესიის მოდელის შეჯამება

R	R კვადრატი	მორგებული R კვადრატი	შეფასების სტან. ცდომილება
.121 ^a	.015	.005	.7715802

ცხრილიდან ჩანს, რომ R კვადრატის მაჩვენებელი არის .015, რაც ნიშნავს, რომ 1.5 % ვარიაციულობა მიზნების მიღწევის ცვლადში გამოწვეულია სტრატეგიის განხორციელების დაგეგმვის ხარისხით.

ცხრილი 6. სტრატეგიის განხორციელების დაგეგმვის ხარისხისა და კონკურენტული შედეგების რეგრესიის მოდელის შეჯამება

R	R კვადრატი	მორგებული R კვადრატი	შეფასების სტან. ცდომილება
.131 ^a	.017	.008	.7720585

ცხრილიდან ჩანს, რომ R კვადრატის მაჩვენებელი არის .017, რაც ნიშნავს, რომ 1.7 % ვარიაციულობა მიზნების მიღწევის ცვლადში გამოწვეულია სტრატეგიის განხორციელების დაგეგმვის ხარისხით.

ბივარიაციული წრფივი რეგრესიის და კორელაციის ანალიზიდან გამომდინარე 31 არ არის მხარდაჭერილი.

ამრიგად, სტრატეგიის განხორციელებასა და კომპანიის შედეგების ცვლადებს შორის კავშირის დასადგენად შევამოწმეთ ჰიპოთეზა 31. გამოყენებულ იქნა დასკვნითი სტატისტიკის ისეთი მეთოდები როგორცაა: კორელაციის ანალიზი და რეგრესიული ანალიზი.

დასკვნა

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია საქართველოში არსებული სამრეწველო საწარმოებში სტრატეგიის განხორციელებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. განხორციელდა სტრატეგიულ მენეჯმენტზე არსებული ლიტერატურის სისტემური ანალიზი, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა 3 ჰიპოთეზა, რომლებიც შემოწმდა პირველად მომაცემებზე დაყრდნობით.

მიგნებების შეჯამება და რეკომენდაციები. ჰიპოთეზა 31: სტრატეგიის განხორციელების ეფექტიან დაგეგმვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საწარმოს შედეგების გაუმჯობესებაში. ბივარიაციული წრფივი რეგრესიის და კორელაციის ანალიზიდან გამომდინარე 31 არ არის მხარდაჭერილი. შესაბამისად, ქართულ სამრეწველო კომპანიებში სტრატეგიის განხორციელების ეფექტიან დაგეგმვასა და კომპანიის შედეგებს შორის არ არსებობს ძლიერი ურთიერთდამოკიდებულება. ხსენებულიდან გამომდინარე, მენეჯერებმა თავი უნდა აარიდონ სტრატეგიის განხორციელების დაგეგმვზე დიდი დროის ხარჯვას და მთელი ყურადღება სტრატეგიის ფორმულირების და განხორციელების პროცესს დაუთმონ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **Alexander, L., (1985).** “Successfully Implementing Strategic Decisions”. Long Range Planning, 18(3), pp. 91-97.
2. **Al-Ghamdi, S. M., (1998).** “Obstacles to Successful Implementation of Strategic Decisions: The British Experience”. European Business Review, 98(6), pp. 322-327.

3. **Beer, M. & Eisenstat, R. A., (2000).** “*The Silent Killers of Strategy Implementation and Learning*”. Sloan Management Review, 41(4), pp. 29-40.
4. **Freedman, M., (2003).** “*The Genius is in the Implementation*”. Journal of Business Strategy, 24(2), pp. 26-31.
5. **Guba, E. G. and Lincoln, Y. S., (1994).** “*Competing paradigms in qualitative research*”. In N. K. Denzin & Y. S. Lincoln (Eds.), Handbook of qualitative research. pp. 105-117. Thousand Oaks, CA: Sage.
6. **Hickson, D. J., Miller, S. J. & Wilson, D. C., (2003).** “*Planned or Prioritized? Two Options in Managing the Implementation of strategic Decisions*”. Journal of Management Studies, 40(7), pp. 1803-1836.
7. **Meldrum, M. and Atkinson, S., (1998).** “*Meta-abilities and the Implementation of Strategy knowing what to do is simply not enough*”. Journal of Management Development, 17(8), pp. 564-575.
8. **Miller, S., (1997).** “*Implementing Strategic Decisions: Four Key Success Factors*”. Organization Studies, 18(4), pp. 577-602.
9. **Mintzberg, H., (1990).** “*Strategy formation: schools of thought*”, chapter 5 in J.W. Fredrickson.
10. **Nandakumar, M.K., Ghobadian, A. and O'Regan, N., (2011).** “*Generic strategies and performance – evidence from manufacturing firms*”. International Journal of Productivity and Performance Management, Vol. 60 Iss. 3 pp. 222 – 251.
11. **Noble, C. H. & Mokwa, M. P., (1999).** “*Implementing Marketing Strategies: Developing and Testing a Managerial Theory*”. Journal of Marketing, 63(4), pp. 57-73.
12. **Nutt, P. C., (1999).** “*Surprising but true: Half the decisions in organizations fail*”. Academy of Management Executive, 13(4), pp. 75-90.
13. **Parnell, J. A., (1997).** “*New Evidence in the Generic Strategy and Business Performance Debate: A Research Note*”. British Journal of Management, 8(2), pp. 175-181.
14. **Richard, S. and Helms, M., (2006).** “*Linking strategic practices and organizational performance to Porter's generic strategies*”. Business Process Management Journal, Vol. 12 Iss 4 pp. 433 – 454.
15. **Rumelt, R. P., Schendel, D. E & Teece, D. J. (1994).** “*Fundamental Issues in Strategy: A Research Agenda for the 1990s*”. Boston: Harvard Business School Press Book.
16. **Salant, P. & Dillman, D. (1994).** *How to Conduci Your Own Survey*. New York: John Wile.
17. **Shah, A. M., (2005).** “*The Foundations of Successful Strategy Implementation: Overcoming the Obstacles*”. Global Business Review, 6(2), pp. 293-302.
18. **Venkatraman, N. & Ramanujam, V. (1987).** 'Planning System Success: A Conceptualisation and an Operational Model'. *Management Science*, 33(6), pp. 687-70
19. **Wessel, J. R., (1993).** “*The strategic human resource management process in practice*”. Planning Review, 21(5), pp. 37-38.

Tornike Khoshtaria

Doctoral student

**THE IMPACT OF BUSINESS STRATEGY IMPLEMENTATION ON THE
COMPANIES' OVERALL PERFORMANCE IN GEORGIA**

Exnaded Summary

Competitive approaches are normally seen as a set of actions of available resources that are usually utilized in the strategic process development. Therefore, managers pay important attention to them to increase organizational performance. The relationship between competitive approaches (low-cost leadership, differentiation and focus) and the organizational performance have been explored by many strategy researches, yet, there is no clear evidence that companies following one of the generic strategies are going to have superior performance. Although, most research in this area has been conducted in the manufacturing sector, the review of the literature on strategy processes and organizational performance pinpointed that there is no single empirical evidence involving Georgian based manufacturing organizations. Moreover, the degree of strategy implementation has not been measured against the performance measures of the companies.

Strategy Implementation and Performance - Although there's significant theoretical and or empirical literature available on strategy process, its implementation has not yet been studied widely enough. Strategy implementation is the most important link between a strategy formulation and a firm's performance. Nutt has conducted a research studying on both the U.S. and Canadian organizations. He came to conclusion that not even half of these organizations have fulfilled their goals because of the mistakes in the implementation process.

Hickson, et al., (2003) identified several influential factors on strategy implementation process and classified them into two groups. The first group factors are based on experience and include: acceptability, resourcing, familiarity and specificity. The second group factors are based on readiness and include: structural facilitation, priority and receptivity. According to authors, companies have only two options in successfully implementing the strategy. One is planned option and the other is prioritized option. Despite adopting either of aforementioned approaches in the process of strategy implementation will make company's results better off, Hickson, et al., (2003) based on their research findings have concluded that those companies choosing to employ integrated approach have better results in their performances.

Performance Measures - The majority of studies use a variety of measures, such as non-financial (success) or financial. Financial measure comprise with such indicator as: profit, turnover, return on investment, return on capital employed, and inventory turnover. Non-financial measures include innovation and market standing.

The measures in the success of firm's performance generally include the bottom-line and financial indicators such as sales, profits, cash flow, return on equity, and growth. These factors are important to determine how a firm compares with its industry competitors when assessing firm performance. With the multitude of competitive environments faced by firms in differing industries, knowing only absolute financial numbers such as sales, profits, and or cash flow is not very illuminating unless viewed in the context of how well the firm is doing compared to their competition. Therefore, it is important to use an industry comparison approach when making firm performance assessments for organizations sampled from a wide variety of industries.

This research is going to adopt the two types of performance measures (objective achievement and competitive performance, including financial performance measures like: return on assets return on equity, return on sales end etc.) used by many researchers in different combinations.

Research Strategy - The following research undertook a quantitative strategy through a deduction approach. Hypotheses were formulated from the existing knowledge and tested using the primary data collected from administering the questionnaire. A random sample of the manufacturing organizations was selected for this study and the findings were generalized. The hypothesized relationships between the variables were tested using appropriate statistical techniques in order to assess and model the relationships.

Survey Instrument - The questionnaire was constructed to investigate the relationship between strategy implementation and the organizational performance. Already existing measures were modified and employed to test the hypotheses mentioned in this article. The questionnaire was distributed accordingly and responses were collected through an internet survey tool.

The chief aim of this study was to investigate Georgian based manufacturing organizations in the context of strategy implementation and performance. On the one hand, the research looked at the procedures of strategy implementation within the manufacturing organizations, and checked whether or not mentioned processes had an impact on the companies' overall performance.

The purpose of this study is to examine the links between strategy implementation and organizational performance. Moreover, this paper will attempt to find whether or not the emphasis on planning strategy implementation will grant a company with superior performance. This paper studied 108 Georgian based manufacturing companies. A questionnaire was chosen as the survey instrument. The respondents selected were CEOs of manufacturing companies being surveyed. Findings of this study are based on the results of the hypothesis test which indicate that there is not a strong link between the degree of planning strategy implementation and organizational performance. The results of this study are particularly useful for practitioners, as it can provide managers with the information connected with strategy formulation and implementation processes. This study makes a contribution to the existing literature by exploring strategy processes within Georgian based manufacturing companies, and addressing inconclusiveness of the results of generic strategies and organizational performance.

პროფესორი რეზო გოგოხია – 80



80 წელი შეუსრულდა სახელოვან მეცნიერს, პედაგოგსა და მამულიშვილს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, ჟურნალ “ეკონომიკა და ბიზნესის” მთავარ რედაქტორს,

ჟურნალ “ეკონომისტის” სამეცნიერო-სარედაქციო საბჭოს წევრს, ჩვენი ინსტიტუტის ყოფილ უფროს მეცნიერ თანამშრომელს, პროფესორ რეზო აკაკის ძე გოგოხიას.

ინსტიტუტის კოლექტივი და ჟურნალ “ეკონომისტის” რედაქცია სულითა და გულით ულოცავს ბატონ რეზოს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს წარმატებებს სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში.

პროფესორი რეზო გოგოხია დაიბადა 1936 წლის 28 აპრილს, სოფელ ფახულანში, სადაც მდიდარი ქართული ტრადიციების მქონე ოჯახში გაატარა თავისი ბავშვობა. იქვე მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლის სრული კურსი. 1953 წელს ჩაირიცხა და 1958 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი. 1959-1960 წწ. არჩეული იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელად. შემდეგ, პროფ. ნ. იაშვილის რეკომენდაციით, მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერთანამშრომლად. 1961-1964 წლებში იყო ამავე ინსტიტუტის ასპირანტი. 1965 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორია 1988 წლიდან, ხოლო პროფესორი – 1989 წლიდან. მისი კვლევის ძირითადი მიმართულებებია ეკონომიკური თეორია, საბაზრო ეკონომიკა, შერეული ეკონომიკური სისტემა, ასევე აგრარული სფეროს ეკონომიკური პრობლემები და სხვ. გამოქვეყნებული აქვს 130-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მ.შ. მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები (თანაავტორობით), არის მრავალი მონოგრაფიის, სამეცნიერო კონფერენციების, კრებულებისა და ა.შ. რედაქტორი ან რეცენზენტი.

1965-1977 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ჯერ უმცროს, შემდეგ კი უფროს მეცნიერთანამშრომლად, 1978 წლიდან 1988 წლამდე იყო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის დოცენტი, 1989 წლიდან ბოლო პერიოდამდე – აღნიშნული კათედრის პროფესორი. 1980-1981 წლებში იყო თსუ-ის ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, 1982-1986 წლებში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა სექტორის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ლაბორატორიის გამგე, ხოლო 1991-1992 წლებში – საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე.

თსუ-ში მუშაობასთან ერთად, 1995 წელს რ. გოგოხიას ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა თსუ-ის სოხუმის ფილიალის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა კათედრა, რომლის გამგეც იყო 1995-2001 წლებში, ასევე 2001-2004 წლებში ხელმძღვანელობდა თსუ-ის ზუგდიდის ფილიალის ზოგად ეკონომიკურ დისციპლინათა კათედრას.

პროფესორი რეზო გოგოხია თსუ-სა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში კითხულობდა მსოფლიო ეკონომიკის, ეკონომიკური თეორიის, საბაზრო ეკონომიკის, ეკონომიკის, შერეული ეკონომიკის, ეკონომიკის პრინციპების და

სხვა კურსებს. ბოლო პერიოდში თსუ-ში უძღვებოდა „აკადემიური წერის“ კურსს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებთან. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სამეცნიერო ხარისხის მრავალ მაძიებელსა და ასპირანტს (დოქტორანტს), რომელთაგან ოცდაათამდემ დროულად დაიცვა სამეცნიერო ხარისხი ეკონომიკაში.

გავლილი აქვს სამეცნიერო სტაჟირება (დოქტორანტურა) სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში, ასევე, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვალიფიკაციის ამაღლების კურსები. მონაწილეობდა საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში.

რ. გოგოხია ყოველთვის გამოირჩეოდა აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობით. სტუდენტობის წლებში იყო თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტის ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ეკონომიკის ინსტიტუტში – ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი. 1993-2005 წლებში იყო თსუ-ის დიდი სამეცნიერო საბჭოს, ასევე, ეკონომიკური ფაკულტეტის და ეკონომიკაში რამდენიმე სადისერტაციო საბჭოს წევრი. არის საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის, აგრეთვე, ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

მნიშვნელოვანია რ. გოგოხიას წვლილი ქართული ეკონომიკური ჟურნალისტიკის განვითარებაში. იგი, ჯერ კიდევ ყმაწვილკაცობისას, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნ. „მაცნეს“ ეკონომიკის სერიის საზოგადოებრივი მდივანი იყო, ხოლო მოგვიანებით, ჟურნ. „ეკონომისტის“ განყოფილების გამგე. ორივე ჟურნალს რედაქტორობდა გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე აკად. პაატა გუგუშვილი, რომლის ხელმძღვანელობითაც მან მიიღო ფრიად ნაყოფიერი, როგორც ჟურნალისტური, ასევე მეცნიერული წრთობა. პროფ. რ. გოგოხიამ 1999 წელს ჩამოაყალიბა და ათი წლის განმავლობაში, როგორც მთავარი რედაქტორი, გამოსცემდა რეცენზირებად და რეფერირებად საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალს – „სოციალური ეკონომიკა“. 2008 წლის იანვრიდან იგი ივ. ჯავახიშვილის თსუ-ის საერთაშორისო ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ მთავარი რედაქტორია და მაღალკვალიფიციურად ასრულებს თავის მოვალეობას. აღსანიშნავია ისიც, რომ რ. გოგოხია წლების განმავლობაში იყო სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი, ამჟამად კი – საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრია.

პროფ. რ. გოგოხია ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის დაჯილდოებულია სხვადასხვა ორდენითა და მედლით, მათ შორისაა: „ივანე ჯავახიშვილის მედალი“ და „ღირსების ორდენი“. იგი, როგორც ქვეყნის ღირსეული პიროვნება – ცნობილი მეცნიერი, პედაგოგი, ჟურნალისტი, მრავალმხრივი მოღვაწე, შეყვანილია საქართველოს ახალ დიდ ენციკლოპედიაში (საქართველო, ენციკლოპედია, 2012, ტ. 2).

ბატონი რეზო, გარდა მაღალკვალიფიციური მეცნიერის, პედაგოგის და ჟურნალისტისა, ყოველთვის გამოირჩეოდა და გამოირჩევა როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი, სამართლიანობის და კეთილშობილური პრინციპებისათვის მებრძოლი ადამიანი, რის გამოც მან არაერთი უსიამოვნება გადაიტანა.

ბატონი რეზოს ასეთ მაღალხნობრივ პიროვნებად ფორმირებაში დიდი წვლილი შეიტანეს გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერებმა – აკადემიკოსებმა – პ. გუგუშვილმა, ვ. ჩანტლაძემ; პროფესორებმა – ნ. იაშვილმა, ნ. ქოიავამ, ვ. ბახტაძემ, ს. ბერაძემ, შ. ბერაძემ, ლ. გოკიელმა, ა. ფანცხავამ, გ. პაპავამ, ა. გოკიელმა, ი. ბაჯაძემ, გ. ჭანუყვაძემ, ბ. ლუტიძემ, ო. საღარეიშვილმა, ბ.

გუჩუამ და სხვებმა. იგი არასდროს ივიწყებს მათ ამაგს და თვლის, რომ მასში თუ რამ კარგია, ეს არსებითად მათი დამსახურებაა.

ბატონი რეზოს კაცურკაცობის დადასტურებაა ისიც, რომ იგი არასდროს ივიწყებს ჩვენს ინსტიტუტს და გვერდში უდგას გასაჭირისა თუ წარმატებების დროს.

ბატონმა რეზომ თავის მეუღლესთან, ქალბატონ გულნაზისთან ერთად შექმნა ჩინებული ოჯახი, ჰყავს რძალი, ორი შვილი – მაია და მამუკა, რომლებიც მამის კვალს გაჰყვნენ. არიან ეკონომიკის დოქტორები და წარმატებულ საქმიანობას ეწევიან. ბატონ რეზოს ჰყავს 4 შესანიშნავი შვილიშვილი (ორი გოგონა და ორი ვაჟი).

ბატონი რეზო დღესაც ახალგაზრდული შემართებით განაგრძობს თავის საყვარელ საქმიანობას.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ ბატონ რეზოს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, რომელსაც იგი ღირსეულად, დიდი მიღწევებით შეხვდა და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ.

**თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის
ეკონომიკის ინსტიტუტის კოლექტივი
ქურნალ „ეკონომისტის“ რედაქცია**



პროფესორი ნიკოლოზ იაშვილი – 115

გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ნიკოლოზ იაშვილის დაბადებიდან 115-ე წელი შესრულდა.

იგი დაიბადა 1900 წლის 28 ნოემბერს ქ. ქუთაისში, გარდაიცვალა 1981 წლის 10 აპრილს თბილისში. ქუთაისის რეალური სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1920 წელს ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1925 წელს. პროფ. გ. გეგტმანის წარდგინებით იგი დატოვეს უნივერსიტეტში საპროფესორო მოღვაწეობისთვის მოსამზადებლად, 1927 წელს გააგზავნეს კვალიფიკაციის ასამაღლებლად მოსკოვის ტიმირიაზევის სახ. სოფლის მეურნეობის აკადემიის ეკონომიკურ ფაკულტეტზე.

1928-29 სასწავლო წლიდან ნ. იაშვილი თსუ-ში კითხულობდა აგროლონისძიებათა ორგანიზაციის კურსს. 1930 წელს არჩეულ იქნა დოცენტის თანამდებობაზე. იმდროიდან იგი თსუ-სა და საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში კითხულობდა ლექციების კურსს სოფლის მეურნეობის ეკონომიკასა და ორგანიზაციაში, საორგანიზაციო-საწარმოო გეგმების შედგენის მეთოდოლოგიაში, სოფლის მეურნეობის გეოგრაფიის, დარაიონებისა და სპეციალიზაციის, წყალთა მეურნეობის ეკონომიკის, მიწის ეკონომიკური შეფასების და სხვ საგნებში.

პროფესორ ნ. იაშვილის მეცნიერული კვლევის არეალი ფართო და ბევრის მომცველია, რომელთაგან მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისმა სადოქტორო დისერტაციამ - „საქართველოს მიწის ფონდი და მისი გამოყენება“, რომელიც შემდგომ დაიბეჭდა ორ ტომად, ამ ნაშრომით სათავე დაედო საქართველოში მიწის კადასტრის თეორიასა და პრაქტიკას. მის კალამს ეკუთვნის ასევე წიგნები და მონოგრაფიები: „სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის საკითხები“, „თესლბრუნვის ორგანიზაცია“, „ტერიტორიის ორგანიზაცია“, „საორგანიზაციო-საწარმოო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია“, „მეაბრეშუმეობა საქართველოში“, „მევენახეობის გაადგილება საქართველოში“, „საგარეუბნო სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხები“ და მრავალი სხვ. სულ გამოქვეყნებული აქვს 300-ზე მეტი ნაშრომი 400-მდე საავტორო თაბახის (5000-ზე მეტი გვერდის) მოცულობით ქართულ, რუსულ, უკრაინულ, უზბეკურ ენებზე (მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები, ბროშურები, სტატიები).

პროფესორი ნიკოლოზ იაშვილი იყო ჩვენი ინსტიტუტის პირველ დამაარსებელთა შორის. იგი 1944 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ჯერ განყოფილების გამგედ, შემდეგ – უფროს მეცნიერთანამშრომლად. აღსანიშნავია აკადემიკოს პაატა გუგუშვილთან და ინსტიტუტის სხვა მკვლევარებთან მისი მეგობრული და მეცნიერული თანამშრომლობა. ამ დროს შეიქმნა მისი შესანიშნავი ნაშრომები.

1954 წლიდან იგი მიწვეული იყო საქ. მეცნიერებათა აკადემიის მწარმოებლური ძალების შემსწავლელ საბჭოში. საბჭოს მიერ გამოიცა ფუნდამენტური ხასიათის ექსტრემული პროფესორ ნ. იაშვილის მონაწილეობითა და თანავტორობით.

ნ. იაშვილი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში, იყო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სასწავლო-სამეცნიერო დარგში.

ნ. იაშვილი ასევე აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის სამეურნეო- აღმშენებლობით საქმიანობაში. მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით დამუშავდა მრავალი საწარმოო-სამეურნეო გეგმის მეთოდოლოგიური საფუძვლები, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების საქმეს.

დიდია იუბილარის დამსახურება ახალგაზრდა მეცნიერული კადრების მომზადებაში. მის მოწაფეთა შორის ქართველებთან ერთად არიან რუსები, აზერბაიჯანელები, სომხები, ჩეხნები, დაღესტნელები, ინგუშები, ოსები, ყაბარდოელები, ადიღელები, უკრაინელები და სხვა.

პროფ. ნ. იაშვილმა 15-მდე უცხოეთის ქვეყანა მოიარა, როგორც მეცნიერმა და ლექტორმა და თავისი შთამბეჭდავი მოსხენებებით თუ ლექციებით, ყველგან ასახელა საქართველო, რამეთუ თავის პროფესიასთან ერთად, ღრმად ფლობდა საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიას, იყო ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი მოყვარული.

საქართველოს ეკონომიკურმა საზოგადოებამ ღირსეულად აღნიშნა პროფესორ ნიკოლოზ იაშვილის საიუბილეო თარიღი

გამოჩენილი მეცნიერის, პედაგოგისა და სასიქადულო მამულიშვილის, პროფესორ ნიკოლოზ იაშვილის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენი ქვეყნის საზოგადოების მეხსიერებაში.

**თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის
ეკონომიკის ინსტიტუტის კოლექტივი**

ჟურნალი “ეკონომისტი”

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 293 34 44; 599 970103.

ჟურნალ “ეკონომისტში” სტატიების გამოქვეყნების წესები იხილეთ
ვებგვერდზე: ekonomisti.tsu.ge

Journal “**Ekonomisti**”

Edress: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103

Rules of Publication of articles in the journal “Ekonomisti” see: ekonomisti.tsu.ge

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

რედაქტორი **სესილი ხანჯალაძე, ნატო აბესაძე**

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU

Redactor **Sesili khanjaladze, Nato Abesadze**